

178  
1965/9



# სახკრთა სამართალი

178/9

9

საქართველოს კვლევითი კომიტეტის გამომცემლობა

1965

1

# საბჭოთა სამართალი

იანვარი—თებერვალი

1965 წელი

გამოცემის XII წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო  
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

## უი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსი	3
თ. წერეთელი — საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დანაშაულის ცნების აუცილებელი ნიშანი	14
ვ. ლორია — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ადმინისტრაციული კომისიების როლის საკითხისათვის	25
ა. ხოჭოლავა — დაგეგმვა და სამოქალაქო ბრუნვა	34

## სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

ო. გველესიანი, ზ. მესხეთელი — საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი საბრალდებო სკამზე	49
--	----

## დანაშაულის კვალდაკვალი

მ. მირზოევი — ბარბაროსის მსხვერპლი	52
------------------------------------	----

## საერთაშორისო თემაზე

ლ. ალექსიძე — ამომავალი მზის ქვეყანაში	54
--	----

## ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარნი

ეჭვთიმე თაყაიშვილი	59
--------------------	----

## მოწინავეთა პორტრეტები

ბ. ვაყელიშვილი — მუდამ შეუწყლებელი ენერგიით	65
ზ. მესხენისერი — წინ კიდევ საინტერესო გზაა	68

## წარსულის ფურცლები

დ. კაკაბაძე — ვიბერის გასამართლება	70
თ. შავიშვილი — ჯალათი	72
ვაშლიანი საბჭოთა მეცნიერი — ს. ნ. ბრატუსი	75
ინფორმაცია	77
ბიბლიოგრაფია	94





# СОДЕРЖАНИЕ

Новый гражданский кодекс Грузинской ССР	3
Т. Церетели — Общественная опасность, как обязательный признак понятия преступления	14
В. Лория — К вопросу о роли административных комиссий в укреплении социалистического правопорядка	25
А. Хочолава — Планирование и гражданский оборот	35

## ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ

О. Гвелесиани, З. Месхетели — Защитник общественного порядка в роли обвиняемого	49
---	----

## ПО СЛЕДАМ ПРЕСТУПЛЕНИЯ

М. Мирзоев — Жертва варвара	52
-----------------------------	----

## НА МЕЖДУНАРОДНЫЕ ТЕМЫ

Л. Алексидзе — В стране восходящего солнца	54
--	----

## ИССЛЕДОВАТЕЛИ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

Евфимии Таканшвили	59
--------------------	----

## ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ

М. Вакелишвили — Всегда с неутомимой энергией	65
З. Месенгисери — Впереди еще интересная дорога	68

## СТРАНИЦЫ ПРОШЛОГО

Д. Какабадзе — Процесс над Випером	70
Т. Шавишвили — Палачи	72
Выдающийся советский ученый — С. Н. Братусь	75
Информация	77
Библиография	94

შპ. № 1231  
ტირაჟი 5000  
უგ 03237

სარედაქციო კოლეგია  
 ა. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,  
 ვ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი,  
 მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,  
 ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09 62

გადაეცა წარმოებას 25/III-65 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/V-65 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
 Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

## საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსი

1964 წლის 26 დეკემბერს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ დაამტკიცა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები. ახალი კოდექსები ძალაში შევიდნენ 1965 წლის 1 ივლისიდან.

ახალი კოდექსების მიღება მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოების კიდევ ერთი დადასტურებაა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი მთლიანად ეყრდნობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებს. ამასთან ერთად კოდექსში ასახულია სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი ჩვენს რესპუბლიკაში. სამოქალაქო კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლების მიღებამ ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა თვითუღმოსავლურ რესპუბლიკაში ახალი კოდექსის შემუშავებისათვის. ამჟამად ყველა მოკავშირე რესპუბლიკას აქვს სამოქალაქო სამართლის კოდექსი. ეს მაშინ, როცა საფუძვლების მიღებამდე მხოლოდ 9 მოკავშირე რესპუბლიკას ჰქონდა სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსი მეორეა საქართველოს მთელ ისტორიაში. პირველი სამოქალაქო სამართლის კოდექსი 1923 წლის სექტემბრიდან მოქმედებს ჩვენში. მანამდე ეროვნული სამოქალაქო სამართლის კოდექსი არ ჰქონია საქართველოს. რუსეთთან შეერთების შემდეგ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის სამოქალაქო ნორმები მოქმედებდნენ 1859 წლამდე. ამის შემდგომ კი მთელი მოცულობით ამოქმედდა რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის X ტომის პირველი ნაწილი. ეს ნახევრადფეოდალური და ნახევრად ბურჟუაზიული საკანონმდებლო კრებული თითქმის უცვლელად მოქმედებდა მენშევიკურ საქართველოში, მაშინ როცა ოქტომბრის რევოლუციამ მისი მოქმედება დაუყოვნებლივ შეწყვიტა საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსი 1923 წლის კოდექსთან შედარებით გაცილებით ფართოა თავისი შინაარსითა და სტრუქტურით. მასში ბევრი ისეთი ინსტიტუტია, რომელიც ადრე მოქმედი კოდექსით საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. მაგალითად საავტორო სამართალი, საგამომგონებლო სამართალი, აღმოჩენის სამართალი. კოდექსში არის ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც უცნობი იყო პირველი კოდექსისათვის. ამასთან მთელმა რიგმა ურთიერთობებმა პრინციპულად ახალი და სრული საკანონმდებლო მოწესრიგება ჰპოვეს.

საქართველოს ახალ სამოქალაქო კოდექსში 8 კარია, 43 თავი და 578 მუხლი.

პირველ კარში — „ზოგადი დებულებანი“ განსაზღვრულია კოდექსის ამოცანები, იმ ურთიერთობათა სფერო, რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობით წესრიგდება, საკავშირო და საქართველოს კანონმდებლობის თანაფარდობა სამოქალაქო სამართალში, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა წარ-

მოშობის საფუძვლები, ამ უფლებათა დაცვის გზები; ორგანოები, რომლებზეც მათ ახორციელებენ, სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ფარგლებში.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი ითვალისწინებს მოქალაქისა და ორგანიზაციის პატივისა და ღირსების დაცვას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცილისწამებისა და შეურაცყოფისათვის როდი ამოწურავს პატივისა და ღირსების დაცვის ყველა შემთხვევას. პატივისა და ღირსების შელახვა შესაძლებელია გაუფრთხილებლობით, შეცდომით, უმეტესწილად სწორედ სახელგამტეხი ცნობების გავრცელებით. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მეშვიდე მუხლი მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პატივისა და ღირსების სრული და ეფექტური დაცვის მტკიცე იურიდიული გარანტიაა.

კოდექსის მეორე და მესამე თავებით მოწესრიგებულია სამოქალაქო სამართლის სუბიექტების მდგომარეობა.

მე-10 მუხლში განსაზღვრულია მოქალაქეთა უფლებათუარაიანობის შინაარსი.

მოქალაქის შეზღუდული ქმედუარაიანობა იწყება 15 წლის ასაკიდან და არა 14 წლიდან, როგორც ადრე მოქმედ სამოქალაქო სამართლის კოდექსში იყო. თხუთმეტ წელს მიღწეულ პირს უფლება ეძლევა დამოუკიდებლად დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგება.

არასრულწლოვანი, თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე, გარიგებას დებს მშობლის, შვილად ამყვანის ან მეურვის თანხმობით. მას უფლება აქვს დამოუკიდებლად დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგება, განკარგოს თავისი ხელფასი ან სტიპენდია, განახორციელოს ავტორისა და გამომგონებლის უფლებები. მოქალაქე, რომელსაც სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან უხელმძღვანელოს მას, შეიძლება სასამართლოს წესით აღიარებულ იქნას არაქმედობათუარაიანად.

სამოქალაქო სამართლის კოდექსი განსაზღვრავს უგზოუკვლოდ დაკარგულად გამოცხადების წესს და უგზოუკვლოდ დაკარგულ მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების იურიდიულ შედეგებს.

კოდექსი იძლევა იურიდიული პირის სახეების კლასიფიკაციას და მათი მოღვაწეობის რეგლამენტაციას.

კოდექსის 32-ე მუხლით გამიჯნულია სახელმწიფოსა და სახელმწიფო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა. სახელმწიფო პასუხს არ აგებს იმ სახელმწიფო ორგანიზაციების ვალდებულებებზე, რომლებიც იურიდიული პირები არიან, ხოლო ეს ორგანიზაციები პასუხს არ აგებენ სახელმწიფოს ვალდებულებებზე. კოდექსი ითვალისწინებს შერეული იურიდიული პირების სახელმწიფო — საკოლმეურნეო და სხვა სახელმწიფო-კოოპერაციული ორგანიზაციების არსებობას.

კოდექსის მესამე თავი გარიგებებისადმი მიძღვნილი. განსაზღვრულია გარიგების ცნება, მისი სახეები. ბათილი გარიგებების ცალკე სახედა გამოყოფილი გარიგებანი, რომლებიც წინასწარი შეცნობით ეწინააღმდეგება სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესებს. ყოველივე რაც ამ გარიგებითაა მიღებული ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში, თუ ორივე მხარეს ჰქონდა განზრახვა და გარიგებაც ორივეს მიერ არის შესრულებული. თუ განზრახვა ჰქონდა მხოლოდ ერთ მხარეს, მაშინ ყოველივე ის, რაც მან გარიგებით მიიღო უნდა დაუბრუნონ მეორე მხარეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მიღებული ან შესრულების ასანაზღაურებლად კუთვნილი უნდა გადაეცეს სახელმწიფოს.

კოდექსის მეოთხე თავით მოწესრიგებულია წარმომადგენლობა და რწმუნებულება.

კოდექსით დადგენილია სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადები. სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ერთი წელი, ხოლო მოქალაქეებს შორის, ანდა როცა ერთ-ერთი მხარე მოქალაქეა — სამი წელი. ახალი კოდექსით გათვალისწინებულია აგრეთვე სასარჩელო ხანდაზმულობის შემცირებული ვადები. მოთხოვნა დარღვეული უფლების დაცვის შესახებ მიიღება განსახილველად სასამართლოს, არბიტრაჟის ან სამედიატორო სასამართლოს მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად. კოდექსი ჩამოთვლის იმ ურთიერთობებს, რომლებზეც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება.


კოდექსის სპეციალურ თავში გათვალისწინებულია ვადების გამოთვლის წესები.

კოდექსის მეორე კარი მიძღვნილია „საკუთრების სამართლის აღმოჩენის“ იგი აწესრიგებს საერთო-სახალხო საკუთრების, კოლმეურნეობათა, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების და მათი გაერთიანების საკუთრების, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრების, მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის წესს. კოდექსით დაშვებულია სახელმწიფოს და კოლმეურნეობის, ან სხვა კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციათა შერეული საკუთრების არსებობა. კოდექსი განსაზღვრავს საკუთრების უფლების წარმოშობას და შეწყვეტას.

საკუთრების უფლება ხელშეკრულებით შეძენილ ქონებაზე წარმოიშობა ნივთის გადაცემის მომენტიდან. არის ზოგიერთი საგანი, რომლის შეძენა შეიძლება მხოლოდ სპეციალური ნებართვით. იმ საგნების ნუსხას, რომლებიც სახალხო მეურნეობისათვის მათი მნიშვნელობის გამო, სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებით ან სხვა საფუძვლების გამო შეიძლება შეძენილ იქნენ სპეციალური ნებართვით (იარაღი, მფრინავი აპარატები, ძლიერმოქმედი შხამი და სხვა), აგრეთვე ამ ნებართვების გაცემის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა. მხოლოდ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება შეძენილ იქნას ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები — მონეტებში, ზოდებში და ნედლი სახით, უცხოეთის ვალუტა და უცხოეთის ვალუტაში გამოწერილი გადასახდელი საბუთები (თამაშუქები, ჩეკები, გადარიცხვები და სხვა.), აგრეთვე უცხოეთის საფონდო ფასეულობანი (აქციები, ობლიგაციები, მათი კუპონები და სხვა).

ახალი კოდექსით უპატრონო ქონება ყოველთვის არ იქცევა სახელმწიფო საკუთრებად. საკოლმეურნეო კომლის უპატრონო ქონება ვადადის იმ კოლმეურნეობის საკუთრებად, რომლის ტერიტორიაზეც ეს ქონება იმყოფება. ამის თაობაზე კოლმეურნეობის განაცხადის საფუძველზე გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს.

როგორც აღინიშნა კოდექსში, ახალშიც გათვალისწინებულია მოუვლელობის გამო სახლის ჩამორთმევა, მაგრამ ამ კოდექსში გათვალისწინებულია სიანლეც. 139-ე მუხლით თუ მოქალაქე არ უვლის მის ქონებას, რომელსაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული, მხატვრული ან სხვა ღირებულება აქვს და მას აფუჭებს, სახელმწიფო ორგანიზაციები, რომელთა ამოცანას შეადგენს ამგვარი ქონების დაცვა, მესაკუთრეს აძლევენ გაფრთხილებას, რათა შესაფერისად მოუაროს ქონებას. თუ მოქალაქე არ შეასრულებს ამ მოთხოვ-



ნას, მაშინ სათანადო ორგანიზაციის სარჩელით — სასამართლოს შეუძლია ჩამოართვას მას ქონება და გადასცეს სახელმწიფოს. მესაკუთრეს ეძლევა ჩამორთმეული ქონების ღირებულება. გადაუდებელი საჭიროებისას სარჩელი აღნიშნული ქონების ჩამორთმევაზე შეიძლება აღძრულ იქნას წინასწარ გაუფრთხილებლადაც.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მეთერთმეტე თავი ეხება მოქალაქეთა პირად საკუთრებას.

მოქალაქეთა პირადი საკუთრება მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთ-ერთი საშუალებაა.

ამასთან კოდექსის 103-ე მუხლი მიუთითებს, რომ პირად საკუთრებაში მყოფი ქონება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას არაშრომითი შემოსავლის მისაღებად. ამ მოთხოვნის დარღვევისათვის გათვალისწინებულია სათანადო სანქციები, თუ მოქალაქის პირად საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი სახლი, აგარაკი (სახლის, აგარაკის ნაწილი) ან სხვა ქონება მესაკუთრის მიერ სისტემატურად გამოყენებულია არაშრომითი შემოსავლის მისაღებად, იგი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის სარჩელის საფუძველზე უსასყიდლოდ უნდა იქნეს ჩამორთმეული სასამართლო წესით.

საცხოვრებელი სახლი პირადი საკუთრების ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტია, ამიტომაც კოდექსი დაწვრილებით აწესრიგებს პირადი საკუთრების ამ სახეს.

კოდექსის 104-ე მუხლით მოქალაქეს პირად საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს ერთი საცხოვრებელი სახლი ან ერთი სახლის ნაწილი.

ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი, ანდა ერთი სახლის ნაწილი, რომელიც პირადი საკუთრების უფლებით შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ-ერთ მათგანს ან იყოს მათი საერთო საკუთრება.

კოდექსი აწესებს პირადი საკუთრების სახლის ზღვრულ ზომას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საცხოვრებელი ფართობის 60 კვადრატულ მეტრს და დამხმარე სათავსოების 40 კვადრატულ მეტრს. ამასთან ერთად 104-ე მუხლი ითვალისწინებს გონიერ გამოწაკლის: იმ პირთ, რომლებსაც დიდი ოჯახი ჰყავთ, ან უფლება აქვთ დამატებით საცხოვრებელ ფართობზე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის დადგენილებით, შეიძლება ნება დავრთოთ ააშენონ სახლი ან სახლის ნაწილი, შეიძინონ ან დაეტოვონ სახლი, რომლის საცხოვრებელი ფართობიც აღემატება ზღვრულ ნორმებს, მაგრამ არ აღემატება ამ ოჯახისათვის განსაზღვრულ ზომას იმ ნორმებით, რომლებიც დადგენილია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთათვის, სათანადო შემთხვევაში დამატებითი ფართობის ჩათვლით.

შესაძლებელია ცალკეულ მოქალაქეს ან ერთადმცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს პირად საკუთრებაში აღმოაჩნდეთ ერთზე მეტი საცხოვრებელი სახლი. ამ დროს მესაკუთრეს თავისი არჩევანით შეუძლია რომელიმე ამ სახლიდან დაიტოვოს თავის საკუთრებაში. დანარჩენი კი უნდა გაასხვისოს, (გაყიდოს, გააჩუქოს და ა. შ.) ამ მოქმედების შესასრულებლად მესაკუთრეს ეძლევა უფლება ნებაყოფლობით გაასხვისოს მეორე და მეტ სახლებზე საკუთრება ერთი წლის ვადაში ამ უფლების წარმოშობის დღიდან.

საქართველო  
საბჭოთაო

ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როცა მოქალაქეს ან ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს საკუთრებაში აღმოაჩნდება კანონით დაშვებული საფუძვლებით: ერთი სახლის გარდა მეორე სახლის ნაწილი (ნაწილები); სხვადასხვა სახლების ნაწილები; ერთი სახლის ნაწილები, რომელიც აღემატება კანონით დადგენილი საცხოვრებელი ფართობის ზომას; ერთ ბინაზე მეტი ინდივიდუალურ მშენებელთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლში.

ხშირად მოქალაქეებს გარდა ქალაქში მდებარე პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლებისა სასოფლო ან საკურორტო ადგილას აქვთ შენობები, რომელსაც იყენებენ დასვენებისა და მკურნალობისათვის. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ მოქალაქეს, მათთან ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს ერთდროულად აქვთ ორი საცხოვრებელი სახლი. ჩვენი კოდექსი არ გაუბრძის რეალურ ცხოვრებაში არსებული ამ მოვლენის სამართლებრივ მოწესრიგებას. ამიტომაც, ყოველმხრივ მისასაღმებელია 105-ე მუხლის მეექვსე ნაწილი, რომელიც აღიარებს, რომ გარდა პირადი საკუთრების სახლისა მოქალაქეს, მათთან ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს აქვთ საკუთრების უფლება მეორე შენობაზე, რომელიც გამოიყენება მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრების დასვენებისა ან მკურნალობისათვის საკურორტო, სააგარაკო ან სასოფლო ადგილას. სამოქალაქო სამართლის კოდექსით მოწესრიგებულია საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ სახლებზე საკუთრების უფლების მთელი რიგი თავისებურებანი.


საბჭოთა კანონმდებლობა მრავალნაირი სამართლებრივი ზომებით ებრძვის საცხოვრებელი სახლების (აგარაკების) თვითნებურ მშენებლობებს.

არსებობს თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდები. სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით გათვალისწინებულია სანქციები თვითნებური მშენებლობისათვის. სამოქალაქო სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლებრივ შედეგებსაც.

სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლით მოქალაქეს, რომელმაც დაწესებული ნებართვის ან სათანადო წესით დამტკიცებული პროექტის გარეშე, ძირითადი სამშენებლო ნორმების და წესების უხეში დარღვევით, ააშენა საცხოვრებელი სახლი (აგარაკი) ან სახლის (აგარაკის) ნაწილი, არა აქვთ უფლება ამ სახლის (აგარაკის) ან სახლის (აგარაკის) ნაწილის განკარგვისა — გაყიდვისა, გაქირავებისა და სხვა. ამასთან ერთად სასამართლოს გადაწყვეტილებით ასეთი სახლი (აგარაკი) ან სახლის (აგარაკის) ნაწილი შეიძლება უსასყიდლოდ იქნას ჩამორთმეული და ჩაირიცხოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ფონდში, მაგრამ უპირატესად მაშინ, როცა ნაგებობა არქიტექტორულ მოთხოვნებს არ უპასუხებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს გადაწყვეტილებით იგი აღებულ უნდა იქნეს თვითნებური მშენებლობის განმხორციელებელ მოქალაქის მიერ, ანდა მის ხარჯზე.

სასამართლოს შეუძლია წაართვას პირად მესაკუთრეს და მასთან ერთად მცხოვრებ პირებს საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება ჩამორთმეულ სახლში, მაგრამ თუ მათ არა აქვთ მუდმივ საცხოვრებლად სხვა ვარგისი საცხოვრებელი ფართობი, მათ მიეცემათ საცხოვრებელი ფართობი არსებული ნორმებით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს სახლებში.





კოდექსი არეგულირებს საკოლმეურნეო კომლის საერთო საკუთრების ძირითად საკითხებს. ამასთან ერთად სამოქალაქო სამართლის კოდექსით ცალკეა მოწესრიგებული საკოლმეურნეო კომლის წევრის პირადი საკუთრება (მუხ. 110). კომლის წევრის პირადი შრომითი შემოსავალი და აგრეთვე მათ მიერ პირადი სახსრებით შექმნილი ან მემკვიდრეობით თუ ჩუქებით მიღებული ქონება, რაც მათ კომლის საკუთრებაში არ გადაუციათ, შეადგენს საკოლმეურნეო კომლის ცალკეულ წევრთა პირად საკუთრებას. საკოლმეურნეო კომლის წევრის პირად საკუთრებაში არ შეიძლება იყოს ქონება, რომელიც საკოლმეურნეო წესდების თანახმად, შეიძლება მხროლოდ კომლს ეკუთვნოდეს.

საკოლმეურნეო კომლის საერთო საკუთრებაში გადადის ცალკეული წევრის შრომითი შემოსავალი კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობისაგან ან მათ მიერ კომლის საკუთრებაში გადაცემული სხვა ქონება. აგრეთვე საერთო სახსრებით შექმნილი საოჯახო და პირადი მოხმარების საგნები.

კოდექსით გათვალისწინებულია მთელი რიგი სიახლენი საერთო საკუთრების მოსაწესრიგებლად. სიახლენია აგრეთვე საკუთრების სამოქალაქო სამართლებრივ დაცვაშიც.

კოდექსის მესამე კარი მიძღვნილია „ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ი თ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა დ მ ი“. მასში ნაჩვენებია დაგეგმვის აქტების მნიშვნელობა სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის წარმოშობილ ვალდებულებებისათვის, ვალდებულების რეალური შესრულების პრინციპი, ვალდებულების უზრუნველყოფის ახალი საშუალებანი. ბრალი განხილულია, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის პირობა.

კოდექსი სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულების მრავალ სახეს ითვალისწინებს, ბევრი მათგანი პირველადაა შეტანილი კოდექსში. მაგალითად, მიწოდების ხელშეკრულება, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა, გადაზიდვის ხელშეკრულებანი, შენახვის ხელშეკრულებები, სამისდღემშიო რჩენა, კონკურსი (ჯილდოს საჯარო დაპირება) და სხვ.

ადრე მოქმედი კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულებები მთელი რიგი ცვლილებებით ასახულია ახალ კოდექსშიც. მაგალითად, უშვებს რა ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად გაყიდვას მოქალაქეებზე, კოდექსი ადგენს, რომ ამ საქონელზე საკუთრების უფლება გადადის ნივთის გადაცემის მომენტიდან. კოდექსის 24-ე მუხლით მშენებლობაში მყოფი დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლი შეიძლება გასხვისდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოების ნებართვით. კოდექსი აღიარებს მოქალაქეთა უაღრესად ფართო საბინაო უფლებებს.

კოდექსით დადგენილია ბინის ქირავნობის ხელშეკრულების დადების წესი, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო საბინაო ფონდის სწორად გამოყენებისათვის.

საცხოვრებელი ფართობის ძირითად დამქირავებელთან ერთად ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებსა და მოვალეობებს თანასწორად მოიპოვებენ მისი ოჯახის ეწვრები. დამქირავებლის ოჯახის წევრად ითვლებიან დამქირავებლის მეუღლე, მათი შვილები და მშობლები. სხვა წევრები და აგრეთვე რჩენაზე მყოფი შრომისუნარო პირები შეიძლება ცნობილ იქნენ დამ-

ქირავებლის ოჯახის წევრებად, თუ ისინი დამქირავებელთან ერთად ცხოვრობენ და მასთან ერთად ეწვეიან საერთო მეურნეობას. ამ პირების ჩასახლება დამქირავებელს შეუძლია იმავე ფართობში მცხოვრები თავისი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით. მშობლებთან მათი არასრულწლოვანი შვილების ჩასახლებისათვის ოჯახის დანარჩენი წევრის თანხმობა საჭირო არ არის. ამ წესებით ჩასახლებული მოქალაქენი იძენენ დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრთა თანასწორ უფლებას. თუ შესახლებისას არ იყო სხვა შეთანხმება ამ მოქალაქეებსა, დამქირავებელსა და მასთან მცხოვრებ მისი ოჯახის სრულწლოვან წევრთა შორის.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 301-ე მუხლი ითვალისწინებს დროებით წასულთათვის საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლების შენარჩუნების შემთხვევებს, ხოლო 302-ე მუხლი საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის წესს.


კოდექსით განსაზღვრულია საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლის წესი დამქირავებლის, მისი ოჯახის წევრების და გამქირავებლის მიერ.

არსებობის დამოუკიდებელი წყაროს მქონე ოჯახის სრულწლოვან წევრს უფლება აქვს მოითხოვოს მასთან ცალკე დაიდოს ბინის ქირავნობის ხელშეკრულება. ამისთვის აუცილებელია ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა, აგრეთვე ის, რომ იყოს შესაძლებელი დამქირავებელს გამოეყოს მისი ხვედრი საცხოვრებელი ფართობი იზოლირებული სახით. ამას გარდა კოდექსით გათვალისწინებულა, რომ არსებობის დამოუკიდებელი წყაროს მქონე ოჯახის სრულწლოვან წევრს შეუძლია დამქირავებლისა და ოჯახის დანარჩენ სრულწლოვან წევრთა თანხმობით მოითხოვოს იგი აღიარონ ძირითად დამქირავებლად. დამქირავებლის სიკვდილის შემთხვევაში კი ასეთი უფლება აქვს გარდაცვლილის ოჯახის ყოველ სრულწლოვან წევრს. ყველა ეს ცვლილება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით. გამქირავებლის უარი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოში.

310-ე მუხლი ითვალისწინებს საცხოვრებელი ფართობის ზედმეტობის დროს ხელშეკრულების პირობების შეცვლის წესს. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში საცხოვრებელი ფართობის ნორმად ერთ სულზე დაწესებულია 12 კვადრატული მეტრი. ამასთან ერთად კანონით დადგენილია იმ პირობა წრე, რომელთაც უფლება აქვთ დამატებით საცხოვრებელ ფართობზე.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიზანია, რომ ყოველ ოჯახს ქონდეს იზოლირებული ბინა. ამის განხორციელებას ხელს უწყობს 310-ე მუხლის ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ „თუ ბინაში, რომელშიც დამქირავებელი ცხოვრობს, გათავისუფლდა ოთახი, რომელიც იზოლირებული არ არის მის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ფართობისგან და მისი მომიჯნავეა, ეს ოთახი უნდა გადაეცეს დამქირავებელს“.

საცხოვრებელი ფართობის და დამხმარე სათავსოების გადაკეთება და დაგეგმვა შეიძლება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით მხოლოდ ბინის კეთილმოწყობის მიზნით და დაიშვება დამ-



ქირავებლის, მისი ოჯახის წევრების, გამქირავებლის, აგრეთვე იმავე სახლში მცხოვრები იმ მეზობლების თანხმობით, რომელთა ინტერესსაც ეს ეხება.

კოდექსში განსაზღვრულია საცხოვრებელი ფართობის ქვეგაქირავების წესი და დროებითი მდგმურების უფლებების შინაარსი.

გამქირავებლის ნებართვით დაშვებულია საცხოვრებელ ფართობის გაცვლა. გაცვლის თანხმობაზე უარი შეიძლება სასამართლო წესით გასაჩივრდეს. მაგრამ ეს არ ეხება პირადი მესაკუთრეების სახლებს.

პირად მესაკუთრეს უფლება აქვს უარი თქვას ბინის ქირავნობის ხელშეკრულების განახლებაზე, თუ კი სასამართლოს მიერ დადგენილი იქნება, რომ ფართობი საჭიროა სახლის მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრების პირადი საცხოვრებლობისათვის.

კოდექსით დადგენილია, რომ საცხოვრებელი ფართობის დამქირავებელს ყოველთვის შეუძლია ხელშეკრულების მოშლა. გამქირავებელს კი უფლება არა აქვს მოშალოს ხელშეკრულება და გამოასახლოს დამქირავებელი, თუ არა სასამართლო წესით და კანონით დადგენილი საფუძვლებით.

კოდექსი ამომწურავად ჩამოთვლის თუ რა შემთხვევაში დაიშვება ადმინისტრაციული გამოსახლება. ადმინისტრაციული წესით გამოსახლება შეიძლება: 1) იმ სახლიდან, რომელსაც ჩამონრგევა ემუქრება, 2) თვითნებურად დაკავებულ ფართობიდან, 3) სასამსახურო საცხოვრებელ ფართობიდან 4) საერთო საცხოვრებელიდან 5) სასტუმროდან.

სასამართლო წესით გამოსახლება, როგორც წესი, გულისხმობს გამქირავებლის მხრივ ვალდებულებას მისცეს გამოსახლებულს სხვა კეთილმოწყობილი ბინა.

კოდექსის 325-ე მუხლით გათვალისწინებულია გამქირავებლის გამოსახლება იმ სახლიდან, რომელიც აღებულ უნდა იქნეს, სახელმწიფო, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით.

საცხოვრებელ ფართობზე ქირავნობის ხელშეკრულება მოიშლება სასამართლო წესით. დამქირავებელს და მისი ოჯახის წევრებს, დამოუკიდებლად ამ ფართობზე ცხოვრების ხანგრძლივობისა, ხოლო მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ პირადი საკუთრების სახლებში არა ნაკლებ ერთი წლისა, მიეცემათ სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი.

თუ ასაღებია სახლი, რომელიც მოქალაქეს ეკუთვნის პირადი საკუთრების უფლებით, გამოსახლებულ პირს სხვა ფართობი უნდა მისცეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, ხოლო როდესაც მიწის ნაკვეთი გამოეყოფა სახელმწიფო ორგანიზაციას, რომელსაც ეძლევა კაპიტალური დაბანდებანი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად — საცხოვრებელი ფართობი უნდა გამოეყოს ამ ორგანიზაციამ.

სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლით განსაზღვრულია სასამართლო წესით გამოსახლების მეტად იშვიათი შემთხვევები, როცა ეს ხდება სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

კოდექსის 327-ე მუხლი, მიუთითებს სპეციალურ კანონზე საწარმოთა და დაწესებულებების სახლებიდან გამოსახლების განსაკუთრებული შემთხვევების შესახებ. ასეთ შემთხვევაში საცხოვრებელ ფართობზე გაცემული ორდერი სასამართლოს მიერ შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად. საცხოვრებელ ფართობში მცხოვრები პირები სასამართლოს წესით უნდა გამოსახლდნენ, სხვა საცხოვრებ-

ლი ფართობის მიუღებლად. მაგრამ თუ ორდერში შეტანილი მოქალაქენი წინათ ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობდნენ საცხოვრებელი ფართობით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს სახელმწიფო, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლში მათ უნდა მიეცეთ ფართობი, რომელიც უწინ ეკავათ ან სხვა საცხოვრებელი ფართობი.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 390-ე მუხლით სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში მოქალაქეთა ანაბრებზე გადახდევინების მიქცევა შეიძლება როგორც სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ალიმენტის გადახდევინების სარჩელზე, ისე იმ ანაბრების გაყოფის შესახებ სარჩელზე, რომელიც მეუღლეთა თანაბარი ქონებაა.


სამისდღეშია რჩენის ვალდებულება (439-446 მუხლები) ეხება საცხოვრებელი სახლის გასხვისების თავისებურ სახეს. ამ ხელშეკრულებით ერთი მხარე, რომელიც ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობით შრომისუუნაროა (გამსხვისებელი) აძლევს მეორე მხარეს (შემძენს) საკუთრებაში სახლს, ან სახლის ნაწილს, რის სანაცვლოდ ეს უკანასკნელი კისრულობს მოვალეობას გამსხვისებულს სიკვდილამდე აღმოუჩინოს მატერიალური უზრუნველყოფა ნატურით — ბინის, კვების, მოვლის და საჭირო დახმარების სახით.

სამოქალაქო სამართლის ზემოქმედების სფეროს გაფართოებას ადასტურებს კოდექსის 459-456 მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ კონკურსის — ჯილდოს საჯაროდ დაპირების ვალდებულებას. ამ ხელშეკრულებით სახელმწიფო, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ საჯაროდ დაპირება საგანგებო ჯილდოსი (პრემიისა) გარკვეული სამუშაოს საუკეთესოდ შესრულებისათვის (კონკურსის გამოცხადება) ავალდებულებს ამ ორგანიზაციას გადაუხადოს დაპირებული ჯილდო იმ პირს, რომლის ნამუშევარიც ცნობილი იქნება ჯილდოს ღირსად კონკურსის პირობების შესაბამისად.

ბევრი სიახლეა კოდექსით ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების მოწესრიგებისას. ზიანის მიყენებისას ვალდებულება წარმოიშობა არამართლზომიერი ბრალეული ქმედობისას. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, როცა ეს კანონითაა გათვალისწინებული შეიძლება ანაზღაურდეს მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანი, მაგალითად, უკიდურესი აუცილებლობის დროს.

კოდექსით სპეციალურადაა მოწესრიგებული იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა. 460-ე მუხლით ორგანიზაცია, როგორც იურიდიული პირი მოვალეა ანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიყენებულია მისი მუშაკის ბრალით შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულების დროს. ასევე ავებს პასუხს სახელმწიფო დაწესებულება მოქალაქისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ამ დაწესებულების თანამდებობის პირის არასწორი მოქმედებით ადმინისტრაციული მმართველობის დარგში თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის და სასამართლო ორგანოების თანამდებობის პირთა არასწორი სამსახურებრივი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობა სათანადო სახელმწიფო ორგანოს ეკისრება კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ ფარგლებში.

კოდექსის 471-ე მუხლით იმ შემთხვევაში, როცა თვით დაზარალებულის უხეში გაუფრთხილებლობა ხელს უწყობდა ზიანის წარმოშობას ან გადიდებას,



მაშინ ანაზღაურების ოდენობა უნდა შემცირდეს მისი ბრალის ხარისხის მიხედვით, ან მას უარი უნდა ეთქვას ანაზღაურებაზე.

სასამართლოს უფლება აქვს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ოდენობა შეამციროს პირის ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. კოდექსით გათვალისწინებულია სოციალისტური ქონების გადარჩენისას გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესი.

კოდექსის IV კარი მიძღვნილია საავტორო სამართლისადმი.

საავტორო სამართალი კვლავაც აღიარებს თარგმნის თავისუფლებას, ყოველი ნაწარმოები შეიძლება გადაითარგმნოს სხვა ენაზე ავტორის თანხმობის გარეშე, მაგრამ ახლა დადგენილია, რომ აუცილებელია ეს ეცნობოს ავტორს. უფლება არა აქვს აკრძალოს სხვა ენაზე თარგმნა, მაგრამ მას შეუძლია მოითხოვოს გასასინჯად ნათარგმნი ეგზემპლარი.

ორიგინალის ავტორს მხოლოდ ერთ შემთხვევაში აქვს უფლება მოითხოვონ თარგმნის აკრძალვა: ეს მაშინ თუ თარგმნის შედეგად დამახინჯებულია ნაწარმოების მთლიანობა და აზრი. მთარგმნელს აქვს საავტორო უფლება შესრულებულ თარგმანზე, მაგრამ ეს უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს დამოუკიდებლად გადათარგმნონ იგივე ნაწარმოები.

კოდექსის 504-ე მუხლის მიხედვით ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნებული ნაწარმოების ავტორის ქონებრივ და პირად უფლებებს, ვიდრე ავტორი საჯაროდ გამოამჟღავნებს თავის ნამდვილ სახელს, დაიცავს ის ორგანიზაცია, რომელსაც ეკისრება ავტორთა უფლებების დაცვა.

ახალი კოდექსი ადგენს მემკვიდრეებზე საავტორო უფლების გადასვლის თხუთმეტწლიან საერთო ვადას.

კოდექსის 594-ე მუხლი ითვალისწინებს იმ პირის ინტერესების დაცვას, რომელიც გამოხატულია სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში. ამგვარი ნაწარმოების გამოყენება, აღბეჭდვა და გავრცელება დაიშვება მხოლოდ გამოხატულის თანხმობით, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ შვილებისა და მეუღლის თანხმობით. ამგვარი თანხმობა საჭირო არაა თუ გამოქვეყნება ხდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად ანდა თუ გამოხატულმა პირმა პოზირებისათვის ავტორისაგან ანაზღაურება მიიღო.

კოდექსის მეხუთე კარი „აღმოჩენის სამართლისადმი“ მიძღვნილი; აღმოჩენის სამართლის ცალკე ინსტიტუტად ჩამოყალიბება სრულიადაც არ არის შემთხვევითი. აღმოჩენა ეს არის მატერიალური სამყაროს ობიექტურად არსებული ადრეუცნობი კანონზომიერების თვისებისა და მოვლენის დადგენა. ამი-აღმოჩენა განსხვავდება, როგორც საავტორო ისე საგამომგონებლო სამართლის ობიექტისაგან და ამიტომაც განცალკევებულ მოწესრიგებას თხოვს.

კოდექსის მეექვსე კარი „გამომგონებლობის სამართლის“ ძირითად ცნებას გადმოსცემს.

კოდექსის მეშვიდე კარში მემკვიდრეობის სამართლის ნორმებია მოცემული.

პირველად ჩვენს კანონმდებლობაშია განსაზღვრული მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძვლები. მემკვიდრეობის უფლება არ აქვთ იმ პირებს, რომლებმაც თავიანთი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით, რაც მიმართული იყო სამკვიდროს დაპტოვების ან რომელიმე მისი მემკვიდრის, ანდა სამკვიდროს

დამტოვებლის ანდერძში გამოთქმული მისი უკანასკნელი ნებასურვილის წინააღმდეგ, — ხელს უწყობდნენ მათ გამოწვევას სამემკვიდრეოდ, როცა ეს გარემოებები დადასტურებულია სანამართლო წესით. ასევე არა აქვთ კანონით მემკვიდრეობის უფლება მშობლებს შვილების შემდეგ, რომელთა მიმართაც მათ ჩამოერთვათ მშობლიური უფლებები და მემკვიდრეობის გახსნის დროისათვის არ ყოფილან აღდგენილი ამ უფლებებში, აგრეთვე მშობლებსა და სრულწლოვან შვილებს, რომელნიც ბოროტულად თავს არიდებენ მათზე კანონით დაკისრებულ მოვალეობებს სამკვიდროს დამტოვებლის რჩენისათვის.

კოდექსის 544-ე მუხლით დადგენილია კანონით მემკვიდრეთა ორი რიგი.

**პირველი რიგის მემკვიდრეები:** გარდაცვლილის შვილები, (მათ შორის ნაშვილები), მეუღლე და მშობლები (მშვილებლები). აგრეთვე გარდაცვლილის შვილი, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ დაიბადა.

**მეორე რიგის მემკვიდრეები:** გარდაცვლილის დები და ძმები, ბებია და ბაბუა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან.

კანონით მემკვიდრეთა რიცხვს მიეკუთვნებიან შრომისუუნარო პირები, რომლებიც გარდაცვლილის რჩენაზე იმყოფებოდნენ არანაკლებ ერთი წლისა მის გარდაცვალებამდე. სხვა მემკვიდრეების არსებობის დროს, ისინი მემკვიდრეობას მიიღებენ იმ რიგის მემკვიდრეების თანაბრად, რომელნიც გამოწვეული არიან მემკვიდრეობის მისაღებად.

კოდექსი ითვალისწინებს აგრეთვე კანონით მემკვიდრეებს წარმოადგენილობის უფლებით. სამკვიდროს დამტოვებლის შვილიშვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ მემკვიდრეობის გახსნის დროისათვის ცოცხალი არ არის მათი ის მშობელი, რომელიც მემკვიდრე იქნებოდა. სამკვიდროს დამტოვებლის ძმისშვილები და დისშვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ მემკვიდრეობის გახსნის დროისათვის ცოცხალი არ არის მათი მშობელი, რომელიც მემკვიდრე იქნებოდა.

კოდექსი ქონების საანდერძო განკარგულების ფარგალს განსაზღვრავს ახლებურად.

559-ე მუხლით ანდერძის სანოტარო ფორმასთან გათანაბრებულია სხვადასხვა ფორმის ანდერძები; მაგალითად, საავადმყოფოებში, სასტუმროებში და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე ინვალიდთა სახლებში სამკურნალოდ მყოფ მოქალაქეთა ანდერძი დამოწმებული მთავარი, უფროსი ან მორიგე ექიმის მიერ. პატიმრობაში მყოფი მოქალაქეების ანდერძი, დამოწმებული საპატიმრო ადგილის უფროსის მიერ და ა. შ.

საკოლმეურნეო ქონების საერთო ქონებაზე მემკვიდრეობა მხოლოდ მაშინ გაიხსნება თუ კომლში არ დაარჩენილა არც ერთი წევრი, ხოლო კომლის წევრის პირად ქონებაზე მემკვიდრეობა საერთო წესით იხსნება.

კოდექსის ბოლო, მერვე კარში განსაზღვრულია, რომ უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოს სსრ-ში სარგებლობენ სამოქალაქო უფლებათუნიანიანობით საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად.

ჩვენი იურისტების ვალია ფართო პროპაგანდა გასწიონ მშრომელთა მასებში ახალი კოდექსის ვასაცნობად.

# საზოგადოებრივი საზიაროება, როგორც დანაშაულის სწავლის აუდიტორი ნიშანი

პროფ. თ. შარვაშიანი

საბჭოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა დანაშაულის ცნების განსაზღვრებისას ცდილობს მიუთითოს ისეთ ნიშანზე, რომელიც მის სოციალურ-პოლიტიკურ არსს გვიჩვენებს. წინააღმდეგ დანაშაულის ცნების ფორმალური განსაზღვრებისა, რასაც ბურჟუაზიული კანონმდებლობანი იძლევიან, საბჭოთა სისხლის სამართალი იძლევა დანაშაულის ცნების მატერიალურ განსაზღვრებას. ამას საბჭოთა კანონმდებლობა იმით აღწევს, რომ დანაშაულად თვლის მხოლოდ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას.

დანაშაულის ცნების მატერიალური განსაზღვრება საბჭოთა სისხლის სამართალში თანდათანობით ჩამოყალიბდა და დაიხვეწა. მითითება, რომ დანაშაულად მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში ქმედობა უნდა ჩაითვალოს, საბჭოთა ხელისუფლების უკვე პირველივე წლების საკანონმდებლო აქტებში გვხვდება. „რსფსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის სახელმძღვანელო საწყისებში“, რომელნიც 1919 წლის 12 დეკემბერს დამტკიცა რსფსრ-ის იუსტიციის სამინისტრომ, პირველად საკანონმდებლო წესით მოცემული იყო დანაშაულის ცნების ზოგადი მატერიალური განსაზღვრება. სახელმძღვანელო საწყისების მე-5 მუხლის თანახმად, დანაშაული განსაზღვრული იყო, როგორც „სისხლის სამართლით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წესრიგის დარღვევა“, ხოლო იმავე „სახელმძღვანელო საწყისების“ მე-6 მუხლით — როგორც „საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსებული სისტემისათვის საშიში მოქმედება ან უმოქმედობა“. მართალია, „სახელმძღვანელო საწყისების“ აღნიშნული მუხლები პირდაპირ არ მიუთითებდნენ, თუ, სახელდობრ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა როგორ სისტემას ხელყოფს დანაშაული, მაგრამ ეს ხარვეზი შევსებული იყო მე-3 მუხლით, სადაც ნათქვამი იყო, რომ „საბჭოთა სისხლის სამართლის ამოცანას წარმოადგენს რეპრესიის მეშვეობით დაიცვას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც შესაბამემა გაბატონებულ კლასად ორგანიზებული მშრომელთა კლასების ინტერესებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პროლეტარული დიქტატურის პერიოდში“.

ამგვარად, საბჭოთა სისხლის სამართლის პირველ კოდიფიცირებულ საკანონმდებლო აქტში სავსებით გარკვევით იყო მითითებული დანაშაულის ცნების სპეციფიკურ მატერიალურ ნიშანზე — მის საშიშროებაზე კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი სახელმწიფოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემისათვის. ამ დროიდან მოყოლებული საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დანაშაულის შემადგენელი არსებითი ელემენტი, შეტანილია დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში ყველა მომდევნო სისხლის სამართლის კოდექსის მიერ.

დანაშაულის კლასობრივი შინაარსის ზუსტი საკანონმდებლო ფიქსირება მოცემული იყო რსფსრ-ის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის კოდექსებში. ამ კოდექსის მე-6 მუხლში ნათქვამი იყო: „დანაშაულად ჩაითვლება ყოველი საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ემუქრება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ კომუნისტურ წყობილებაზე გარდამავალი პერიოდისათვის დამყარებულ მართლწესრიგს“.

დანაშაულის ცნების განსაზღვრება, მოცემული 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიერ, სრულყოფილი არ იყო. ჯერ ერთი, არ იყო სწორი მითითება, თითქოს დანაშაულად ჩაითვლება ყოველი მოქმედება, რომელიც ემუქრება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს და საბჭოთა მართლწესრიგს. საბჭოთა წყობილების საფუძვლებს შეიძლება ემუქრებოდეს ისეთი მოქმედებაც, რომელიც ჩადენილია შეურაცხველი პირის მიერ, ხოლო ასეთი მოქმედება დანაშაულად არ ჩაითვლება. მით უმეტეს, არა ყოველი მოქმედება, რომელიც არღვევს საბჭოთა მართლწესრიგს, შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად. საბჭოთა მართლწესრიგს არღვევს აგრეთვე სამოქალაქო დელიქტი, ადმინისტრაციული ან დისციპლინური დარღვევა, მაგრამ მათ დანაშაულთან ვერ გავიგივებთ.

დანაშაულის ცნების განსაზღვრება, მოცემული რსფსრ-ის 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსში, მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებით გადავიდა რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლში და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხ.).

დანაშაულის ცნების უფრო სრულყოფილი განსაზღვრება მოცემულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლებში. საფუძვლების მე-7 მუხლის თანახმად, „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ ან სახელმწიფო წყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სოციალისტურ საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომით, ქონებრივ და სხვა უფლებებს, აგრეთვე სოციალისტური მართლწესრიგის ხელშეწყობი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით“. აღნიშნული განსაზღვრება უცვლელად შევიდა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში (საქართველოს სსრ სსკ მუხ. 8).

ამგვარად, მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა ინარჩუნებს დანაშაულის მატერიალურ განსაზღვრებას შეაქვს რა მასში საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტი. თანაც საზოგადოებრივი საშიშროების ცნება აქ გათანაბრებული არ არის დანაშაულის ცნებასთან, არამედ წარმოადგენს მის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს. ამავე დროს საფუძვლების მე-7 მუხლში კონკრეტულია, თუ როგორი მოქმედება უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად. ეს კონკრეტულობა ხდება იმ ძირითადი ობიექტების ჩამოთვლით, რომელთაც ხელყოფს დანაშაულებრივი ქმედობა. მე-7 მუხლში მოცემული ჩამოთვლა ატარებს არაამომწურავ, არამედ სანიმუშო ხასიათს, სწორედ ამიტომ კანონში კონკრეტული ობიექტების ხელშეწყობი ქმედობასთან ერთად მითითებულია სოციალისტური მართლწესრიგის ხელშეწყობი სხვა საზოგადოებრივად საშიშ ქმედობაზეც.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ახალ სისხლის სამართლის კოდექსებსაც საზოგადოებრივი საშიშროების მომენტი შეაქვთ დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში, ასე, მაგალითად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსით „დანაშაულად ითვლება ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), ჩადენილი ბრალეულად და გამოცხადებული კანონით დასასჯელად“ (მუხ. 2). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის 1961

საქართველოს საზოგადოებრივი საშიშროება

სსრ სსკ  
უცვლელი  
ანგარიში



წლის სს კოდექსით „დანაშაულად ითვლება საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომლის ჩადენისთვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელის დანიშვნა და რომელიც ჩადენილია განზრახ ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში — გაუფრთხილებლობით“ (§ 2, 1). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1961 წლის კოდექსით „დანაშაულად ითვლება საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომლის ნიშნები მითითებულია კანონში“ (§ 3, პ. 1). დაახლოებით ასეთივე განსაზღვრებანი მოცემულია სხვა სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში.

დანაშაულის ცნებაში საზოგადოებრივი საშიშროების მომენტის შეტანით სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობა ხაზს უსვამს იმ ვარემოებას, რომ დანაშაული ეწინააღმდეგება კომუნისმისაკენ მიმავალი საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, რომლებიც ამ კანონზომიერებას შეესაბამებიან, და მისგან გამომდინარეობენ. ეს ნიშანი საერთოა ყველა დანაშაულისათვის, რა სიმძიმისაც და რა სახისაც უნდა იყოს იგი.

ზემოაღნიშნულის გამო საზოგადოებრივი საშიშროების ცნების ზუსტად დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც იმ საკითხის გადასაჭრელად, უნდა იქნეს თუ არა ესა თუ ის მოქმედება აღიარებული კანონმდებლის მიერ დანაშაულებრივ და სასჯელის ღირს ქმედობად, ისე საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გამოსარკვევად, რაც ძირითადი კრიტერიუმია სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის.

საზოგადოებრივი საშიშროების ცნების გაგებაში სრული შეთანხმებულობა სოციალისტურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს. უფრო მეტიც, უკანასკნელ წლებში აქა-იქ გაისმის ხმები, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნის გათვალისწინება დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში ზედმეტია და მას მხოლოდ ბუნდოვანება შეაქვს დანაშაულის საკანონმდებლო ფორმულაში.

საბჭოთა კრიმინალისტების ერთი ნაწილი განსაზღვრავს საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას, როგორც საშიშროებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემისათვის. მაგალითად, ი. სამოშჩენკო დანაშაულთა სპეციფიკურ ნიშნად თვლის იმას, რომ ისინი „საზიანონი არიან საზოგადოების არსებობის პირობებისათვის, მთელი უწყებელი საზოგადოებისათვის“. <sup>1</sup> ამავე შეხედულებას იზიარებს ბულგარელი კრიმინალისტი კ. ლიუტოვი, რომლის აზრით, საზოგადოებრივი საშიშროება ნიშნავს „საშიშროებას სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილებისათვის, საზოგადოებისა, როგორც მთლიანობისათვის“ <sup>2</sup> „...საზოგადოებრივი საშიშროება, — წერს იგი — უნდა განვიხილოთ როგორც დამოკიდებულება ქმედობასა და მთელი საზოგადოების განვითარებას შორის. როგორც ჩადენილი ქმედობის უარყოფითი ზეგავლენა სწორედ ამ განვითარებაზე და არა ცალკეულ საზოგადოებრივ მოვლენებზე“. <sup>3</sup>

ამგვარადვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოცემული სისხ-

<sup>1</sup> И. В. Самощенко, Понятие правонарушения по советскому законодательству, М., 1963, стр. 58, 167 и др.

<sup>2</sup> Костадин Лютов, Содержание понятия „Общественной опасности“, Вопросы основного права стран народной демократии, М., 1963, стр. 223.

<sup>3</sup> იქვე.

ლის სამართლის სახელმძღვანელოს ავტორები მიუთითებენ, რომ დანაშაულებრივ ხელყოფას არა სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცალკეულ სახეებს, არამედ მათ ერთობლიობას და ამიტომ წარმოადგენს უშუალო საშიშროებას მთელი საზოგადოებისათვის. სახელმძღვანელოში აღნიშნულია: „ცალკეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყოველი ხელყოფა მეტი თუ ნაკლები ოდენობით და ამა თუ იმ მხრივ მიმართულია სახალხო დემოკრატიული საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ... დებულება, რომ ყოველი დანაშაული წარმოადგენს ხელყოფას დანაშაულის საერთო ობიექტზე, რომელიც დახასიათებულ უნდა იქნეს როგორც სახალხო დემოკრატიული წყობილება და მართლწესრიგი, არ ითმენს არავითარ გამონაკლისს“.<sup>1</sup>

კრიმინალისტები, რომლებიც საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას განსაზღვრავენ როგორც ქმედობის საშიშროებას მთელი სოციალისტური საზოგადოების სისტემისათვის, ამავე დროს ამტკიცებენ, რომ ეს თვისება წარმოადგენს დანაშაულის ცნების სახეობით და არა გვარეობით ნიშანს, რომ, მაშასადამე, დანაშაული სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება სხვა სახის სამართლებრივი დარღვევისაგან, მაგალითად, ადმინისტრაციული დარღვევისაგან. ასეთი შეხედულება პირველად საბჭოთა ლიტერატურაში პროფ. ნ. დურმანოვი გამოთქვა. მან დააყენა ასეთი საკითხი: „განსხვავდება თუ არა დანაშაული სხვა სამართალდარღვევათაგან ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებით, რომელიც მისთვისაა თანაარსი, თუ მხოლოდ ხარისხით საზოგადოებრივი საშიშროებისა, რაც თანაარსია ყველა სამართალდარღვევისათვის?“<sup>2</sup> ამ კითხვაზე პროფ. ნ. დურმანოვი უპასუხებდა, რომ „ყველა სამართალდარღვევა როდი შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად“<sup>3</sup> რომ ეს ნიშანი არ ახასიათებს არც სამოქალაქო დელიქტს, არც ადმინისტრაციულ ან დისციპლინურ დარღვევას. „უმნიშვნელო დარღვევები, რომლებიც ადმინისტრაციული ან დისციპლინური წესით იღვევებიან, არ შეეხებიან საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემას და ამიტომ ვერ ჩაითვლებიან საზოგადოებრივად საშიშად“<sup>4</sup> პროფ. ნ. დურმანოვი არ უარყოფს, რომ ადმინისტრაციული გადაცდომანიც ხელს უშლიან რაიმე საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის განხორციელებას და ამიტომ ობიექტურად მაგნე მოქმედებანი არიან, მაგრამ, მისი აზრით, მათ არ ახასიათებთ საშიშროება მთელი საზოგადოებისათვის, რაც დანაშაულის აუცილებელ ნიშანს შეადგენს.<sup>5</sup> აქედან წარმოიშვა ფორმულა: დანაშაული არის საზოგადოებრივად საშიშო ქმედობა, ხოლო ადმინისტრაციული ან სხვა სახის სამართალდარღვევა — მაგნე მოქმედება.

ნ. დურმანოვის ზემოხსენებულ დებულებას ავითარებს აგრეთვე ი. სამოშჩენკო. სამოშჩენკოც არ უარყოფს იმას, რომ სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ დისციპლინური დარღვევა ცნების მომტანია საბჭოთა საზოგადოებისათვის, მაგრამ მაშინ, როდესაც სამართლებრივი დარღვევის სხვა სახეები ხელყოფენ ამა

<sup>1</sup> Yehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, Allgemeiner Teil, Berlin, 1957, s. 315.

<sup>2</sup> Н. М. Дурманов, Понятие преступления, М., 1948 г., стр. 135.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> ნ. მ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 290.



თუ იმ ცალკეულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, მართლწესრიგის ამა თუ იმ მხარეს, დანაშაული ხელყოფს მართლწესრიგს მის მთლიანობაში.<sup>1</sup>

ჩვენის აზრით, საზოგადოებრივი საშიშროების, როგორც დანაშაულის აუცილებელი ელემენტის, ასეთი გაგება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს.

პირველად ყოვლისა, ვერ დავეთანხმებით იმ თვალსაზრისს, თითქოს საზოგადოებრივი საშიშროება თანაარსია მხოლოდ დანაშაულისათვის და იგი სხვა სამართალდარღვევას არ ახასიათებს. ეს დებულება იმ არასწორი საფუძვლიდან გამომდინარეობს, თითქოს ყოველი დანაშაულებრივი ქმედობა უშუალო საშიშროებას წარმოადგენდეს მთელი სოციალისტური საზოგადოებისათვის, მთელი მართლწესრიგისათვის, ხოლო ადმინისტრაციული, დისციპლინური თუ სხვა სახის დარღვევა არავითარ საფრთხეს არ ქმნიდეს მთელი მართლწესრიგისათვის.

დანაშაული, რაც უნდა მძიმე იყოს იგი, როგორც წესი, არ ქმნის უშუალო საფრთხეს სოციალისტური საზოგადოების არსებობისათვის. ასეთი უშუალო საფრთხე შეიძლება შექმნას მხოლოდ ზოგიერთმა მძიმე სახელმწიფო დანაშაულმა, და თანაც გარკვეულ პირობებში. დანაშაული ჰქმნის უშუალო საფრთხეს იმ კონკრეტული საზოგადოებრივ ურთიერთობისათვის, ე. ი. იმ ობიექტისათვის, რომლის წინააღმდეგაც იგი მიმართულია. იმის მტკიცება, თითქოს ყოველი დანაშაული უშუალო საშიშროებას ქმნის მთელი საბჭოთა საზოგადოების არსებობის პირობებისათვის, მასასადამე, მთელი მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილებისათვის, ფაქტიურად მოასწავებს ინდივიდუალური დანაშაულებრივი აქტის გაიგივებას დანაშაულობასთან, როგორც ასეთთან.

მაგრამ არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ რადგან თვითეული დანაშაულებრივი ქმედობა უშუალოდ მიმართულია გარკვეული ობიექტის წინააღმდეგ და, მასასადამე, ჰქმნის საფრთხეს გარკვეული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, იგი ამავე დროს არ წარმოადგენს არაუშუალო საშიშროებას სოციალისტური საზოგადოების არსებობის პირობებისათვის. უშუალოდ აზიანებს რა კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების კომპლექსში შედის, როგორც მისი ერთ-ერთი ელემენტი, ვნებს რა საბჭოთა მართლწესრიგის ერთ მხარეს, რომელიც ამ მართლწესრიგის შემადგენელი ელემენტია, დანაშაული ამით საშიშროებას ჰქმნის მთელი საზოგადოებისათვის, მთელი მართლწესრიგისათვის. განვმარტოთ ეს კონკრეტულ მაგალითზე: ვინმემ მიითვისა სახელმწიფო ქონება მცირე რაოდენობით. თავისდათავად, უშუალოდ ამ დანაშაულმა არ შეიძლება შექმნას საშიშროება მთელი მართლწესრიგისათვის, მთელი სოციალისტური საზოგადოების არსებობის პირობებისათვის. მაგრამ, რამდენადაც სოციალისტური საკუთრების ურთიერთობა ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია ჩვენი სამეურნეო წყობილებისა და ჩვენი მართლწესრიგისა, ყოველი აქტი, უშუალოდ მიმართული სოციალისტური საკუთრების ცალკეული ობიექტის წინააღმდეგ, ამავე დროს არაპირდაპირ, არაუშუალოდ ხელყოფს მთელი სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს, მართლწესრიგს, როგორც მთლიანობას. დაბოლოს საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დანაშაულის დამახასიათებელი ნიშანი, არ შეიძლება შეფასებულ იქნეს მხოლოდ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედობის ჩარჩოებში, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება,

<sup>1</sup> И. С. Самошенко, Понятие правонарушения по советскому законодательству. 1963, стр. 167—168. იხ. აგრეთვე გვ. 51—69.

თუ რა საწარმოებას ქმნიან სოციალისტური საზოგადოებისათვის ერთობლივად ამგვარი ქმედობანი.

თავისთავად ცხადია, რომ თუ ცალკეული დანაშაული არღვევს უშუალოდ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას და მხოლოდ არაპირდაპირ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემას, დანაშაულთა ცალკე სახეები ადვილად შეიძლება განვასხვავოთ მათი საზოგადოებრივი საწარმოების ხარისხის მიხედვით. ამ ხარისხის ძირითადი განმსაზღვრელი მომენტი იქნება იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის ღირებულება, რომელსაც უშუალოდ ხელყოფს დანაშაული. შემთხვევითი არ არის ამიტომ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში მოცემული სისტემა ძირითადად სწორედ დანაშაულის ობიექტს ემყარება.

არამართებულია იმის მტკიცებაც, თითქოს საზოგადოებრივი საწარმოების მომენტი არ ახასიათებს სხვა სახის დარღვევას — დისციპლინურს, ადმინისტრაციულს, სამოქალაქოს.

ასეთი შეხედულება, პირველად ყოვლისა, ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ქმედობა, რომელიც დანაშაულად იყო გამოცხადებული, შემდეგ ამორიცხულ იქნა დანაშაულთა სიიდან და სახელმწიფო მას უკვე დისციპლინური ან ადმინისტრაციული ღონისძიებების მეშვეობით ებრძვის. ამას ადვილი ჰქონდა განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სისხლის სამართლის კოდექსების შედგენის დროს. ასეთი ქმედობების სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღება მოტივირებული იყო არა იმით, რომ ისინი დღევანდელ პირობებში საერთოდ აღარ წარმოადგენდნენ საზოგადოებრივ საწარმოებას, არამედ იმით, რომ მცირე საზოგადოებრივი საწარმოების მქონე ქმედობებთან ბრძოლა სახელმწიფო იძულების ისეთი მკაცრი იძულებითი ღონისძიების მეშვეობით, როგორცაა სისხლისსამართლებრივი სასჯელი, მიზანშეუწონელია და საკმარისია დავკვრდეთ ადმინისტრაციული ან დისციპლინური ღონისძიების გამოყენებას.

ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია ის დებულება, რომ ყოველი სამართლებრივი დარღვევა განსაზღვრული ხარისხის, მეტ თუ ნაკლებ საზოგადოებრივ საწარმოებას შეიცავს. ყოველი სამართლებრივი დარღვევა მიმართულია განსაზღვრული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ, არღვევს მართლწესრიგის ამა თუ იმ მხარეს, მაგრამ არაპირდაპირ იგი არღვევს მართლწესრიგს როგორც მთლიანობას.

ყოველი სამართლებრივი დარღვევის არსი სამართლის მიზნებთან კავშირში უნდა განვიხილოთ. საბჭოთა სამართლის მიზანია დაიცვას მშრომელი მოსახლეობის კანონიერი ინტერესები, ხელი შეუწყოს მათ მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებას და საბოლოოდ — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას. ყოველი მოქმედება, რომელიც ამ მიზანს ეწინააღმდეგება და სამართლებრივ ნორმას არღვევს, საზოგადოებრივად საშიშია და უმართლობას წარმოადგენს. რა თქმა უნდა ამ ქმედობათა საზოგადოებრივი საწარმოება შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, ზოგისა უფრო მძიმე, ზოგისა უმნიშვნელო, მაგრამ ყოველი უმართლობის საზოგადოებრივი არსი სწორედ მის ობიექტურ საზოგადოებრივ საწარმოებაშია.

„პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, — წერს ო. შიშოვი, — რომ ცალკეული ადმინისტრაციული დარღვევანი, თავისთავად აღებულნი, როგორ-

რიცაა მაგალითად, ქუჩაზე გადასვლა აკრძალულ ადგილას, გაზონებზე სიარული და სხვ. მეტად უმნიშვნელოა და ამიტომ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს. მაგრამ არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ, რომ ცალკეული სამართალდარღვევის საზოგადოებრივ საშიშროებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ ამგვარ მოქმედებათა ერთობლიობის საფუძველზე. ამა თუ იმ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება უნდა შევაფასოთ არა მარტო მისი გამოვლინების ცალკეული ფაქტების მიხედვით, არამედ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გავრცელებულია ამგვარი სამართალდარღვევა, რამდენად წარმატებით მიმდინარეობს მათთან ბრძოლა და სხვ. მისთ<sup>1</sup>.

საცვებით მართებულად წერს აგრეთვე პროფ. ა. სახაროვი დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ, რომ „საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მომუშავის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობათა ყოველი დარღვევა, რომელიც უცილობელ კვალს ტოვებს მთელი აპარატის წარმატებით საქმიანობაზე, საზოგადოებრივად საზიანო და შეუწყენარებელი მოვლენაა“<sup>2</sup>

დაბოლოს აღსანიშნავია ერთი მომენტი. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება — ქმედობის დამახასიათებელი ობიექტური თვისებაა, რომელიც არსებობს იმისდა მიუხედავად, გამოცხადებულია თუ არა ეს ქმედობა სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დასჯად ქმედობად. ხოლო თუ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საზოგადოებრივი საშიშროება არ ახასიათებს არც ერთ სხვა სამართალდარღვევას, გარდა დანაშაულისა, მაშინ ამით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ საზოგადოებრივი საშიშროება ქმედობის ობიექტური საზოგადოებრივი თვისება კი არ ყოფილა, არამედ თვისება, რომელიც მას მიანიჭა თვით კანონმდებელმა მისი დანაშაულად გამოცხადებით. სინამდვილეში ამა თუ იმ ქმედობის შეტანით სისხლის სამართლის კოდექსში სახელმწიფო პირველად კი არ აფუძნებს მის საზოგადოებრივ საშიშროებას, არამედ აღიარებს რა, რომ ეს ქმედობა ობიექტურად, თავისი თვისებებით ეწინააღმდეგება სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ცნობს მას სისხლის სამართლის ნორმის საწინააღმდეგო და დასჯად ქმედობად. სახელმწიფო ხელისუფლების ეს აქტი ამგვარად აფუძნებს არა ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ, არამედ მის დანაშაულებრივ ხასიათს. როგორც კ. მარქსი მიუთითებდა, „...ოფიციალურ საზოგადოებაზე რამდენადმე დამოკიდებულია, დააკვალიფიციროს მის მიერ დადგენილ კანონთა ზოგიერთი დარღვევა დანაშაულად ან მხოლოდ გადაცდომად“<sup>3</sup>.

ამგვარად საზოგადოებრივი საშიშროება არ წარმოადგენს დანაშაულის ცნების სახეობით ნიშანს (*differentia specifica*), რომელიც განასხვავებს მას სხვა სამართალდარღვევათაგან, არამედ იგი გვარობითი ნიშანია (*genus proximus*), რომელიც ახასიათებს როგორც დანაშაულს, ისე სამართალდარღვევის სხვა სახეებსაც. უფრო მეტიც, ქმედობა შეიძლება არ ეწინააღმდეგებოდეს არავითარ სამართლებრივ ნორმას და მიუხედავად ამისა საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენდეს. ავიღოთ ისეთი ამორალური ქმედობანი, როგორიცაა სისხლის აღრევა, ცხოველთმავლობა, შეგულიანება ან ხელისშეწყობა სრულ-

<sup>1</sup> О. Ф. Шишов, О разграничении преступлений и административных проступков в советском праве, „Советское государство и право“, 1961, № 6, стр. 70—71.

<sup>2</sup> А. Б. Сахаров, Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1956, стр. 160.

<sup>3</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 13, стр. 516.

წლოვანი შერაცხადი პირის თვითმკვლელობისათვის. ეს მძიმე ამოცანა ქმედობანი უეჭველად საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ, ისინი ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ მორალს, სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, მაგრამ სოციალისტური საზოგადოება საჭიროდ თვლის ებრძოლოს მათ არა სახელმწიფოებრივი იძულების ღონისძიებებით, არამედ საზოგადოებრივი ზემოქმედების მეთოდებით. მათსადამე, საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე სამართალდარღვევისა. ყოველი საქართველოდღევ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს, მაგრამ ყოველი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა როდია დანაშაული. ამ შეხედულებას იზიარებს საბჭოთა კრიმინალისტების უმრავლესობა<sup>1</sup>. მას ეთანხმებიან აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების მთელი რიგი კრიმინალისტები<sup>2</sup>.

სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოთქმულია შეხედულება, რომ საზოგადოებრივი საშიშროების მომენტი სრულიად უნდა იქნეს გამორიცხული დანაშაულის ცნების განსაზღვრებიდან. ასე მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტის პროფ. ჰ. ვებერის აზრით, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს შეხედულება, თითქოს ყოველი დანაშაული მიმართულია მთელი საზოგადოების წინააღმდეგ და მათსადამე, ყოველი ცალკეული სამართალდამრღვევი პრინციპულ და გლობალურ წინააღმდეგობაშია მთელ სოციალისტურ საზოგადოებასთან<sup>3</sup>. ასეთი თვისება დასჯად ქმედობათა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ახასიათებს. ვებერი ეთანხმება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს, რომ თვით სახელმწიფო დანაშაულნიც კი არ ხელყოფენ ხელისუფლების ურთიერთობათა მთელ სისტემას, რომ სამშობლოს დასაცემის გარდა, სხვა დანარჩენი სახელმწიფო დანაშაულნი გარკვეულ სპეციფიკურ საზოგადოებრივ ურთიერთობას უქმნიან საშიშროებას და თავისი არსით ერთიანი ხელისუფლების ერთ მხარეს ხელყოფენ<sup>4</sup>. მით უმეტეს იგივე უნდა ითქვას სხვა სახის დანაშაულზე, განსაკუთრებით კი მცირე მნიშვნელობის გადაცდომებზე, რომელთაც ჩვეულებრივად საზოგადოებრივი ღონისძიებების მეშვეობით ებრძვიან.

ვებერის აზრით, არსებობს დასჯად ქმედობათა ორი ძირითადი ჯგუფი, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი სოციალური არსით, და ამიტომ მათთან ბრძოლაც მკვეთრად დიფერენცირებული უნდა იყოს. სახელმწიფო დანაშაული და სხვა მძიმე დანაშაულნი თვისობრივად სხვა ფაქტორებით არიან გამოწვეული, ვიდრე უფრო მცირე ხასიათის დასჯადი ქმედობანი,

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 47. А. Б. Сахаров, Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву, 1956, стр. 152—161; его же, Должностное преступление и дисциплинарный проступок, „Советское государство и право“, 1955 г. № 2, стр. 98; О. С. Иоффе, М. Д. Шаргородский, Вопросы теории права, 1961, стр. 401; О. Ф. Шишов, О разграничении преступлений и административных проступков в советском праве, „Советское государство и право“, 1961 г., № 6.

<sup>2</sup> Ганс Гератс, „Материальное понятие преступления“ и основания уголовной ответственности, Государство и право в свете Великого октября, М., 1928, Л. Шуберт, „Об общественной опасности преступного деяния“, М., 1940, стр. 23—30.

<sup>3</sup> Н. Weber, Zum Begriff der Straftat im künftigen Strafgesetzbuch, „Staat und Recht“, 1963, № 10, s. 16—17.

<sup>4</sup> იქვე, 16—18.

რომელთაც შეიძლება გადაცდომა ვუწოდოთ. თუ პირველნი სოციალიზმის მოწინააღმდეგე, კონტრრევოლუციურ-ინტერვენციონისტული ფსიქიკური განწყობით არიან განპირობებულნი, გადაცდომებს ჩვეულებრივად ისეთი ადამიანები იღენენ, რომელთა საერთო განწყობა არ არის მიმართული სოციალიზმის წინააღმდეგ, რომელნიც მოცულნი არიან ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობით. და თუ მათ, ვინც ჩვენი ხალხის ცხოვრებას, მის არსებობას ემუქრება, ჩვენ სასტიკად ვსჯით, გადაცდომის ჩამდენთ მოთმინებით ვარწმუნებთ და ვზრდით, უნერგავთ მათ სოციალისტური საზოგადოების პატივისცემის გრძნობას.

აქედან გამომდინარე ვებერს თეორიულად გაუმართლებლად მიაჩნია, რომ თვისობრივად არსებითად განსხვავებული დასჯადი ქმედობანი დანაშაულის ერთიანი ცნების ჩარჩოებში მოვაქციოთ და საერთო ნიშნით — საზოგადოებრივი საშიშროებით — დავახასიათოთ. ამის მაგივრად პ. ვებერი წინადადებას იძლევა სისხლის სამართლის კოდექსში განისაზღვროს დასჯადი ქმედობის ძირითადი კატეგორიები — დანაშაული და გადაცდომა, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი სოციალური არსით, და ამიტომ დიფერენცირებულ სისხლისსამართლებრივ სანქციებს მოითხოვენ.

ანალოგიური შეხედულება იყო გამოთქმული მთელი რიგი გერმანელი კრიმინალისტების მიერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის ძირითადი საკითხებისადმი მიძღვნილ მეცნიერულ კონფერენციაზე. ამ კონფერენციაზე წარმოდგენილ თეზისებში პროფ. რენებერგი ამტკიცებდა, რომ „საზოგადოებრივი საშიშროება“ დღეს უკვე ვეღარ გამოხატავს დასასჯელ ქმედობათა უმრავლესობის არსს; ამავე დროს იგი არ გამოდგება არც როგორც რაოდენობითი ნიშანი იმისათვის, რათა გავმიჯნოთ სისხლისსამართლებრივი გადაცდომა სხვა სახის სამართალდარღვევათაგან, ვინაიდან ასეთ გადაცდომათა უმრავლესობა არც ობიექტურად და არც სუბიექტურად არ არის უფრო მძიმე, ვიდრე სხვა სამართლებრივი დარღვევანი, მაგალითად, სამოქალაქო დელიქტი და სხვ. პროფ. რენებერგის აზრით, თუ „საზოგადოებრივი საშიშროებას (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) გამოვიყენებთ როგორც დასჯადი გადაცდომისა და არადასჯად დარღვევათა გამმიჯნავ კრიტერიუმს, მაშინ იძულებული ვიქნებით იმ საბოლოო დასკვნამდე მივიდეთ, რომ გადაცდომათა მნიშვნელოვანი ნაწილი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასჯადი ქმედობა და შეტანილი სისხლის სამართლის კოდექსში“<sup>1</sup>.

დანაშაულთა სხვადასხვა სახეების გაერთიანება დანაშაულებრივი ქმედობის ერთ საერთო ცნებაში და მათი დახასიათება ერთი საერთო ნიშნით „საზოგადოებრივი საშიშროებით“ რენებერგს იმ მხრითაც მიაჩნია მიზანშეუწონლად, რომ ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა დასასჯელ ქმედობათა სხვადასხვა სახეების თვისობრივად განმასხვავებელი ნიშნის მოძებნა. მართლმსაჯულების მთელი ყურადღება მიპყრობილი იქნებოდა იმაზე, რაც საერთოა ყველა დანაშაულისათვის, იმის მაგივრად, რომ მას შეესრულებინა პარტიისა და მთავრობის მითითებანი დანაშაულისადმი დიფერენცირებულად მიდგომის შესახებ<sup>2</sup>.

ამიტომ რენებერგი წინადადებას იძლევა, რომ სისხლის სამართლის კო-

<sup>1</sup> Grundfragen des neuen Strafgesetzbuches des Deutschen Demokratischen Republik, 1964, S. 73.

<sup>2</sup> იქვე.

დექსში არ იყოს შეტანილი დანაშაულის ცნების ზოგადი განმარტება. მისი აზრით, საკმარისია, თუ კოდექსში ფორმულირებული იქნება დებულება, რომ სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს ის, ვინც ბრალეულად ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაული ან გადაცდომა, და ამის შემდეგ მოცემული იქნება დანაშაულისა და გადაცდომის დახასიათება<sup>1</sup>.

ჩვენის აზრით, ასეთი წინადადება არ შეიძლება იყოს მიღებული. მითითება საზოგადოებრივ საშიშროებაზე, როგორც დანაშაულის ცნების ერთ-ერთ არსებით ელემენტზე, აუცილებელია იმისათვის, რათა შემუშავებულ იქნეს დანაშაულთან ბრძოლის საერთო საფუძველი და საერთო პრინციპები. როგორც მართებულად აღნიშნავენ მ. ბენიამინი და ჰ. რუჩი, — „ჩვენი სახელმწიფო ორგანოების ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შეზღუდოს და დათრგუნოს დანაშაულთა მხოლოდ განსაზღვრული ჯგუფები. კომუნიზმისაკენ გარდამავალი პერიოდისათვის აუცილებელია აუცილებულ იქნეს ყველა დანაშაულებრივი ქმედობა, ყველა სამართალდარღვევა“<sup>2</sup>.

საზოგადოებრივი საშიშროების ცნება, წინააღმდეგ მის მოწინააღმდეგეთა შეხედულებისა, აუცილებელია როგორც დანაშაულთა ცალკეული კატეგორიების დახასიათებისათვის, ისე დანაშაულებრივი ქმედობის გამიჯვნისათვის სხვა სამართალდარღვევათაგან. საზოგადოებრივი საშიშროების ცნება შეფასებითი ხასიათის ცნებაა და მიგვითითებს იმაზე, რომ ამ თვისების მქონე მოქმედება ეწინააღმდეგება ჩვენს საზოგადოებრივ წესრიგს, უარყოფით ზეგავლენას ახდენს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების სიმტკიცეზე და აფერხებს მათ განვითარებას. როგორც შეფასებითი ცნება, იგი შეიძლება სხვადასხვა ხარისხისა იყოს. მოქმედება შეიძლება იყოს მეტად თუ ნაკლებად საზოგადოებრივად საშიში. მოქმედების მეტი თუ ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა მეტ თუ ნაკლებ სიმძიმეზე. როგორც უკვე აღნიშნული იყო, დანაშაულთა კლასიფიკაცია, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილშია მოცემული, ძირითადად სწორედ მათ ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებაზეა აგებული (სხვა საკითხია, თუ რით განსაზღვრება თვით ეს ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროება).

იგივე ნიშანი — მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი — წარმოადგენს ძირითად კრიტერიუმს კანონმდებლობისათვის სისხლის სამართლებრივი დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გასამიჯნავად. დანაშაული, როგორც წესი, უფრო დიდი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია, ვიდრე სხვა სამართალდარღვევები, და სწორედ ამიტომ არის, რომ სახელმწიფოებრძვის მას სისხლის სამართლებრივი სასჯელის მეშვეობით, ე. ი. სახელმწიფოს იძულებით ღონისძიებათა შორის ყველაზე უფრო მკაცრი ზომის მეშვეობით „პრინციპში კანონმდებელს შეუძლია გამოაცხადოს დანაშაულად ყოველი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. მაგრამ, გამოდის რა სისხლის სამართლის ძირითადი ამოცანებიდან, იგი ამას მხოლოდ მაშინ აკეთებს, როდესაც ქმედობა, რომელსაც ის დასჯადად აცხადებს, საზოგადოებრივი საშიშროების ისეთ განსაზღვრულ ხარისხს აღწევს, რომ მასთან ბრძოლა საჭიროა სახელმწიფოებრივი

<sup>1</sup> Grundfragen des neuen Strafgesetzbuches des Deutschen Demokratischen Republik, 1964. S. 73—74.

<sup>2</sup> „Staat und Recht“, 1963, № 10, s. 1631.



იძულების ყველაზე უფრო ძლიერი საშუალებით — სისხლის სამართლის ნონით“<sup>1</sup>.

ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ცალკეული საზოგადოებრივად მეტად საშიში მოქმედება შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული, როგორც დანაშაული. მაგრამ ასეთი ფაქტი სრულიადაც არ უარყოფს იმას, რომ საზოგადოებრივი საშიშროების სიმძიმე კანონმდებლისათვის ამა თუ იმ ქმედობის კრიმინალიზაციის ძირითად მასშტაბს წარმოადგენს. ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ კანონმდებელი ამ სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური ამოცანის გადაჭრის დროს ემყარება არა მარტო ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, არამედ სხვა საფუძვლებსაც. როგორც მართებულად მიუთითებს პროფ. ჰ. გერაცი, „ქმედობის აღიარება დანაშაულად კონკრეტული და ყოველმხრივი სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური მოსაზრებების შედეგია. საჭიროა გამოვიკვლიოთ, როგორია სოციალისტური სახელმწიფოს რეაქცია საშიში ქმედობის მიმართ და მივიღოთ სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ამ პირობებში ამგვარი ქმედობა უნდა დაითრგუნოს, თანაც სასჯელის გამოყენების მუქარისა და კანონით დადგენილი სასჯელის შეფარდების მეშვეობით. საზოგადოებრივი საშიშროების, მორალური გასაკიცხობის, პოლიტიკური შეუწყნარებლობის ნიშნების გარდა, ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დასჯადობის ნიშანიც. მსჯელობა საშიშროების შესახებ იდენტური არ არის სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებისა სასჯელის აუცილებლობის შესახებ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Ласло Вышки, Умысел и общественная опасность, „Вопросы уголовного права стран народной демократии, М., 1963, стр. 279—280.

<sup>2</sup> Ганс Герате, „Материальное понятие преступления“ и основания уголовной ответственности, „Государство и право в свете Великого Октября“, М. 1958, стр. 247;

# საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ადმინისტრაციული კომისიების როლის საკითხისათვის

## 3. ლოგია

ადმინისტრაციული კომისიები არსებობენ მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და იხილავენ საქმეებს ადმინისტრაციული გადაცდომების შესახებ. ახალი ადმინისტრაციული კანონმდებლობის თანახმად მათ შეუძლიათ დააჯარიმონ მოქალაქეები 10 მანეთამდე და თანამდებობის პირები 50 მანეთამდე, ხოლო კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში — მოქალაქეები 50 მანეთამდე და თანამდებობის პირები 100 მანეთამდე (მაგ. აკრძალული რეწვის წარმოებისათვის, ნადირობის წესების დარღვევისათვის).<sup>1</sup>

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების დადების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ მე-11 და მე-13 მუხლების მიხედვით, ადმინისტრაციული კომისიები წარმოადგენენ ძირითად ორგანოებს ადმინისტრაციული გადაცდომების შესახებ საქმეების განხილვაში.<sup>2</sup> ამ ბრძანებულების შესაბამისად იმ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომელთაც შეუძლიათ ადმინისტრაციული ჯარიმის გამოყენება ადმინისტრაციულ კომისიებზე მიუმატავად, შეუძლიათ თავიანთი საქმეები განსახილველად გადასცენ ამ უკანასკნელს. გარდა ამისა გათვალისწინებულია, რომ ადმინისტრაციულ კომისიებს შეიძლება უშუალოდ გადაეცეთ განსახილველად ისეთი კატეგორიის ადმინისტრაციული საქმეებიც, რომლებსაც იხილავენ სხვა ორგანოები და თანამდებობის პირები. ასეთი საჭიროება შეიძლება დადგეს იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ ახალი კანონმდებლობა მოითხოვს ადმინისტრაციული ჯარიმების დამდები ორგანოებისა და თანამდებობის პირების რიცხვის შემდგომ შემცირებას.

ადმინისტრაციული კომისიები სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ორგანიზაციებია. მათი ასეთი ხასიათი განსაზღვრულია იმით, რომ კომისიების შემადგენლობაში დებუტატების თანაბარი უფლებებით მონაწილეობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ადმინისტრაციული კომისიები მთელ თავიანთ საქმიანობას აგებენ საზოგადოებრივ საწყისებზე, კოლექტიურად წყვეტენ ყველა საკითხს და აგებენ პასუხს ნაკლოვანებებისათვის.

მაგრამ ადმინისტრაციული კომისიები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ სახელმწიფოებრივი ორგანოების ხასიათსაც. მათ შემადგენლობაში უსათუოდ უნდა იყვნენ არჩეული რაიონული (საქალაქო) საბჭოს დებუტატები. კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ადმინისტრაციული კომისიების დებულების თანახმად, არის

<sup>1</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1964 წ. № 7, მ. 131. № 8, მ. 151.

<sup>2</sup> „Ведомости Верховного Совета СССР“ 1961 г. № 35, стр. 368.

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.<sup>1</sup> ადმინისტრაციული კომისიების სახელმწიფოებრივი ხასიათის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა ისიც, რომ ისინი ადმინისტრაციულ ჯარიმებს იყენებენ უშუალოდ და მათი დადგენილება ამ მხრივ სავალდებულოა შესასრულებლად ყველასათვის, ვისაც იგი ეხება (დამრღვევისათვის, მისი მუშაობის ადგილზე — ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის ან სასამართლოს აღმასრულებლისათვის). დებულების მე-18 მუხლის თანახმად პიროვნებას ადმინისტრაციული კომისიისაგან დაკისრებული ზემოქმედების ზომა მიყენებულად ეთვლება ერთი წლის მანძილზე.

თუკი ადმინისტრაციული კომისიები სახელმწიფოებრივი ორგანოებიცაა, ისინი უსათუოდ უნდა იყვნენ მმართველობის ორგანოები, ვინაიდან მათი საქმიანობა წარმოიშობა მმართველობის სფეროში. ადმინისტრაციული კომისიები მმართველობის ორგანოებთან შექმნილი ორგანოებია, რომელთა წინაშეც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან, ხოლო მათი საქმიანობა ატარებს მკვეთრად გამოხატულ ადმინისტრაციული პროცესის ხასიათს. აწარმოებენ რა ბრძოლას იმ მავნე შედეგების წინააღმდეგ, რასაც ადგილი აქვს სახელმწიფო მმართველობის სფეროში ადმინისტრაციულ გადაცდომათა ჩადენის გამო, ადმინისტრაციული კომისიები იყენებენ აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის ფორმებს და გამოდიან როგორც რაიონული (საქალაქო) აღმასკომებთან არსებული მმართველობის ორგანოები.

ადმინისტრაციული კომისიების მთავარი ფუნქცია მდგომარეობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, რასაც ისინი ახორციელებენ ძირითადად ადმინისტრაციულ გადაცდომათა შესახებ საქმეების განხილვით. როგორც აღნიშნულ დებულებაშია ნათქვამი, ადმინისტრაციული კომისიების ძირითადი ამოცანაა საბჭოთა მოქალაქეთა აღზრდა, რომლებიც არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს. ადმინისტრაციული კომისიების განსახილველ საქმეთა შორის ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს საქმეებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შესახებ. მშრომელთა დებუტატების საბჭოების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დარღვევის საქმეები გამოუკლებლივ ექვემდებარება ადმინისტრაციულ კომისიებს. მათ ექვემდებარებათ საქმეები სანადირო თოფებითა და თოფისწამლებით ვაჭრობის წესების დარღვევის შესახებ,<sup>2</sup> საავტომობილო ტრანსპორტით და საქალაქო ელექტროტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევის შესახებ<sup>3</sup> და სხვ. ამდენად ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის ხასიათი, რაც საზოგადოებრივ წესრიგის დაცვაში გამოიხატება, განსაზღვრავს მათ, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ მმართველობის ორგანოთა ხასიათს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოებრივი წესრიგი აქ იგულისხმება ვიწრო გაგებით, ე. ი. როგორც იმ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც წარმოიშობა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და რეგულირდება როგორც სამართლებრივი ნორმებით, ასევე სოციალისტური თანაცხოვრების წესებით. სხვაგვარი გაგება საზოგადოებრივ წესრიგისა ადმინისტრაციულ სამართალში, ჩვენის აზრით, მიუღებელია, ვინაიდან ეს გამოიწვევდა აღნიშნულ სფეროში ამოცანათა განხორციელების გზების არასწორ გაგებას და საზოგადოებრივი წეს-

<sup>1</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1962 წ. № 23, მ. 377.

<sup>2</sup> „საქ. სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული“ 1963 წ. № 4, მ. 155.

<sup>3</sup> „საქ. სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული“ 1964 წ. № 3.

რიგის დამცველ ორგანოთა კომპეტენციის არასწორ გაზრდა-გაფართოვებას. საზოგადოებრივი წესრიგი მართლწესრიგის ნაწილია და ამავე დროს იმ ურთიერთობათა ნაწილიც, რომელიც რეგულირდება სოციალისტური თანაცხოვრების წესებით. იგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილით შემოიფარგლება.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, როგორც წესი, წარმოადგენს ადმინისტრაციულ გადაცდომას და მის წინააღმდეგ ძირითადად ბრძოლას, რასაკვირველია, ეწევა მმართველობის ორგანო, კერძოდ ადმინისტრაციული კომისია. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული კომისიები საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ორგანოებია, ისინი მაინც არ შედიან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სისტემაში. ეს იმიტომ, რომ კომისიები საზოგადოებრივ — სახელმწიფო ორგანოებია, რომლებშიც გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საწყისების შერწყმა და რომლებიც საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ მშრომელთა ფართო მასების ჩასამხელად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. ამიტომ ისინი კოლექტიურ მმართველობის ორგანოებს ექვემდებარებიან, — რაიონულ (საქალაქო) აღმასკომებს.

ადმინისტრაციული კომისიები იქმნებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების სესიებზე. ზოგიერთ რესპუბლიკაში (რსფსრ, ყაზახეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ) გათვალისწინებულია ერთ რაიონულ (საქალაქო) აღმასკომთან რამდენიმე ადმინისტრაციული კომისიის შექმნა. საქართველოს სსრ ადმინისტრაციული კომისიების შესახებ დებულებაში არაა ასეთი მუხლი, რაც მის ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან გამორიცხული როდია იმის შესაძლებლობა, რომ ასეთი კომისიების შექმნის აუცილებლობა დადგეს ჩვენს რესპუბლიკაშიც. მაგ. ქ. ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან შექმნილია ერთი ადმინისტრაციული კომისია, რომელიც ძალიან გადატვირთულია საქმეებით. 1964 წლის მხოლოდ 6 თვეში ადმინისტრაციულ კომისიაში განსახილველად შევიდა 1053 საქმე სხვადასხვა დარღვევათა შესახებ. კომისიას ყოველთვიურად უნდა მოეწვია არანაკლებ სამი სხდომა და თითოეულ სხდომაზე განეხილა 50-60 საქმე. კომისიის მუშაობის შემოწმებით გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები. ამ კომისიის საქმიანობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მსჯელობის საგნადაც კი იქცა.<sup>1</sup> არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას და ადმინისტრაციულ საქმეთა სწორ და დროზე განხილვას დიდად შეუწყობდა ხელს ქუთაისის ქალაქის აღმასკომთან რამდენიმე ადმინისტრაციული კომისიის ჩამოყალიბება.

პრაქტიკაში ვხვდებით ადმინისტრაციული კომისიების შექმნის მეორე შემთხვევასაც: ორი ადმინისტრაციული კომისიის (რაიონული და საქალაქო) ფუნქციების შეერთებას ერთ (რაიონულ) ადმინისტრაციულ კომისიაში (მაგ. ქ. ცხაკაიაში, ქ. წულუკიძეში, ქ. ხაშურში და სხვაგან). საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების დადების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ მხოლოდ სოფლის აღმასკომს აქვს ადმინისტრაციული დარღვევის საქმეების განხილვის

<sup>1</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 27 აპრილის დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების ქ. ქუთაისის საქალაქო და წყალტუბოს რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის შესახებ“, — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმი“, 1963 წ. № 1.

უფლება (ისიც მხოლოდ ზოგიერთი საქმეებისა), ხოლო რაიონისა და ქალაქის აღმასკომებთან ამ მიზნისათვის შექმნილია ადმინისტრაციული კომისიები.<sup>1</sup> ამდენად რაიონული ადმინისტრაციული კომისიის არსებობა არ გამოირიცხავს ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმეების განხილვას ქალაქის (რაიონული და რესპუბლიკური დაქვემდებარების) თუ სოფლის მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში. ქალაქისა და რაიონის მასშტაბით ერთი ადმინისტრაციული კომისიის არსებობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მასში გათვალისწინებული იქნება არა მარტო რაიონული საბჭოს, არამედ ქალაქის საბჭოს უფლებების განხორციელებაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მოქალაქეთა აღზრდის სფეროში. ამიტომ არასწორია ისეთი პრაქტიკა, როცა გაერთიანებულ ადმინისტრაციულ კომისიაში შეყვანილი არიან მხოლოდ რაისაბჭოს დეპუტატები და რაიონის საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ასეთ კომისიის შექმნის უფლება უნდა ჰქონდეს როგორც რაიონულ, ისე საქალაქო საბჭოებს, რაც სათანადოდ უნდა იქნეს ფიქსირებული დებულებაში.

საქართველოს სსრ-ში ადმინისტრაციული კომისიების შემადგენლობა განსაზღვრულია 7 წევრის რაოდენობით. ზოგიერთ რესპუბლიკაში კომისიების შემადგენლობაში 5 წევრია (ბელორუსიის სსრ), ზოგში — 9 წევრი (უკრაინის სსრ, უზბეკეთის სსრ), ზოგშიც — 10-12 წევრი (სომხეთის სსრ, ესტონეთის სსრ). ლიტვის სსრ-ში ადმინისტრაციული კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს შესაბამისი საბჭო.

ადმინისტრაციული კომისიის წევრთა შემადგენლობის გაზრდა, ჩვენის აზრით, არაა მიზანშეწონილი, ვინაიდან ასეთი შემადგენლობის დასწრების უზრუნველყოფა კომისიის ყოველ სხდომაზე, რომელიც თვეში არანაკლებ 2-3 ჯერ ტარდება, მეტად ძნელია. ხოლო თუ სხდომას კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი არ ესწრება, ასეთი სხდომა უფლებამოსილი არაა, საქმეები გადაიდება და ხანდაზმულობის 1 თვის ვადის გავლის შედეგად წარმოებით შეწყდება, რაც არასასურველ შედეგებს იწვევს სამართალდარღვევებთან ბრძოლის საქმეში. ისეთი ადმინისტრაციული კომისიის ხელმძღვანელობის ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაშიც ბევრი წევრია, გაძნელებულია. ამიტომ არ შეიძლება დავეთანხმოთ ვ. მ. მანონისს, რომელიც მოითხოვს ადმინისტრაციულ კომისიაში დებუტატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა რიცხვის გაზრდას.<sup>2</sup> ყველაზე მიზანშეწონილია კომისიაში იყოს არა უმეტეს 7 წევრისა, თავმჯდომარის, მისი მოადგილესა და მდივანთან ერთად. ასეთი კომისია უფრო ადვილად შესძლებს გამსვლელი სხდომების ორგანიზაციას და მასებთან მჭიდრო კავშირის დამყარებას.

ა. პ. კლიუშნიჩენკო წერს, რომ რაიონების გამსხვილებასთან დაკავშირებით საჭიროა ადმინისტრაციული კომისიების შემადგენლობის გაზრდა.<sup>3</sup> მართალია რაიონების გამსხვილებამ ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის მოცულობის გაზრდაც გამოიწვია, მაგრამ სიძნელების გადასალახავად საჭიროა

<sup>1</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“. 1962 წ. № 11, მ. 159.

<sup>2</sup> იხ. კრებული Материалы научной конференции по вопросу о роли общественности в укреплении социалистического правопорядка (апрель 1960 г.), изд. Саратовского юрид. ин-та, Саратов, 1960 г. стр. 38.

<sup>3</sup> იხ. А. П. Ключниченко, Правовые вопросы организации и деятельности административных комиссий, уч. пос. изд. ВШ МООП УССР, Киев, 1963 г. стр. 34.

არა კომისიების შემადგენლობის ხელოვნური გაზრდა, არამედ თუ საჭიროება მოითხოვს რამდენიმე ადმინისტრაციული კომისიების შექმნა ერთ რაიონულ (საქალაქო) აღმასკომთან და საკანონმდებლო აქტში სათანადო ცვლილების შეტანა ამ მიმართებით.

ადმინისტრაციული კომისიების შექმნისას დაცული უნდა იქნეს მისი შემადგენლობის კანონით გათვალისწინებული მინიმუმი. ადმინისტრაციული კომისიები კოლექტიური ორგანოებია, რომლებიც აერთიანებენ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ადმინისტრაციულ კომისიებს მმართველობის სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირებთან შედარებით ადმინისტრაციული საქმეების განხილვაში უპირატესობა ენიჭებათ იმიტომ, რომ მათში ყველაზე უფრო კარგადაა გამოხატული კოლექტიულობა და სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საწყისების შერწყმა.

ადმინისტრაციული კომისიები იყენებენ მრავალგვარ ფორმებს ადმინისტრაციული გადაცდომის ჩამდენის გამოსწორებისა და აღზრდის მიზნით. ადმინისტრაციული კომისიები გულგრილი არ რჩებიან არა მარტო სამართალდარღვევისას, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის ნებისმიერი დარღვევისას, რომელიც სამართლებრივ ხასიათს არ ატარებს. ისინი ამხანაგური სასამართლოებისაგან განსხვავებით არ იხილვენ წმინდა მორალური ხასიათის საქმეებს, მაგრამ ასეთი დარღვევის მიმართ ადმინისტრაციული კომისიები იბრძვიან საზოგადოებრივი ხასიათის ზომების გამოყენებით, უპირველეს ყოვლისა დამრღვევის გარშემო საზოგადოებრივი აზრის შექმნით. ადმინისტრაციული კომისიები ამ საქმეში მჭიდროდ უკავშირდებიან მილიციის ორგანოებს, სახალხო რაზმეულებს, ამხანაგურ სასამართლოებს, მშრომელთა მრავალრცხოვან ორგანიზაციებს.

ადმინისტრაციული კომისიები უპირველეს ყოვლისა მჭიდრო კავშირში არიან მილიციის ორგანოებთან, რომლებიც აწვდიან მათ მასალას განსახილველად. მილიციის ორგანოთა მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული ადმინისტრაციული კომისიების წარმატებები საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლაში. ამ ურთიერთობის ზოგიერთი მხარე პრაქტიკაში ხშირად არასწორადაა გაგებული, რაც იწვევს მუშაობის უარყოფით შედეგებს.

მილიციის ორგანოების ძირითადი მოვალეობაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ზედამხედველობითი ფუნქციების განხორციელება და ადგილზე სათანადო ზომების მიღება დამრღვევთა მიმართ. ხშირად მილიციის ორგანოები ყოველგვარ უმნიშვნელო საქმეზე ადგენენ აქტს და უგზავნიან ადმინისტრაციულ კომისიებს განსახილველად, მაშინ როცა მისი ადგილზე გადაჭრა სავსებით შესაძლებელია თუ კი დამრღვევი ამის წინააღმდეგი არაა. მაგალითად, 1963 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში ბათუმის ქალაქის ადმინისტრაციულმა კომისიამ მილიციისაგან მიიღო 1963 წლის 23 სექტემბერს შედგენილი ოქმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქ. ბათუმის № 16 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ათვალეიერებდა მდ. ჭოროხზე სოფ. გონიოში აგებულ ხიდს, რითაც დაარღვია სასაზღვრო რეჟიმი; ხოლო 1963 წლის 18 სექტემბერს შედგენილი ოქმების მიხედვით მოქალაქეთა მიერ სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა იმაში გამოიხატა, რომ ისინი მანქანა „პობედით“ მოვიდნენ სოფ. გონიოში გასასეირნებლად. საჭირო იყო ასეთ უმნიშვნელო დარღვევათა გამო მილიციის ორგანოებს სათანადო ზომები მიეღოთ ადგილზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ოქმები სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის შესახებ შედგენილია სასაზღვრო დაც-



ვის ორგანოების მიერ, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ. თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 24 სექტემბრის ბრძანებულებისა სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის საქმეებს განიხილავენ მილიციის ორგანოები, რომლებსაც შეუძლიათ ან ადგილზე მიიღონ ზომები, ან შეადგინონ ოქმი და გადაუზავნონ ადმინისტრაციულ კომისიას.<sup>1</sup> ბრძანებულების ეს მოთხოვნები დღესაც ირღვევა.

ადმინისტრაციული კომისიის თავმჯდომარე ან ერთ-ერთი რომელიმე წევრი დებულების 30-ე მუხლის თანახმად საქმის განიხილვამდე თუ აუცილებელია ამოწმებენ საქმის არსს და საჭირო შემთხვევაში საქმეს უკანვე უბრუნებენ იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელმაც არასწორად შეადგინა დამრღვევზე ოქმი, ან იმ ორგანოს, რომელსაც ექვემდებარება საქმე. რესპუბლიკის ზოგიერთი ადმინისტრაციული კომისია არ იყენებს ამ უფლებას, არასწორად იხილავს საქმეს და არასწორი გადაწყვეტილებაც გამოაქვს. მაგალითად, 1963 წლის ივლისში ქ. თბილისის კალინინის რაიადმსკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ განიხილა არასრულწლოვანების ვ. რ-სა და ი. ს-ს მიერ № 2 ბავშთა სანატორიუმის ფანჯრების ჩაღწევის და ხულიგნობის საქმეები და ზემოქმედების ზომებად ადმინისტრაციული ჯარიმები გამოიყენა.

თანახმად დებულებისა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შესახებ არასრულწლოვანთა ან მათ მშობელთა საქმე განსახილველად ექვემდებარება არასრულწლოვანთა კომისიას<sup>2</sup> და ადმინისტრაციული კომისია უფლებამოსილი არაა განიხილოს ასეთი საქმეები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების მე-13 მუხლში ჩამოთვლილია ის ორგანოები და თანამდებობის პირები, რომელთაც შეუძლიათ მათი ქვემდებარე საქმეები გამონაკლის შემთხვევაში (როცა საჭიროა დამრღვევზე საჯარო განხილვის ეფექტური ზემოქმედების მოხდენა) გადაუზავნონ ადმინისტრაციულ კომისიას. ამიტომ არასრულწლოვანთა კომისიებს თავის მხრივ არა აქვთ უფლება გადაუზავნონ განსახილველად თავიანთი ქვემდებარე საქმეები ადმინისტრაციულ კომისიებს.

არასწორია აგრეთვე ზოგიერთი ადმინისტრაციული კომისიის მიერ წვრილმანი ხულიგნობისა და წვრილმანი სპეკულაციის საქმეთა განხილვა, რაც თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 იანვრის ბრძანებულებისა ექვემდებარება ამხანაგურ სასამართლოებს.<sup>3</sup>

საინტერესოა შევჩერდეთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე, რომელმაც გავრცელება ჰპოვა რესპუბლიკის ადმინისტრაციული კომისიების პრაქტიკაში. საკითხი ეხება ადმინისტრაციული კომისიების მიერ საქმეთა გადაწყვეტას ადმინისტრაციული სამართლის ნორმების ანალოგიით.

როგორც ცნობილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები უარყოფენ სისხლისსამართლებრივი ნორმების ანალოგიას, ხოლო სამოქალაქო კანონმდებლობა უშვებს ანალოგი-

<sup>1</sup> „Ведомости Верховного Совета СССР“, 1962 г. № 39, стр. 402-

<sup>2</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1962 წ. № 9.

<sup>3</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1964 წ. № 4, მ. 79.

ას.<sup>1</sup> ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი ამის შესახებ. სწორედ ადმინისტრაციული კომისიების საქართველოს პრაქტიკამ იცის ადმინისტრაციული ნორმის ანალოგიით გამოყენების შემთხვევები. მაგალითად ქ. ბათუმის აღმასკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ 1963 წლის 27 თებერვალს დააჯარიმა მოქ. ზ. შ., რომელმაც არ ამოწერა თავისი ბინიდან ნათესავი, რომელიც 2 წლის წინ გათხოვდა და წავიდა, აგრეთვე მოქ. გ. ტ., რომელმაც არ ამოწერა თავის ბინიდან წასული ძმა; ქ. თბილისის კალინინის სახ. რაიადმასკომთან არსებულმა კომისიამ 1963 წლის 31 ივლისს დააჯარიმა მოქალაქე შ. მ., რომელსაც თავის ბინაზე ჩაწერილი ჰყავდა მოქ. გაბისონია, რომელიც გათხოვდა, მაგრამ აღნიშნულ ბინიდან არ ამოწერილა და სხვა.

თანახმად დებულებისა პასპორტების შესახებ გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა მხოლოდ ჩაუწერელი ცხოვრებისათვის და არაფერია ნათქვამი წასული მოქალაქის ამოუწერლობის შესახებ. მიუხედავად ამისა რესპუბლიკის ზოგიერთი მილიციის ორგანო ამ უკანასკნელ შემთხვევაში მაინც ადგენს ოქმს ფართის მფლობელზე, კომენდატზე თუ სახლმმართველზე და უგზავნის ადმინისტრაციულ კომისიას, რომელიც აჯარიმებს კიდევ აღნიშნულ პირებს, ვინაიდან წასული მოქალაქის ბინიდან ამოუწერლობის ფაქტი გარკვეულ იურიდიულ შედეგს იწვევს ფართის მფლობელის თუ სახლმფლობელის მიმართ. აქ ადმინისტრაციული კომისიები იყენებენ პასპორტების შესახებ დებულების 35-ე მუხლს ანალოგიით და წასული მოქალაქეების ამოუწერლობას აკვალიფიცირებენ როგორც ჩაუწერელ ცხოვრებას.

ვფიქრობთ, რომ ადმინისტრაციულ სამართალში ანალოგიით ნორმის გამოყენება დაუშვებელია. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა სისხლის სამართლებრივი დარღვევებისაგან განსხვავებით არ ატარებს საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათს და არ უქმნის საფრთხეს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივ წყობის არსებობასა და განვითარებას. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო საჭიროდ თვლის მოახდინოს ზემოქმედება ადმინისტრაციული კანონმდებლობის მეშვეობით არა ყოველგვარ მოქმედებაზე, რომელიც გარკვეული ზიანის მომტანია, არმედ ისეთ მოქმედებაზე, რომელიც უფრო საგრძნობია საზოგადოებისათვის და შედარებით მეტი ზიანის მომტანია.

ამიტომ ადმინისტრაციულ პრაქტიკაში ანალოგიის გამოყენების შემთხვევები კანონიერების დარღვევად უნდა ჩაითვალოს. რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები არ ახდენენ რეაგირებას ასეთ დარღვევებზე და არ აპროტესტებენ არასწორ დადგენილებას ადმინისტრაციული ზემოქმედების შესახებ. მაგალითად, ქ. თბილისის კალინინის სახ. რაიადმასკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ 1963 წელს რამდენიმე მოქალაქე დააჯარიმა წასული პირების ბინებიდან ამოუწერლობისათვის, მაგრამ არც ერთი ასეთი დადგენილება პროკურატურის მიერ არ გაპროტესტებულა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ პროკურატურის ორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ადმინისტრაციულ კომისიებს. პროკურორები ხშირად არ ესწრებიან ადმინისტრაციული კომისიების სხდომებს, მაშინ როდესაც დებულების 23-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული კომისიები სხდომის დღის შესახებ აუწყებენ პროკურორებს, რომლებიც უნდა დაესწონ კიდევ ადმინისტრაციული კომისიების სხდომებს.

<sup>1</sup> „Ведомости Верховного Совета СССР“, 1961 г. № 50, стр. 526.





ადმინისტრაციული კომისიების მუშაობაში დიდ სიძნელებს იწვევს დაზმულობის საკითხის გადაჭრა. ადმინისტრაციულმა კანონმდებლობამ დადგინა ზოგადი ერთფიანი ხანდაზმულობა გადაცდომის ჩადენის დღიდან მის განხილვამდე. ამავე დროს დებულების 27-ე მუხლით დაწესებულია 10-დღიანი ვადაც ოქმის მიღებიდან მის განხილვამდე. ეს უკანასკნელი წესი ხშირად ირღვევა. ჩვენის აზრით, 10 დღიანი ვადა მიღებული ოქმის განხილვისა არ უნდა არსებობდეს, ვინაიდან ხანდაზმულობის ვადად აღიარებულია 1 თვე დარღვევის ჩადენიდან მის განხილვამდე. ამიტომ აღნიშნული 10 დღის გავლის შემდეგაც შეიძლება არ დამთავრდეს 1 თვიანი ხანდაზმულობა და საქმე მაინც განხილული იქნეს, რაც, ჩვენის აზრით, სწორი იქნება. ვარდა ამისა კანონმდებლობით არაა განსაზღვრული ხანდაზმულობა, როცა საქმე აღძრულია სისხლის სამართლის წესით, მაგრამ შემდეგ წარმოება ამ წესით შეწყდა დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო და საქმე გადაეცა ადმინისტრაციულ კომისიას შემოქმედებისათვის. გურჯაანის რაიონის აღმასკომთან არსებული ადმინისტრაციული კომისია ამ შემთხვევაში გამოძინარეობს საქმის წარმოებაში მიღებიდან ერთი თვის ხანდაზმულობის ვადიდან. ჩვენის აზრით, ასეთ შემთხვევებში უნდა იქნეს დაცული სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ვადები და ერთფიანი ვადა საქმეზე სისხლის სამართლის წარმოების შეწყვეტის დღიდან ადმინისტრაციულ კომისიაში მის განხილვამდე.

ადმინისტრაციული კომისიის ძირითადი აქტებია კონკრეტულ საქმეებზე მიღებული დადგენილებები, რომელიც ყოველ საქმეზე უნდა იყოს გამოტანილი თუნდაც პიროვნების არაბრალეულად ცნობის შემთხვევაში (დებულების 35-ე მუხლი). კომისიის სხდომაზე იწერება აგრეთვე ოქმიც, რომელიც სხდომის მსვლელობის ფიქსირებას ახდენს.

ადმინისტრაციული კომისიები ვალდებული არიან თვითონ მიიღონ ზომები მიღებული დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად და მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს აღმასრულებლის დანმარებას, როცა დამრღვევი არ მუშაობს. სხვა პირობებში 15 დღის განმავლობაში დამრღვევის მიერ ჯარიმის გადაუხდელობისას ადმინისტრაციული კომისია დადგენილების ასლს უგზავნის იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელს სადაც მუშაობს დამრღვევი და სადაც დაჯარიმებულს ჯარიმის თანხა უდავო წესით უნდა დაუკავდეს ხელფასიდან. მაგრამ ზოგიერთი ხელმძღვანელი არ ასრულებს ადმინისტრაციული კომისიების მოთხოვნებს. საჭიროა გაიზარდოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული კომისიების დადგენილებების შეუსრულებლობისათვის. სასურველი იქნება თუ საქართველოს სსრ ადმინისტრაციული კომისიების დებულებაშიც გათვალისწინებული იქნება უზბეკეთის სსრ ადმინისტრაციული კომისიების დებულების მოთხოვნა, რომ ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებსაც სისრულეებში მოჰყავთ ადმინისტრაციული კომისიის დადგენილებები, ვალდებულნი არიან აცნობონ კომისიას მათი შესრულება.<sup>1</sup>

იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელი როლი ადმინისტრაციული კომისიებისადმი, მიზანშეწონილი იქნება დაწესდეს კომისიების მიერ დადებული ადმინისტრაციული ჯარიმების გასაჩივრების როგორც სასამართლო, ასევე საუწყებო წესი, ე. ი. კომისიის ასეთი

<sup>1</sup> „Ведомости Верховного Совета Узб. ССР“, 1962 г., № 10.

ხასიათის დადგენილებები გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო), აღმასკომშიც. ამას გვეკარნახებს საქართველოში ადმინისტრაციული კომისიების დადგენილებების გასაჩივრების პრაქტიკა. ამასთან მოქალაქეს უფლება უნდა მიეცეს დადგენილება ჯარიმაზე აღმასკომში გასაჩივრების შემდეგ გასაჩივროს სასამართლოშიც. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოკლებული იქნება კანონით დაწესებულ უფლებას დაიცვას თავისი ინტერესები სასამართლო წესით. სასამართლოს განჩინება კი საჩივარზე ჯარიმის დადების შესახებ მუდამ საბოლოო უნდა იყოს.

დიდ ზრუნვასა და დახმარებას მოითხოვს ადმინისტრაციული კომისიები შენახვის აღმასკომების მხრივ. ისინი გარდა ორგანიზაციული ხელშეწყობისა უზრუნველყოფენ კომისიების მთელ ტექნიკურ მომსახურებას. აღმასკომის საერთო ვანყოფინება ასრულებს კომისიის საკანცელარიო საქმეებს, ხოლო აღმასკომის სხდომათა დარბაზი გამოიყენება კომისიის სხდომებისათვისაც.

ადმინისტრაციული კომისიების დანიშნულებიდან გამომდინარე, მისი სახელწოდება, ჩვენის აზრით, არ შეესაბამება მისი საქმიანობის შინაარსს. „ადმინისტრაციული კომისიების“ ეს სახელწოდება გამოხატავს ტენდენციას ადმინისტრირებისაკენ, მის საქმიანობაში მხოლოდ იძულებითი ზომების გამოყენების შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენის აზრით, სწორი იქნებოდა თუ ამ კომისიებს ერქმეოდა „გადაცდომის საქმეთა გამხილველი კომისიები“, რაც ყველაზე ზუსტი დასახელებაა და გასაგებიც იქნება მშრომელთა მასებისათვის. ადმინისტრაციული კომისიების წინაშე დასახული დიდი ამოცანები მოითხოვს გაზრდილ ყურადღებას მათი საქმიანობისადმი როგორც პრაქტიკოსთა, ისე თეორიულ მუშაკთა მხრივ; ამიტომაც ზრუნვა მათდამი არ უნდა შენეღდეს.

## ღაგეგმვა და სამოქალაქო ბრუნვა\*

ა. სოფოლაშვილი

სამოქალაქო ბრუნვა, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა მიერ შესრულებულ ქონებრივ და მისგან დამოკიდებულ არაქონებრივ გარიგებათა ერთიანობას წარმოადგენს, რომელშიც საკუთრების უზრუნველყოფის ნებაც შედის. თავისი მოცულობით და არსებობის გარეგნული გამოვლინებებით იგი არ ემთხვევა ეკონომიურ ბრუნვას.

გარიგების ფორმით განხორციელებული გაცვლის გარდა, ეკონომიური ბრუნვა მოიცავს გარიგების ფორმის გარეშე არსებულ პროცესებს, მატერიალური დოვლათის შექმნის, განაწილების და მოხმარების სფეროში. მაგალითად, წარმოებას, საკუთრების სამომხმარებლო სარგებლობას, საგადასახადო საქმეს, შიდაწარმოებრივ ან შიდაუწყებრივ სისტემათა შორის საქონლის გაცვლას, შრომის ტექნიკურ კოოპერაციას და სხვა პროცესებს.

გარიგებისაგან ანუ ნებისგან განსხვავებით რაც სამოქალაქო ბრუნვის არსებობის წყაროა, სოციალისტურ ეკონომიკის განვითარებას გეგმიანობა განაწირობებს.

ორივე სფეროსათვის საერთო დარგებია: ვალდებულებითი სამართალი, იგივე კრედიტი; უფლების სუბიექტი, იგივე მწარმოებელი ან მომხმარებელი. საკუთრება, იგივე საწარმოო საშუალება ან საქონელი; გამომგონებლობა, იგივე ახალი ტექნიკა და სხვა. ზემოთ დასახელებულნი ორივე საწყისების ზემოქმედებას განიცდიან. მაშასადამე, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებისათვის საინტერესოა არა მარტო გარიგების დადების წესთან, ნამდვილობასთან და ფორმასთან დაკავშირებული საკითხები, არამედ მიმართება ამ ორ საწყისთა შორის, რამდენადაც თავის უკიდურეს ფორმებში ისინი ერთმანეთს გამოირიცხავენ.

საარბიტრაჟო პრაქტიკამ, ვალდებულების უცილობელ საფუძვლად გეგმა აღიარა და უარყო მთავალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაუძლეველ გარემოებათა გამო ვალდებულების შეუსრულებლობის ან გეგმის არარეალურობის შემთხვევაში.

სასამართლო ორგანოებს კი, როდესაც საქმე უხდებთ გეგმის განხორციელების შედეგად წარმოშობილ დავებთან არ გამოუმუშავებიათ ერთიანი პოზიცია (მაგალითად, ქალაქის განაშენიანების გეგმით ასაღებ სახლების მესაკუთრეების მიმართ).

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-4 და ტექნიკურ დანიშნულების საქონლის მიწოდების დებულების მე-2 მუხლების თანახმად, გეგმა სავალდებულოა მხოლოდ სოციალისტური ორგანიზაციებისათვის. ამის გამო ერთ შემთხვევაში გეგმის სავალდებულო ხასიათს არ ავრცელებენ მოქალაქეებზე. მეორე შემთხვევაში, იმის გამო, რომ გეგმის დეკლარაცია ნორმატიული აქტის ფორმითაა მოცემული ან გამომდინარეობს მისგან, მას უთანაბრებენ კანონს და სავალდებულოს ხდიან მოქალაქეებისათვის. ასეთი გაურკვეველობა გავლენას

\* განხილვის წესით.

ახდენს როგორც სამოქალაქო ბრუნვაზე, ისე გეგმიურ ეკონომიკაზე. ამის გამო ხშირია ტენდენციები ერთი ან მეორე პრინციპის უკიდურესობის გამოყენების მიმართულებით.

საბჭოთა ეკონომიურ ლიტერატურაში და პრესაში ამჟამად დიდი დისკუსიაა სახალხო მეურნეობაში დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების საკითხებზე. იგივე პრობლემა ჩვენს მიერ განხილული იქნება სულ სხვა ასპექტში.

დაგეგმვის უკიდურესობის საწინააღმდეგოდ, რასაც ჩვენ დაგეგმვის ცენტრალიზმს ვუწოდებთ, სოციალისტურ მეურნეობაში მკაფიო გამოხატულებას პოულობს მისი გამაწონასწორებელი ტენდენცია, რასაც ჩვენ დაგეგმვის ავტონომიზაციას ვუწოდებთ.

ამ ტენდენციების აღწერა და მათი შედეგების გათვალისწინება, — აი ის ასპექტი, რასაც ჩვენ შევხვებით.

დაგეგმვის ცენტრალიზმი. სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგს საწარმოო ტექნიკური დანიშნულების და სახალხო მოხმარების საქონლის განაწილება წარმოადგენს. ეს განაწილება სათანადო ფონდების გამოყოფის საშუალებით ხდება.

პირველი სახის პროდუქციის განაწილება ხდება: სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგების სახელმწიფო გეგმის, სახალხო მეურნეობის საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის, სსრ კავშირის სამინისტროების და უწყებების, ავტონომიურ რესპუბლიკების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, საწარმოების და ორგანიზაციების გეგმების მიხედვით. ამ ხუთი სახის გეგმიდან ოთხი გეგმა დაკონკრეტებული სახით დაყვანილი უნდა იქნეს საწარმოებსა და ორგანიზაციებამდე, დაკონკრეტებამდე, გეგმები მხოლოდ ზოგად პროგრამას წარმოადგენენ, ვინაიდან სამოქმედო კონკრეტულ ფუნქციას არ იწვევენ.

მეორე სახის პროდუქციის განაწილება წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილ წესის შესაბამისად. ამ შემთხვევაში გეგმების სახეები დაკონკრეტებული არ არის.

საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების დებულების მეორე მუხლში ჩამოთვლილია ის ორგანოები და ორგანიზაციები, რომელთათვის გეგმები სავალდებულოა როგორც კანონი. აქ დასახელებულ ორგანოთა შორის მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო არ არის აღნიშნული. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსათვის სავალდებულო არ იყო სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო გეგმა? დაგეგმვის პროცესში მოკავშირე რესპუბლიკის ორგანოების თავისებური მონაწილეობის გამო ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხის გაცემა არ შეიძლება.

საქმე იმაშია, რომ დაგეგმვის პროცესის მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკის სათანადო ორგანოები, უშუალოდ იღებენ აღნიშნულ გეგმებს მინისტრთა საბჭოს გვერდის ავლით.

სახალხო მოხმარების პროდუქციის მიწოდების წესის თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ვაჭრობის კომიტეტი ატყობინებს მოკავშირე რესპუბლიკას საკავშირო საჭიროებისათვის და რესპუბლიკათა შორის მიწოდების გეგმებს, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ადგენს მხოლოდ საქონლის განაწილების წესს და ვადებს ისეთი ანგარიშით, რომ მი-



წოდების გეგმები სახელმწიფო გეგმის დამტკიცების 20 დღის განმავლობაში დაყვანილ იქნას მყიდველამდე და მიმწოდებელამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველი უარს ამბობს საქონლის მიღებაზე, რესპუბლიკის სათანადო ორგანოები ატყობინებენ ამის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკის საგეგმო კომისიას და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს ვაჭრობის კომიტეტს. საბოლოოდ, ამ საქონლის ბედს წყვეტს სახალხო მეურნეობის საბჭოს ვაჭრობის კომიტეტი და არა რესპუბლიკის საგეგმო კომისია ან სხვა რესპუბლიკურ ორგანო.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ერთიანი გეგმის მოქმედებაზე ვავლენას ვერ იქონიებს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

დაგეგმვის ერთიანობის მაჩვენებელია აგრეთვე შვიდწლიან გეგმაში კორექტირების შეტანის შესახებ მიღებული წესი. გეგმის კორექტირების „ძირითადი მიმართულების“ პროექტის შედგენა დაევალა სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს, სსრ კავშირის საგეგმო კომისიას და საკავშირო მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ზოგიერთ სახელმწიფო კომიტეტებს. ამ ძირითად მიმართულებათა შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკებს უნდა წარმოედგინათ თავისი წინადადებები. ამავე დროს შემოღებული იქნა განუწყვეტელი დაგეგმვის სისტემა ისეთი ანგარიშით, რომ მიმდინარე გეგმების დამუშავების დროს ერთდროულად დამუშავდეს ხუთწლიან გეგმის უკანასკნელი წლის მომდევნო წლის გეგმა. ასეთი დაგეგმვის გასაუმჯობესებლად წინადადებების დამუშავება საკავშირო სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოსთან და სსრ კავშირის საგეგმო კომისიასთან ერთად დაევალა მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებსაც.

1960 წლის აპრილის თვეში ოცწლიანი პერსპექტიული გეგმის შესახებ დადგენილი წესის მიხედვით ასეთი გეგმის შედგენაში განსაკუთრებული ფუნქციები დავალებული აქვთ სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს და სსრ კავშირის საგეგმო კომისიას. სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს დავალებული აქვს მოკავშირე რესპუბლიკებში დამუშავებულ გეგმის გადასინჯვა სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ გეგმასთან შესაბამისობის თვალსაზრისით. თავისთავად ცხადია, რომ გეგმის დამუშავებელ ორგანოთა შორის, ის ორგანო რომელსაც ამავე დროს კონტროლის უფლება აქვს გეგმის სხვა დამუშავებელ ორგანოს მიმართ, განმსაზღვრებელ როლს ასრულებს დაგეგმვის საქმეში. ასევე სსრ კავშირის საგეგმო კომისიას დავალებული აქვს კონტროლი გაუწიოს მოკავშირე რესპუბლიკებს წლიური გეგმების შესრულებაზე, მატერიალური და ფულადი საშუალებების და მუშა-ძალის გამოყენებაზე და სხვა.

ამგვარად, მოკავშირე რესპუბლიკის თანამშრომლობას გამაკონტროლებელ ორივე ორგანოსთან ისეთ საკითხებში, რაც კონტროლის საგანს შეადგენს, სულ სხვა მნიშვნელობა აქვს ვიდრე ეს ჩვეულებრივად და მიღებული, სადაც საერთო საქმის ყველა მონაწილის ნებას თანაბარი მნიშვნელობა ეძლევა.

ფაქტიურად, კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიულ ორგანოს თანამშრომლობა გამაკონტროლებელ ორგანოსთან ამ უკანასკნელისათვის სხვადასხვა ცნობების წარდგენაში გამოიხატება, ცნობების, რომელთა შინაარსი კვლავ ცენტრალურ ორგანოს მითითების საფუძველზე უნდა იქნას შედგენილი.

1961 წლის ოქტომბრის თვიდან კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტურად გამოყენების ღონისძიებებზე და მშენებლობების სამოქმედოდ შეყვანის საქმეზე კონტროლის გაძლიერების მიზნით, სხვადასხვა ცენტრალურ დამგეგმავ ორგანოებს მოკავშირე მინისტრთა საბჭოებთან ერთად დაევალა დაგეგმვის

დროს უზრუნველყონ მშენებლობები მასალებით და დანადგარებით. ამავე დროს მშენებლობებს მათი ღირებულების მიხედვით ამტკიცებს ცენტრალური დამგეგმავი ორგანოები ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით.

ამავე წესით მტკიცდება საპროექტო დავალებებიც მათი ღირებულების მიხედვით.

აქაც, მოკავშირე რესპუბლიკების თანამშრომლობაზეა ლაპარაკი. მაგრამ, მშენებლობის დამტკიცების უფლების გადასაწილება ხდება ერთიანი დაგეგმვის პროცესის ფარგლებში, რაზედაც ის გარემოება მიუთითებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკები მშენებლობებს ამტკიცებენ სსრ კავშირის საგეგმო კომისიასთან და ზოგიერთ შემთხვევაში სსრ კავშირის ეკონომიურ საბჭოსთან შეთანხმებით.<sup>1</sup>

სახელმწიფო გეგმის ზევით კაპიტალური მშენებლობის დაფინანსება არა-ცენტრალიზებული სახსრებით, ხშირად ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის თითქოს ასეთი მშენებლობის განხორციელება დამოკიდებული იყოს მშენებლის ნებაზე. სინამდვილეში, აქაც მშენებლობის სატიტულო სიების შედგენა საერთო წესით ხდება.

ეგრეთწოდებული არაცენტრალიზებული სახსრებიც ცენტრალიზებული წესით იგეგმება. მაგალითად, მოკავშირე რესპუბლიკას კაპიტალურ მშენებლობაზე სარეზერვო თანხიდან შეუძლია დახარჯოს არა უმეტესი 25 პროცენტი. სარეზერვო თანხა კი მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული, რომელიც საკავშირო ბიუჯეტის ნაწილს წარმოადგენს.

ის დამატებითი შემოსავალი, რაც მიღებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებიდან, მოკავშირე რესპუბლიკას შეუძლია დახარჯოს მშენებლობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობას არ დასჭირდება ფონდირებული მასალის და მოწყობილობის გამოყოფა. სხვა არაცენტრალიზებული სახსრების საშუალებით (მოგება, თვითღირებულების შემცირების ანარიცხები) კაპიტალური მშენებლობის განხორციელება არაფრით არ განსხვავდება ისეთი მშენებლობიდან, რომლებზედაც საბიუჯეტო თანხები იხარჯება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშენებლობების მოწყობილობებით დასაკომპლექტებელ მთავარ სამართველოების მუშაობას. მნიშვნელოვანი მშენებლობების მომარაგების წესს ამტკიცებს სსრ კავშირის საგეგმო კომისია, ხოლო სხვა მისთვის დაქვემდებარებულ მშენებლობების წესს ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკა. აქაც განშტოებულ და განაწევრებულ ფუნქციებთან გვაქვს საქმე ერთიანი დაგეგმვის პროცესში. საქმე იმაშია, რომ მნიშვნელოვანი მშენებლობების მომარაგება წარმოებს საგეგმო კომისიის განსაკუთრებული ფორმის განწესების მიხედვით, სხვა მშენებლობების კი იმავე ცენტრალიზებული წესით, მაგრამ ჩვეულებრივი განწესებით.

იმ შემთხვევაში თუ დაკულია მთელი რიგი პირობები, კვარტალურ გეგმების და დამატებით დავალებების შესრულების შემდეგ, გამოძუშავებული პროდუქციის ნაწილი რჩება მოკავშირე რესპუბლიკას თუ ამავე დროს გეგმები და დავალებები შესრულებული იყო წლის დასაწყისიდან. მასასადამე, ასეთი პროდუქციის ოდენობა განისაზღვრება წლის ბოლოსათვის. ნორმატიულ აქტებში არაერთგზის არის აღნიშნული იმის შესახებ, რომ გეგმის ზევით გამოძუშავე-

ბული პროდუქცია მიწოდებული იქნეს იმ ორგანოებისათვის, რომელთაც მიწოდებულს მყარი და ხანგრძლივი სამეურნეო კავშირი აქვს. როგორც ყოველი პროდუქცია, ისე ზეგეგმიური პროდუქციის მიწოდებაც არ რჩება სსრ კავშირის საგეგმო კომისიის კონტროლის გარეშე, რადგან მას ევალება პროდუქციის მიწოდების გეგმების შეთანხმება საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმასთან და სახალხო მეურნეობის გეგმების სხვა ნაწილებთან. ზეგეგმიური საქონლის მიწოდება წარმოებს ტექნიკური დანიშნულების და ფართო მოხმარების საქონლის მიწოდებების დებულებების თანახმად და მასასადამე, ამ მხრივაც ზეგეგმიურ და გეგმიურ პროდუქციის გასაღებაში განსხვავება არ არსებობს.

ნორმატიულ აქტებში არ არის ზუსტად განსაზღვრული თუ რომელი პროდუქცია ითვლება ზეგეგმიურად, რადგანაც გეგმასთან გათანაბრებულია ცალკეული დამატებითი დავალებები, რომელთა დაშვება არ არის შეზღუდული, თუმცა დადგენილია საწარმოს ოპტიმალური სიძლიერის ცნება<sup>1</sup>. საბოლოოდ, საკითხს იმის შესახებ ადგილი აქვს თუ არა მოკავშირე რესპუბლიკის მიერ ზეგეგმიური საქონლის გამოშვებას, სწყვეტს ცენტრალური დამგეგმავი ორგანოები.

ზეგეგმიური საქონელი სსრ კავშირის ეროვნული შემოსავლის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ცალკეული რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის ცნება ჯერ-ჯერობით არ არის დამუშავებული და დადგენილი. მაგრამ, ზეგეგმიური საქონლის გამოშვება სხვა ზოგიერთ მაჩვენებლებთან ერთად, უფლებას აძლევს საწარმოს მიიღოს მოგებიდან დამატებითი ანარიცხები, რომლის ნაწილი არა უმეტესი 5,5 პროცენტი საწარმო მუშაკების მატერიალური წახალისებისათვის უნდა იქნეს დახარჯული. 30 პროცენტი ანარიცხებისა იხარჯება სახლების და კულტურულ საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაზე.

სოფლის მეურნეობისათვის გამოიწილ ტექნიკას ანაწილებს საკავშირო გაერთიანება „სოფლტექნიკა“ საგეგმო კომისიასთან ერთად. იგი ამუშავებს მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა განაწილების გეგმის პროექტს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის ნომენკლატურის მიხედვით. ეს საშუალებები აღინიშნება მოკავშირე რესპუბლიკების ფონდებში, რომელიც წარედგინება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმასთან ერთად. მართალია, ასეთის გეგმა მუშავდება რესპუბლიკურ ორგანოების განაცხადების საფუძველზე, მაგრამ თვით სავალდებულო გეგმის დამუშავებაში რესპუბლიკური ორგანოები მონაწილეობას არ იღებენ. ეს გეგმა შეთანხმებული უნდა იქნეს სსრ კავშირის საგეგმო კომისიასთან, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან და სსრ კავშირის სახმშენთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახმშენის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციები, ნორმები, სტანდარტები, ტიპური პროექტები და სხვა ნორმატიული მასალა სავალდებულოა ყველა სახის მშენებლობისათვის სადაც არ უნდა ხორციელდებოდეს ისინი. ამგვარად საკავშირო მასშტაბით სავალდებულო გეგმა, მოკავშირე რესპუბლიკების მიერ შემუშავებული გეგმების ჯამს კი არ წარმოადგენს, რომელიც კორექტირებულია ცალკეული გეგმების შეთანხმების გზით, არამედ ერთიანი გეგმაა, განსტობებული სახით დაშვებული სხვადასხვა ორგანოებზე განსახორციელებლად.

მოკავშირე რესპუბლიკების თანამშრომლობა ცენტრალურ ორგანოებთან

<sup>1</sup> ЦИ СССР 1961 г., № 16, стр. 126.

რაზედაც ზემოთ მიუთითეთ, სხვადასხვა ფორმებში მიმდინარეობს. ზოგ შემთხვევაში მათ თანაბარი ფუნქციები ეკისრებათ. მაგალითად, როდესაც სსრ კავშირის საგეგმო კომისიამ წლიური სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად უნდა დაამუშავოს სხვა შემთხვევაში მოკავშირე რესპუბლიკებმა სათანადო წინადადებები უნდა შეიტანონ ცენტრალურ დამგეგმვ ორგანოში. მაგალითად, მოკავშირე რესპუბლიკას შეაქვს წინადადება პროდუქციის ნომენკლატურის გაზრდაზე, რომლის განაწილება ცენტრალიზებული წესით უნდა მოხდეს<sup>2</sup> ან კიდევ მოკავშირე რესპუბლიკა იმავე ორგანოს წინაშე წარდგინებით შედის. მაგალითად, განსაკუთრებული მატერიალურ-ტევადი ხარჯვის ნორმები პროდუქციის გამოიმუშავებაზე მტკიცდება სსრ კავშირის საგეგმო კომისიის მიერ მოკავშირე რესპუბლიკის წარდგინებით<sup>3</sup>. მოკავშირე რესპუბლიკების წინადადებებს და წარდგინებებს უპირისპირად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად, როდესაც დაგეგმვის საქმე მკვეთრად უმჯობესდება. მაგრამ, თუ რედუქციის საშუალებით თანამშრომლობის ზემოთ დასახელებულ ფორმებს განვიხილავთ, ძნელი არ იქნება იმის დანახვა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ერთიან დაგეგმვის პროცესთან, რომელიც ზემოდან ქვემოთ მიემართება. როდესაც გეგმის პროექტების დამუშავების თანაბარ თანამშრომლობაზეა ლაპარაკი, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ყოველწლიური გეგმის პროექტი სდგება სსრ კავშირის საგეგმო კომისიის მიერ წინასწარ დაშვებული პროდუქციის ლიმიტების ფარგლებში<sup>4</sup> ეს ლიმიტები კი გამოიყოფა სამუშაოთა ფიზიკური მოცულობის მიხედვით, რომელსაც კვლავ სსრ კავშირის საგეგმო კომისია განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების მიერ წარდგენილი ცნობების მიხედვით. ამ ცნობებს ისეთივე ძალა აქვთ, როგორც განაცხადებს.

ნორმატიულ აქტებში მოკავშირე რესპუბლიკაზე ლაპარაკია იმ შემთხვევაში, როდესაც ფუნქციები შესრულებული უნდა იქნეს სპეციალიზირებული ორგანოების მიერ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსაგან დამოუკიდებლად.<sup>5</sup> ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა სხვადასხვა საფეხურის სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნის შემდეგ, რომლებიც უშუალოდ აკავშირებენ რესპუბლიკურ ორგანიზაციებს ცენტრალურ დამგეგმვ ორგანოებთან. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა საფეხურების საბჭოები, მრეწველობის დარგების კომიტეტები, საქონლის მოწოდების მთავარი სამმართველოები და რესპუბლიკური ორგანოები, თავის შინაარსით ერთი და იგივე ფუნქციას ასრულებენ ოღონდ განმტოებულს ზევიდან ქვევით, ზოგიერთ შემთხვევაში კი ეს სპეციალიზაცია არ სჩანს და საქმე გვაქვს პარალელიზმთან.

ფუნქცია განსხვავებული უნდა იქნეს ორგანოს კომპეტენციისგან. ეს უკანასკნელი უფლებრივი მდგომარეობის ნებისმიერად არჩევის შესაძლებლობას გულისხმობს გარკვეულ ფარგლებში, მაშინ როდესაც ფუნქცია აღამიანთა ძალების ხარჯვის შეუწყვეტელი პროცესია ტექნიკური მიზნის განსახორციელებლად. როგორც ტექნიკური კატეგორია იგი მოიცავს აღსრულების უამრავ საშუალებებს, რაც დამოკიდებულია ფუნქციის შემსრულებლების გამომგონებლობაზე და გამჭრიახობაზე.

<sup>1</sup> СП СССР 1960 г., № 8, стр. 51.

<sup>2</sup> СП СССР 1961 г., № 16, стр. 127.

<sup>3</sup> СП СССР 1961 г., № 16, стр. 127.

<sup>4</sup> СП СССР 1961 г., № 16, стр. 127.

<sup>5</sup> СП СССР, 1964 г., № 8, стр. 57. СП СССР, 1961 г., № 16, стр. 127.



გეგმა — ფუნქციონირებას ურთიანობას წარმოადგენს, განშტოებულს ორგანიზაციის ფუნქციების გადანაწილების პირობის დაცვით. მაგრამ კომპეტენციის განსხვავებით, გეგმიდან გამომდინარე ფუნქცია, გარკვეული ტექნიკურ დონის დიპლომის განხორციელებაა, ხოლო თვით გეგმის შედგენა ისეთივე ფუნქციაა, როგორც ყოველი სხვა ფუნქცია. როგორც საამშენებლო ობიექტის დაგეგმვა იწყება საპროექტო დავალებიდან, ვიდრე ტექნიკური პროექტის შედგენამდე და შედის მშენებლობაში როგორც მისი სტადია, სამეურნეო დაგეგმვაც გეგმის ვარაუდიდან გეგმის დამტკიცებამდე, დაკონკრეტებამდე და განშტოებამდე შედის დაგეგმვის ერთ ნაკადში, ერთ პროცესში სხვადასხვა სტადიების სახით და საბოლოოდ შრომის გამოქვეყნების ინდივიდუალურ ნორმების სახით გვევლინება.

დაგეგმვის ერთ ნაკადში, ფუნქციების სხვადასხვა სტადიების შესრულებაზე შეიძლება ლაპარაკი და არა კომპეტენციის განხორციელებაზე, რომელიც უფლებრივ მდგომარეობის თავისუფლად არჩევას გულისხმობს. ის შეზღუდული სუვერენიტეტი, რაც კომპეტენციაში მოცემულია, დაგეგმარების ნაკადში შეცვლილია ტექნიკური გამომგონებლობით და ფუნქციების განხორციელების მიზანშეწონილი საშუალებების შერჩევით.

გეგმიანობის ერთიან ნაკადში, ტერიტორიულ ორგანოების მდგომარეობაზე შეიძლება სრული წარმოდგენა ვიქონიონთ იმ შესაძლებლობების გათვალისწინების შემდეგ, რომელიც მათ გააჩნიათ საწარმოს გეგმაში ცვლილების შეტანის, ფასების დადგენის და ხელფასის საკითხებში. შეუძლია თუ არა ასეთმა ორგანომ დამოუკიდებლად შეცვალოს გეგმა?

როგორც ცნობილია საწარმოო გეგმა, საბოლოოდ, პროდუქციის მიწოდების გეგმაში პოულობს გამოსახულებას (თვით საწარმოში მოხმარების ჩათვლით). ამგვარად იგივე საკითხი შეიძლება დაისვას შემდეგნაირად — შეუძლია თუ არა მოკავშირე რესპუბლიკას შეცვალოს საქონლის გასაღების გეგმა? ამაზე უარყოფითი პასუხი უნდა გაიცეს. მწარმოებლების მიმავრება მომხმარებელ ორგანიზაციებთან რესპუბლიკაში ხდება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს მიერ სსრ კავშირის საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, ხოლო რესპუბლიკებს შორის ასეთ მიმავრებას ახდენს მხოლოდ სსრ კავშირის საგეგმო კომისია. იგივე პრინციპის მიხედვით წყდება საკითხი წარმოების დატვირთვის შესახებაც. მნიშვნელოვან პროდუქციის მწარმოებელ საწარმოების მიწოდების დავალებას უშუალოდ ცენტრალური დამგეგმავი ორგანო აძლევს ხოლო სხვა საქონელზე რესპუბლიკური მომარაგების და გასაღების ორგანოები, რომელნიც რესპუბლიკათა შორის მიწოდების გეგმის საფუძველზე მოქმედებენ, თავის მხრივ დამუშავებულს ცენტრალიზებული წესით.<sup>1</sup> ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ცენტრალიზებული განაწილება თანდათანობით პროდუქციის მთელ ნომენკლატურას მოიცავს. ამის გამო ნორმატიულ აქტებში რესპუბლიკურ ორგანოს მიერ საწარმოს გეგმის შეცვლა ითვლება თვითნებობად.

ფასების დადგენის საკითხში ცენტრალური და ტერიტორიული ორგანოებმა შემდეგნაირად მონაწილეობენ: ზოგიერთი ჯგუფის საქონელზე განსაკუთრებით მსუბუქი და კვების მრეწველობის საქონელზე, როგორც, მაგალითად, საგალან-

ტერიო და სამგზავრო მომსახურების ნაწარმზე, ნატურალური და ხელოვნური ტყვიდან და ქსოვილებიდან, ფეტრის ქუდებზე და თავსახურავზე, ქეხის ნაწარმზე, რძისა და კარაქმრეწვის პროდუქციაზე, ყურძნის ღვინოზე, კონიაკზე და სხვა ზოგიერთ სახის პროდუქციაზე, საბითუმო ფასებს აწესებს მოკავშირე რესპუბლიკა, მაგრამ ამ პროდუქციიდან ამოსაგები თანხების მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში თანაფარდობის დაცვის მიზნით, აღნიშნულ პროდუქციაზე ფასების დადგენაც საერთო კანონზომიერებას ექვემდებარება.

ეს განსაკუთრებით ჩანს შემდეგიდან: რესპუბლიკის გარეთ გასატანი საქონლის ფასის ცვლილება ძალაში შედის მომავალი წლის პირველ იანვრიდან და უნდა დამტკიცდეს მიმდინარე წლის პირველ მაისამდე. ფასების ცვლილების შემთხვევაში, სსრ კავშირის საგეგმო კომისიას ცვლილება შეაქვს სასაქონლო პროდუქციის მოცულობის და თვითღირებულების გეგმებში, ხოლო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის საგეგმო კომისიას დავალებული აქვს კონტროლი გაუწიოს მოკავშირე რესპუბლიკების გეგმების შესრულებაზე და ამის გამო მასთან შეუთანხმებლად ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, როგორც ეს ზემოთ იყო განმარტებული, შეუძლებელია ახალი ფასების დადგენა პროდუქციაზე. როგორც წესი საბითუმო ფასებში ცვლილების შეტანა უნდა მოხდეს საცალო ფასების დონის შეუცვლელად და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის შემუშვირებლად. სსრ კავშირის საგეგმო კომისია მოკავშირე რესპუბლიკათა შორის კოორდინაციის დამყარების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკებთან შეთანხმებით ადგენს ნუსხას იმ საქონელზე, რომელთა ფასების შეცვლა შეუძლებელია მისი მონაწილეობის გარეშე.

ყველა პირობებში პრეიკურანტები საქონელზე გამოიციემა მხოლოდ ცენტრალური დამგეგმავი ორგანოების მიერ.

ფასები წესდება ნორმატიული წესით და ხშირად არ ასახავს საქონლის თვითღირებულებას.

კონკრეტული საქონლის თვითღირებულებაც პირობითია, ვინაიდან მასში შემავალი საქონლის ან ნედლეულის ფასებიც არ ასახავენ თვითღირებულებას და თეორიულად შეიცავენ პლუს ან მინუსს მიღებულს სხვა საწარმოში.

მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: იმისათვის, რომ საქონლის კარაქის წარმოება რენტაბელური იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დავევალით დაადგინონ შემუშვირებული გასაანგარიშებელი ფასები კარაქის მწარმოებელ ქარხნებისათვის ჩასაბარებელ რძის და რძის პროდუქციაზე იმ ანგარიშით, რომ ამავე პროდუქციაზე ფასები სათანადოდ აწეული იქნეს რძის მრეწველობის სხვა ქარხნებისათვის. მაშასადამე კარაქის მწარმოებელ საწარმოების რენტაბელობა გაპირობებულია სხვა ქარხნების სათანადო მინუსის ხარჯზე.<sup>1</sup>

შრომის ხელფასის საკითხში, ცენტრალიზებული წესის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შრომისა და ხელფასის კომიტეტთან შეთანხმებით დამტკიცოს სატარიფო განაკვეთები მხოლოდ ახლად შექმნილ ორგანიზაციებისათვის. ასეთი განაკვეთები უნდა შეესაბამებოდნენ ანალოგიურ ორგანიზაციებში მოქმედ განაკვეთებს.

<sup>1</sup> СП СССР 1959 г., № 10, стр. 60.

## დაგეგმვის ცენტრალიზმის შედეგები:

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

ა) რაკი დაგეგმვის პროცესი, ფუნქციების ზემოდან ქვევით განაწევრებას და განშტოებას ნიშნავს ეს პროცესი მთლიანად შთანთქავს იურიდიული პირის კომპეტენციას.

მართლაც, ტექნიკურ შესაძლებლობათა შერჩევაში ინიციატივის გამოჩენა არ ანიჭებს შემსრულებელს სუბიექტური პიროვნების ხარისხს, რაც უფლებრივი მოქმედების ნებისმიერ არჩევას გულისხმობს კომპეტენციის ფარგლებში. თავის ზემდგომ ორგანოსთან ქვემდგომ ორგანოს არავითარი სამეურნეო სახელშეკრულებო ურთიერთობა არ შეიძლება ჰქონდეს. ამის გამო ვერტიკალური მიმართულებით სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციათა სისტემები სხვადასხვა ნიშნით დანაწევრებულ ფუნქციებს წარმოადგენენ, რომლებიც ობიექტურ ერთეობაში არიან მოყვანილი ფუნქციების შესრულების სხვადასხვა სტადიებზე. ფუნქციების ასეთი ერთიანობა ჰორიზონტალურ დამოკიდებულებაში ცნობიერებაში რეფრაქციის საშუალებით იურიდიული პირის სახეს იღებს. ამ თვალსაზრისით, ყოველი სამეურნეო ორგანიზაცია იურიდიული პირია. მაგრამ აქაც ასეთ წარმოდგენას მთელ რიგ საწინააღმდეგო ფაქტებთან აქვს საქმე. სახელმწიფო საწარმო, შესდგება ორი საწარმოსაგან, რომლიდან ერთი ძირითად საქსპლოატაციო საქმიანობითაა დაკავებული, ხოლო მეორე-კაპიტალურ მშენებლობას აწარმოებს. ამ ორი სახის საქმიანობისათვის გათვალისწინებული სახსრები არასოდეს არ შედიან ერთ მასაში თუნდაც კრედიტორების მოთხოვნის პირისპირ. ვარდა დირექციისა ამ ფუნქციებს არაფერი აერთიანებთ და სრულიად დამოუკიდებლად ხორციელებიან. ამ ასპექტში მტკიცება იურიდიული პირის ქონებრივი განკერძოებულობის შესახებ დასაბუთებული არაა. იურიდიული პირის ქონება გადანაწილების პროცესს ექვემდებარება ფასების ნორმატიული წესით დადგენის საშუალებით. მაგალითად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ ცდის სახით მინიმუმამდე დაიყვანა ფეროშენადნობში ფოსფორის შემადგენლობა, რამაც 30 — 35 პროცენტით გაზარდა შენადნობის გამოშვების ხარჯები, სამაგიეროდ ასეთი შენადნობი ხარკოვის ქარხნის ტრაქტორის მუხლუხის მუშაობის ვადას გაახანგრძლივებს. ეს დიდ ეკონომიას მოუტანს კერძოდ ხარკოვის ქარხანას.<sup>1</sup> მაგრამ ფეროშენადნობის ქარხანა ასეთი პროდუქციის გამოშვებაში მატერიალურად დაინტერესებული არაა.

თავისთავად ცხადია, რომ მოგების ასეთი გადანაწილებითი პროცესების დროს საწარმოს ქონების განკერძოებულობაზე ზედმეტია ლაპარაკი. მაგრამ არც იურიდიული თვალსაზრისითაც არის დასაბუთებული ქონების განკერძოებულობის თეორია. ლიკვიდირებული ორგანიზაციების ქონების მიღება, პასუხისმგებლობას აკისრებს ქონების მიმღებ ორგანიზაციას ლიკვიდირებული ორგანიზაციის დავალიანებისათვის, თუნდაც ეს უკანასკნელი მიღებული ქონების ღირებულებას აღემატებოდეს.<sup>2</sup> საწარმოთა გაერთიანება-გაყოფის და საბრუნავ სახსრების გადანაწილების პერმანენტული პროცესი, ურთიერთდაზღვევის პირობებში აყენებს საწარმოებს და წრიულ პასუხისმგებლობის პრინციპით განსაზღვრავს მათ ურთიერთშორის დამოკიდებულებას. რაც შეეხება ეგრეთ-წოდებულ სამეურნეო ხელშეკრულებებს, რომელთაც ზოგჯერ ცალმხრივად

<sup>1</sup> Е. Канделаки, Заря Востока, 6 января 1964 г.

<sup>2</sup> Сборник инструкций ГА СССР вып. 3, стр. 388.

გაცემული განწყობები და მომხმარებლის დაკვეთები ცვლიან, ამ ხელშეკრულებების იურიდიული პირის ნების აპარატად აღიარება მოკლებულია დამაჯერებლობას, ვინაიდან გარდა ტექნიკური დეტალებისა სამეურნეო ხელშეკრულებაში ყველა უფლებრივი პირობა განსაზღვრულია გეგმით. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ჰორიზონტალურ მიმართებაში მოქმედი იურიდიული პირები საბოლოოდ სუბიექტურ პირებად არ გადაიქცნენ. იურიდიული პირების ემანსიპაციას გეგმის აბსოლუტიზმისაგან ხელს უწყობს გეგმიურობის ავტონომიზაცია, რასაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

ბ) დაგეგმვის ცენტრალიზმის მეორე შედეგია სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის და სამეურნეო ხასიათის ამხანაგობათა ლიკვიდაცია. მართალია, ამჟამად არსებობს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, მაგრამ მათ პირობით თუ ვუწოდებთ კოოპერატივებს, რადგანაც მათი სახლები შენდება კოოპერატივების წევრთა შრომითი მონაწილეობის გარეშე, სანარდო ორგანიზაციების მიერ და სახელმწიფო გეგმის შესაბამისად.

კოოპერატივები უხლოდ თანხებს აგროვებენ კოოპერატივის წევრთა შორის და ანაწილებენ ბინებს. ცხადია, რომ ასეთი კოოპერატივების გვერდით უნდა არსებობდნენ მშენებლობის სამეურნეო წესით განმხორციელებელი კოოპერატივები და მათი კავშირები. ამ უკანასკნელთ შესაძლებლობა ექნებოდათ ჰქონდეთ მექანიზმები და ბინათმშენებლობის დეტალების მწარმოებელი ქარხნები და სხვა.

კოოპერაციის საქმიანობის ყველა სფეროში დაგეგმვის განხორციელებამ რასაც თან სდევს გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში კოოპერატიული ორგანიზაციისათვის ავტომატურად სანქციების დაკისრება, თუნდაც შეუსრულებლობა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით იყოს გამოწვეული, ლიკვიდაციამდე მიიყვანა სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაცია და ამხანაგობები, რომელნიც დაცული არ იყვნენ სახელმწიფო საწარმოებისათვის დამახასიათებელი ზემოთ აღწერილი პირობებით, რაც უზრუნველყოფს ამ უკანასკნელთა სიცოცხლის უნარიანობას. თუ კოოპერაციის მიმართ პროდუქციის მიწოდების იმპერატიულობა შეიცვლება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით და დაცული იქნება მისი სტრუქტურული ბუნება, კოოპერაცია და მისი მონათესავე სამეურნეო ორგანიზაციები კვლავ სარგებლობას მოუტანენ სახალხო მეურნეობას.

გ) დაგეგმარების რიგორიზმმა მკვეთრად შეზღუდა სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტები: ეს განსაკუთრებით ეხება ვალდებულებით და სანივთო სამართალს.

დ) დარღვეულია აგრეთვე გეგმიურობისა და მშრომელთა მატერიალურ დაინტერესებას შორის თანაფარდობა. კაპიტალურ მშენებლობაში დაკავებული მუშაკების მატერიალური დაინტერესების მიზნით, საწარმოო სიძლიერეთა და ობიექტების ექსპლოატაციაში დროულად გადაცემისათვის აღნიშნულ კატეგორიის მუშაკებს პრემია მიეცემათ სამშენებლო ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 2 პროცენტის ოდენობით, მაგრამ ისეთი ანგარიშით, რომ მთელ სახალხო მეურნეობაში პრემიის საშუალო ოდენობა არ აღემატებოდეს 1,1 პროცენტს ასეთი სახის სამუშაოთა ღირებულებიდან.<sup>1</sup> ამგვარად მშრომელზე ვასაცემი კონკრეტული პრემია დამოკიდებულია იმაზე დაცულია თუ არა აღნიშნული პირობა მთელ სახალხო მეურნეობაში. უხერხულეა ასეთი სისტემისა

<sup>1</sup> СП СССР, 1962 г., № 16, стр. 127.

აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ ვასაცემი პრემიის ოდენობა განისაზღვრება ცენტრალიზებული წესით მშენებლების მონაწილეობის გარეშე. მშრომელთა კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობების და წარმოების გაუმჯობესების ფონდი წარმოიქმნება მოგების და თვითღირებულების შემცირების ანარიცხებით. ეს ფონდი არ უნდა აღმატებოდეს სამუშაო ხელფასის 5,5 პროცენტს, მაგრამ გარკვეულ პირობებში მუშაკის ბრალის გარეშე, პრემიის ფონდი შეიძლება შემცირებული იქნეს ზემდგომ ორგანოს მიერ.<sup>1</sup> აქაც პრემიის ოდენობა დამოკიდებულია უმადლეს ორგანოს მიერ საწარმოს მუშაობის საერთო შეფასებაზე. ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემიის ფონდი საწარმოსათვის ეკონომიური ეფექტიანობის მიხედვით, განისაზღვრება ზემდგომ ორგანოს მიერ ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმის დამტკიცების დროს.<sup>2</sup> ამგვარად პრემიის ოდენობა დამოკიდებულია საერთო გეგმისაგან. მთელი რიგი პრემიათა სახეები, როგორცაა სოციალისტური შეჯიბრების პრემია, ტიპური შინაგანაწესით გათვალისწინებული პრემია, საწარმოს დირექტორის და პროფკავშირის პირველად ორგანოს — ინდივიდუალური პრემია, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის ერთდროული პრემია, მნიშვნელოვან მაჩვენებლების შესრულებისათვის პრემია, კონკურსსა და გამოფენაში მონაწილეობის პრემია, სასარჩელო წესით არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს.

და გ ე გ მ ვ ის ა ვ ტ ო ნ ო მ ი ზ ა ც ი ა. დაგეგმვის ავტონომიზაცია ავსებს და ასწორებს დაგეგმვის ცენტრალიზმის უკიდურესობებს, იგი შეიძლება ციხის ლეგალური ე. ი. გათვალისწინებული ნორმატიული წესით და პრაქტიკული ე. ი. შემუშავებული გაუთვალისწინებელი ან დაუძლეველი შემთხვევებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება აქვთ გაითვალისწინონ გეგმებში, სამუშაოთა მოცულობის მიხედვით მატერიალური რესურსების გამოყოფა, არა ყველა მშენებლობისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით, არამედ მის მიერვე დამტკიცებულ სიაში აღნიშნულ ვასაშვებ და მნიშვნელოვან მშენებლობისათვის.<sup>3</sup> დაგეგმვის ერთიანი რგოლი აქ წყდება და იღებს რესპუბლიკის მიერ არჩეულ მიმართულებას. აქ უკვე საქმე გვაქვს კომპეტენციასთან და არა ფუნქციის აღმსრულებლობასთან, ვინაიდან მნიშვნელოვან მშენებლობებს მოკავშირე რესპუბლიკა თვით განსაზღვრავს და მატერიალურ რესურსებს მოიხმარს დამოუკიდებლად გეგმაში გათვალისწინებულ დანიშნულებისა. მართალია ამ ბოლო ხანებში ასეთ შესაძლებლობას ეწინააღმდეგება, მშენებლობაში მყოფი და სარეკონსტრუქციო საწარმოების დანადგარებით მომარაგების შესახებ მიღებული წესი, რომლის მიხედვით, სახელმწიფო კომიტეტები თვით ადგენენ მშენებელ ორგანიზაციებისათვის დასაკომპლექტებელ უწყისებს. ამ უკანასკნელის საფუძველზე აღნიშნული ორგანიზაციები წარუდგენენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს დამაკომპლექტებელ სამმართველოებს სპეციფიკაციებს. ეს სამმართველოები ფონდის განმკარგულებელ ორგანოებს წარმოადგენენ და როგორც სამეურნეო ანგარიშზე გადასულები სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებიან მშენებელ ორგანიზაციებთან და პროდუქციის მიმ-

<sup>1</sup> СП СССР, 1963 г., № 9, стр. 101.

<sup>2</sup> СП СССР, 1963 г., № 15, стр. 105.

<sup>3</sup> СП СССР, 1960 г., № 7, стр. 42.

წოდებელ ქარხნებთან. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოები კი ღებენ დამაკომპლექტებელ ორგანოებთან გენერალურ შეთანხმებებს.<sup>1</sup> ამგვარად კვლავ უნდა დამკვიდრდეს „გენერალური შეთანხმების“ დადების პრაქტიკა, რაც ათეული წლების განმავლობაში უარყოფილი იყო. ასეთი პრაქტიკა დაგეგმვის ცენტრალიზაციის გაძლიერების მომასწავებელი უნდა იყოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოკავშირე რესპუბლიკებისათვის ზემოთ მითითებული შესაძლებლობის მიცემა, მატერიალური რესურსების გამოყენების სფეროში, იმდენად დროული და ცხოველმყოფელი აღმოჩნდა, რომ მის პარალელურად მოქმედ საწინააღმდეგო ღონისძიებამ, ვერ შესძლო მისი განდევნა და შეცვლა. დაგეგმვის ცენტრალიზაციის არასრულყოფილობა განსაკუთრებით მოჩანდა დამგეგმავი ორგანოების დამოკიდებულებიდან არასტანდარტული დანადგარების მიმართ. როგორც ცნობილია ვერც ერთი მშენებლობა და საწარმო ვერ ასცილდება ასეთი დანადგარის ცოტად თუ ბევრად გამოყენების აუცილებლობას. ეს პრობლემა დამგეგმავი ორგანოებისათვის თითქმის არ არსებობდა. ამის გამო საწარმოები და მშენებლობები გეგმის სხვა მაჩვენებლების ხარჯზე და ხშირად კანონის უხეში დარღვევით იძულებული იყვნენ ისეთი დანადგარები შეეძინათ და შეექმნათ, რაც თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენდა მათ მუშაობაზე. მხოლოდ 1960 წლის მარტის თვიდან საწარმოებს და მშენებლობებს უფლება მიეცათ ისეთი დანადგარების დაპროექტების ხარჯების ანაზღაურებისა, რომელიც მანამდე ვუაღირებელი იყო საერთო ხარჯებში. მაგრამ ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა და შემდეგში საჭიროდ იქნა ცნობილი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების შესრულებულ სამუშაოთა მოცულობაში მნიშვნელოვან მშენებლობებისათვის განკუთვნილი არასტანდარტული მოწყობილობის ღირებულების შეტანა. ასეთ დანადგარების ღირებულებაში არ შედის მასში გამოყენებული საქარხნო წესით დამზადებული დეტალების ღირებულება. მაგრამ ქიმიურ მრეწველობისათვის საჭირო საცდელ დანადგარების ღირებულებაში, საქარხნო წესით დამზადებული დეტალების ღირებულება ყველა პირობებში შედის.

1964 წლის სექტემბრის თვიდან არსტანდარტული დანადგარების და მოწყობილობების საკითხი შემდეგნაირად იქნა გადაჭრილი: სსრ კავშირის საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს და სახმშენს დაევალა 1965 წლიდან გეგმებში გაითვალისწინონ არასტანდარტული დანადგარების დამზადება. გადაწყვეტილი იქნა ისეთი დანადგარების კატალოგების გამოცემა და საპეციალურად მანქანათმშენებელი ქარხნების გამოყოფა კაპიტალურ მშენებლობის საჭიროებისათვის არსტანდარტული მოწყობილობების დასამზადებლად.

თუმცა არასტანდარტულ მოწყობილობის დამზადება და გავრცელება სასურველ მოვლენად არ ითვლება, მაგრამ, როგორც ზემოაღნიშნულიდან სჩანს, შთათქმული ლეგალიზაცია, რაც საწარმოს მანევრირების უნარიანობას ზრდის, აუცილებელი გახდა ცხოვრების მოთხოვნილებათა გამო.

დაგეგმვის ავტონომიზაციის ანუ დემოკრატიზაციის ტენდენცია განსაკუთრებულად გამოვლინდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოხმარების სფეროში. მოსახლეობის მოთხოვნილება ყოველთვის აპირობებდა ფართო მოხმარების საქონლის წარმოებას, მაგრამ ეს პრინციპი არ იყო აყვანილი იურიდიულად სავალდებულო ხარისხამდე, რაც სახალხო მეურნეობისათვის, რომელიც საქონლის სტიქიურ მოთხოვნილება-შეთავაზებაზე არ არის დაფუძნე-

<sup>1</sup> ЦП СССР, 1964 г., № 16, стр. 107.

ბული, აუცილებელი ვახდა, რათა მას დაეძლია მოთხოვნილებათა მიმართ ერთგვარი განურჩევლობა. ამჟამად საწარმოებს შეუძლიათ ზეგეგმიური საქონლის წარმოება თუ ეს შეთანხმებულია სათანადო სავაჭრო ორგანიზაციებთან. წარმოების წლიური გეგმები კი მუშავდება სავაჭრო ორგანიზაციების დაკვეთების მიხედვით. მისაწოდებელი საქონლის ასორტიმენტის შეთანხმება უნდა მოხდეს სარესპუბლიკათაშორისო, რესპუბლიკურ საოლქთაშორისო და საოლქო ბაზრებზე...

გამყიდველსა და სავაჭრო ორგანიზაციებს შორის ბაზრებზე ხელშეკრულებები იდება როგორც გეგმით მისაწოდებელ, ისე გეგმის გარეშე მისაწოდებელ საქონლის შესახებ. ხელშეკრულების დადების დროს წარმოშობილი უთანხმოებები გადაწყდება საბაზრო კომიტეტების მიერ. ამ ბაზრებზე საქონლის გაყიდვის შედეგების მიხედვით, სათანადო ორგანოებს შეაქვთ ცვლილებები საწარმოების გეგმებში.<sup>1</sup>

ამგვარად, მოსახლეობის მოთხოვნილებები ბაზარზე პერსონიფიცირებულია სავაჭრო ორგანიზაციების სახით. თანდათანობით მხოლოდ ეს მოთხოვნილება და არა ცენტრალიზებული გეგმა განსაზღვრავს საწარმოო გეგმის შინაარსს.

ცენტრალიზებული დაგეგმვა დღითიდღე აწყდება ახალ-ახალ დაბრკოლებებს. პრინციპულად გამართულ დაგეგმვის პრაქტიკაში არ შეიძლება აღვილი ჰქონდეს ზენორმატიულ ნაშთებს მომარგების ჩაშლას და სხვა ანომალიებს. 1958 წლის კაპიტალური მშენებლობის ბალანსის მიხედვით საწარმოებში გამოუყენებელი დანადგარების ღირებულება აღემატებოდა 14 მილიარდ მანეთს.

გამოუყენებელი დანადგარების გამოყენების შესახებ მრავალი სხვადასხვა ღონისძიებაა მიღებული.

ერთი ღონისძიების მიხედვით, ეკონომიურ რაიონში გამოუყენებელი დანადგარები ინფორმაციის გაცვლის საშუალებით უნდა გადასცემოდა სხვა რაიონებს.<sup>2</sup>

მეორე ღონისძიების მიხედვით, გამოუყენებელი დანადგარების გარკვეული სახეები ნაწილდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის საგეგმო კომისიის მიერ.<sup>3</sup>

ამავე დროს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, დანადგარების და სხვა ტექნიკურ საშუალებათა სახეების მიუხედავად, შეუძლიათ გაასხვისონ ეს დანადგარები თავის შეხედულებით, თუ რესპუბლიკური გასაღების და მომარგების ორგანოები ერთი თვის ვადაში დღიდან შეტყობინებისა არ გაანაწილებენ გამოუყენებელ მატერიალურ რესურსებს.

ფაქტიურად კი, გამოუყენებელი მასალა, დანადგარები და სხვა ღირებულებანი (გარდა გამომუშავებული პროდუქციისა) საწარმოდან საწარმოში გადადის გეგმიური განაწილების გარეშე, რის შედეგად განსაკუთრებით იზრდება საწარმოთა შორის თავისუფლად დამყარებული ურთიერთობა. თვით ის ფაქტი, რომ გეგმის ჩაშლის შემთხვევაში სახელმწიფო არბიტრაჟი სანქციებს აკისრებს საწარმოს, რომელიც მას არაფრით ემუქრება (ჩვენს სინამდვილეში საწარმოს ვალაუვალობა შეუძლებელია ან ასეთ შემთხვევაში იგი უერთდება სხვა საწარმოს, რომელიც მის ვალებს იხდის) მეტყველებს იმაზე, რომ გეგმის ჩაშლა არ

<sup>1</sup> СП СССР, 1963 г., № 17, стр. 176.

<sup>2</sup> СП СССР, 1959 г., № 8, стр. 59.

<sup>3</sup> СП СССР, 1961 г., № 10, стр. 81.

იწვევს ჯაჭვისებურ რეაქციის აუცილებლობით სხვა საწარმოების მუშაობის ჩაშლას.

გეგმის ერთი რგოლის ჩაშლა ლოკალიზაციის წესით იქვე წყდება ისე, რომ იგი უარყოფით შედეგებს არ იწვევს მეურნეობის მთელი სფეროსათვის. ასეთი წონასწორობის უნარი მეურნეობამ გამოიმუშავა არა მარტო გეგმის კორექტირების საშუალებით, არამედ და რაც მთავარია საწარმოთა შორის ჰორიზონტალური მიმართებით ნებისმიერი ქონებრივი ურთიერთობის დამყარების მეოხეობით, რომელსაც ჯერ კიდევ იურიდიული ფორმა არ აქვს, მაგრამ მისი არსებობა და განვითარება სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება. მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: რიგის ქარხანა „ვეფს“ ნოვოსიბირსკის ქარხანამ არ მიაწოდა კონდენსატორები 18.332 რადიოლასათვის. მიუხედავად ამისა ქარხანამ გეგმა შეასრულა სხვა ქარხნიდან მიწოდებული კონდენსატორებით, რომელთანაც უშუალო ურთიერთობა დაამყარა. ამასთან დაკავშირებით „ვეფს“ ადმინისტრაცია აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ არავისთვის სავალდებულო ეგრედ წოდებული სამეურნეო ხელშეკრულებები შეცვლილი იქნეს კონტრაქტებით, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდება ბრალეულ მიმწოდებლისაგან რეალური ზარალის ანაზღაურება.<sup>1</sup> ჩვენ ამყამად არ გვინტერესებს ის საკითხი თუ რა იგულისხმება რეალურ ზარალის ქვეშ და რამდენად შესაძლებელია გეგმიურ მეურნეობაში რეალური ზარალის ანაზღაურება თუ ამ ზარალში აცდენილ სარგებლობასაც გულისხმობენ. ამ მაგალითიდან ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ის ვარაუდობა, რომ საქონლის მიუწოდებლობის შემთხვევაშიაც, ქარხანამ შესაძლო გეგმის შესრულება და გეგმის აცილების საქმეში მას არაფერში არ ეხმარება მოვალეზე სანქციების დაკისრება. ამიტომ პარადოქსად არ უნდა ჩავთვალოთ, თუ ვიტყვი, რომ გეგმიურობის ცენტრალიზმის პირობებში, გეგმის დარღვევის ხარჯზე როგორც ეს ვნახეთ არასტანდარტული დანადგარების შესაძლებლობით სიხანს კაპიტალურ მშენებლობის მაგალითზე. სადაც ცალკეულ სამუშაოებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებების ხარჯზე, მშენებელი აღწევს ობიექტის ღირებულების შენარჩუნებას ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

როგორც არასრულწლოვან პირის ქმედობაუნარიანობა იზრდება გონების მომწიფებასთან ერთად, ისე ობიექტური იურიდიული პირი თანდათანობით სუბიექტურ იურიდიულ პირის ღირსებებს იძენს.

საწარმოები და ორგანიზაციები ფუნქციის უბრალო აღმსრულებლობიდან კომპეტენციის განხორციელების გზაზე დგანან და მათ ნებას არა მარტო პორიზონტალური, არამედ ვერტიკალური მიმართებითაც მეტი და მეტი მნიშვნელობა ეძლევა. თავისთავად ცხადია, რომ ეს პროცესი პირველ ყოვლისა მოკავშირე რესპუბლიკას უნდა შეეხოს როგორც დაგეგმვის ცენტრალიზებული უკიდურესობის გამაწონასწორებელ ძალას. მაგრამ საწარმოს უფლებაუნარიანობის გაზრდას აბრკოლებს ერთმმართველობა რაც მმართველობის დემოკრატიზაციის და მეცნიერულ ცოდნის სპეციალიზაციის პირობებში სრულ ანახრონიზმს წარმოადგენს... ერთპიროვნული მმართველობა დაფუძნებულია რკინისებური სუბორდინაციაზე და უპირისპირდება საწარმოს მთლიანობას როგორც მის გარეშე რაღაც მდგომი ძალა. საწარმოების უფლებების გაფართოვება უნდა მოხდეს არა ერთპიროვნულ მმართველობის გაძლიერების გზით, არამედ საწარმოები-

<sup>1</sup> „Известия“ 22 сентября 1964 г. статья М. Стуль.



სათვის კომპენტენციის მინიჭების საშუალებით, რომელსაც დირექტორთა საბჭო უნდა ხელმძღვანელობდეს. ეკონომიურ და იურიდიულ ასპექტებში, საწარმოს უფლებათაუზარიალობის გაფართოება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მის განკარგულებაში ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევების გარდა გადავა გარკვეული წილი გამოშვებული პროდუქციისა და ყველა შემთხვევაში ზეგემიური პროდუქცია, გამომწარმებული საწარმოების ოპტიმალური სიძლიერის კვალობაზე. ეს საქონელი გასაღებელი უნდა იქნეს არა მიწოდების ხელშეკრულებით, არამედ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, რომელთა დადება შეთავაზება-მოთხოვნით იქნება გამოწვეული. ნორმატიულ ფასისაგან განსხვავებით, ასეთ საქონელზე შეიძლება დაწესდეს სახელშეკრულებო ფასი. ასეთი ღონისძიება სამოქალაქო ბრუნვის სხვა ინსტიტუტების გაუმჯობესებასთან ერთად, გაანთავისუფლებს სახალხო მეურნეობის გეგმიანობის აბსოლუტიზმთან დაკავშირებულ უხერხულობიდან.

დაგეგმვის ცენტრალიზმს ახასიათებს გეგმების და დავალებების პერმანენტული ცვალებადობა, რაც ერთგვარ გაშეშებამდე და განურჩევლობამდე მიყავს ცვალებადი ფუნქციის შემსრულებელი პირები.

დაგეგმვის ცენტრალიზმი საკუთარი კანონზომიერებით საზრდოობს და ეჭვით უყურებს მის გარეშე არსებულ ფაქტორებს თუნდაც ეს უკანასკნელი არ უპირისპირდებოდეს დაგეგმვის პროცესს, როგორც მისი გამომრიცხველი ალტერნატივა. ამის გამო ასეთი ცენტრალიზმი დაუსრულებელ და გადაჯაჭვულ კონტროლის ორგანოების სისტემას საჭიროებს.



# საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი საბკადრებო სკამზე

დამის 12 საათია, ქუთაისში წერეთლის ქუჩაზე თითო-ორთა მგზავრი თუ ჩაივლის. ქუჩა თითქმის დაცარიელებულია.

დამის მყუდროება უცებ მთვრალების ჩახრინწულმა სიმღერამ დაარღვია:

„არ მომიპარავს მიპოვნია,

ახლა ჩემია“...

გაპკიოდნენ მთვრალეები.

— თამაზ, — მიმართა სერგო გორგოძემ თანამეინახე თამაზ გაჩეჩილაძეს, — კარგად ვსვით არა? ესლა ვერავენ დამიდგება წინ. ისეთი ძალა მაქვს კლდეს გაგვლეჯ.

— დედას ვუტირებ ყველას, დედასა, — წამოიღრიალა უცებ ს. გორგოძემ. — ბიჭოს ესენი ვინ არიან, ხედავ ჩვენს გზაზე მოდიან. აბა გადადით აქედან. მეორე ქუჩაზე იარეთ, ჩქარა, — დასჭეჭა ს. გორგოძემ მოპირდაპირე მხრიდან მომავალ მოქალაქეებს ზ. დადუნაშვილს და ს. გურულს.

— რაშია საქმე ყმაწვილებო, ეს გზა ყველას გვეყოფა.

— რათ, რათ, ენას გვიბრუნებ შენი... აქ ს. გორგოძემ მრავალსართულიანი გინება მიაცოლა და თან თ. გაჩეჩილაძეს გასძახა, — აბა, დავცხოთ ამათ, გაჩეჩნოთ ჩვენი ძალა. — ამის თქმა იყო და ს. გორგოძემ ძლიერი დარტყმით ძირს დასცა ზ. დადუნაშვილი. თ. გაჩეჩილაძეს უკვე მოესწრო ს. გურულის მიწაზე გაშლართვა და ფეხებით შესდგომოდა უდანაშაულო ადამიანს.

— გვიშველეთ გვეკლავენ, მოგვეშველეთ ხალხნო, გაისმა განწირულთა ხმა.

ყვირილზე ქუჩის მოპირდაპირე სასლიდან გამოვიდა შილიფად ჩაცმული მოხუცი კაცი ივანე ქუთათელაძე, მას თვალწინ შემზარავი სურათი წარმოუდგა. ორ ჯანღონით სავსე ვაჟკაცს ფეხქვეშ ჩაეგდო ორი უდანაშაულო ადამიანი და უწყალოდ ურტყამდნენ.

— რას შერებით შვილებო, რატომ სცემთ ამ ახალგაზრდებს, დაანებეთ თავი, არა გრცხვენიათ.

— თავი დაგვანებე ბებერო, შენ საქმეს

მიხედ. მაშ არ მიდისარ ჰა, ესეც შენ და ს. გორგოძემ მოხუცს მძღავრად ჩასცხო მუჭი ფერდში.

ი. ქუთათელაძემ ერთი დაიკვნესა და ჩაიკეცა, შემდეგ ძლივსძლივობით წამოიმართა და მოძალადეს ძლიერად უთავაზა.

სმაურსა და ყვირილზე მილიციის მუშაკიც გამოჩნდა. მისი სასტვენის ხმის გაგონებისას ერთ-ერთმა „რანიდმა“ ჩაილაპარაკა:

— თამაზ, ჩქარა გავიქცეთ თორემ გაეგებით. ამ აძაღლებულ ბებერს კი არ შეგარჩენ ჩემთვის ხელის შემორტყმას და ს. გორგოძე მეგობართან ერთად შესახვევში გაუჩინარდა.

ხალხის დახმარებით ფეხზე წამოდგნენ ნაცემი ზ. დადუნაშვილი და ს. გურული.

— ხულოგნები დაგვესხნენ თავს და უმიწეზოდ ცემა დაგვიწყეს. ეს კეთილი მოხუცი, რომ არ მოგვეშველებოდა, ვინ იცის რთვორ დამთავრდებოდა ყოველივე ეს — უამბობდა თავშეყრილ ხალხს ზ. დადუნაშვილი და თან მადლობით ართმეგდა ხელს ივანე ქუთათელაძეს. — რას იზამთ შვილებო, ჩვენს ქალაქში, სამწუხაროდ, კიდევ არიან ხულოგნები. მათ წინააღმდეგ ყველამ უნდა ვიბრძოლოთ, ხომ ხედავთ ამ დროულ კაცს მეც გამარტყეს ხულოგნებმა. ახლა თქვენს გზას გაუდევით, მეც სახლში შევალ, თქვა ი. ქუთათელაძემ და ნელი ნაბიჯით სახლისაკენ წავიდა.

ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ივანე ქუთათელაძის სახლის კარებთან ძახილი გაისმა.

— ივანე, ივანე, გამოდი ერთი გარეთ საქმე გვაქვს. კარებში პერანგის ამარა მოხუცი გამოჩნდა.

— რომელი სარ ამ შუალამისას?

— აგერ მოიწიე საქმე გვაქვს შენთან.

— ალბათ მეზობლის ბიჭია რამე უჭირს,

— გაიფიქრა ივანემ, დაბლა ჩავიდა, ის იყო კარები გაადო, რომ ივრიალა თოფმა.

— ესეც შენ, ჩაძაღლდი ბებერო, ესლა კიდევ გამოექომაგები სხვას.

— არ მომკლათ შვილებო, რა დაგიშა-

ვეთ, რას მერჩით. — თოფმა ერთხელ კიდევ იგრილა და ღია ჭიშკარში აფთარივით შემოვარდნენ ს. გორგოძე, თ. გაჩეჩილაძე და კიდევ ერთი სხვა.

— ბიჭოს ეს კიდევ ცოცხალია, დაცხვით ამას—წამოიძახა ს. გორგოძემ და თოფი პირდაპირ დაუმიზნა მოხუცს. ივანე უცემ გამოფხიზლდა, მან ს. გორგოძეს თოფზე უტაცა ხელი, მაგრამ ამ დროს კვლავ გაისმა გასროლა. მოხუცმა, ცხვირზე და ყურზე საფანტის ტყვიებისაგან მიყენებულ მწვავე ტკივილებს თითქოს ვერ გრძობსო, თავდამსხმელს თოფი ხელიდან გამოსტაცა. გორგოძემ ახლა დანა იძრო და მოხუცს მოუქნია, მაგრამ ი. ქუთათელაძემ მოქნეული დანაც აცილა, შემდეგ თავდამსხმელებს დანა წაართვა და იმავე დანით გორგოძეს რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. ცოტა ხნის შემდეგ ივანეს მარჯვენა ხელი ძირს ჩამოუვარდა, ინსტიქტურად მკლავზე დაიხედა, სისხლი თქრიალით მოსდიოდა. ეს თ. გაჩეჩილაძის „ნამოღაწარი“ იყო, რომელიც მიეპარა მოხუცს და მარჯვენა მკლავში დანით ჭრილობა მიაყენა. ივანემ კვლავ იმარჯვა, თავდამსხმელს დანა გამოსტაცა და მუცლის არეში მიაყენა მას მსუბუქი დაზიანება.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ს. გორგოძესა და თ. გაჩეჩილაძეს ახლდა მესამე პირი, რომელიც მიიმალა. მისი ვინაობა დღემდე დაუდგენელია. უცნობმა გორგოძესა და გაჩეჩილაძეზე ნაკლები როლი როდი ითამაშა ი. ქუთათელაძისათვის ტრამვის მიყენების საქმეში.

მომხდარ შემთხვევაზე შედგა სისხლის სამართლის საქმე მილიციის აქტის, დაზარალებულების დადუნაშვილის, გურულის, ქუთათელაძის დამაჯერებელი და უტყუარი ჩვენებების, სხეულის დაზიანების შესახებ სასამართლო სამედიცინო შემოწმების აქტების საფუძველზე, აგრეთვე მოწმეთა ჩვენებებით. ს. გორგოძისა და თ. გაჩეჩილაძის მიმართ წარდგენილი ბრალდებანი დადასტურდა. ისინი მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ. სისხლის სამართლის

პასუხისგებაში იქნა მიცემული თვით დასარალებული ი. ქუთათელაძეც.

ხულიგნების გვერდით საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა სკკპ წევრი ი. ქუთათელაძე, რომელიც თავისი სიცოცხლის რისკით ჩაება უთანასწორო ბრძოლაში და მოძალადეებს არ მისცა საშუალება უდანაშაულო ადამიანების აბუჩად აგდებისა.

ქ. ქუთათისის პროკურატურამ ი. ქუთათელაძეს ბრალი დასდო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17-106 მუხლით, რაც 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს და ი. ქუთათელაძე დაუყოვნებლივ აიყვანა პატიმრობაში, მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მოძალადე მხოლოდ სასამართლო სხდომის დაწყების წინ იქნა აყვანილი პატიმრობაში.

ქუთათისის სახალხო სასამართლომ ე. კუბლაშვილის თავმჯდომარეობით გორგოძესა და გაჩეჩილაძეს მიუსჯა 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მართალია, სახალხო სასამართლომ ი. ქუთათელაძის დანაშაულებრივი ქმედობა გადააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17-107 მუხლზე, მაგრამ სასჯელად მაინც განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და ნთვით.

ჩვენ ვიცით არა ერთი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა მოქალაქე, თავის სიცოცხლის რისკით უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულა საშიშ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ და თავისი მამაცური, გააზრებული მოქმედებით უგნებელუყვია დამნაშავე. საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობა დანაშაულის აღკვეთის, საბჭოთა კანონიერების განმტკიცების ერთერთი წინაპირობაა.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში კი რა გამოვიდა; ი. ქუთათელაძე, რომელიც მიეშველა ორ უდანაშაულო ადამიანს ხულიგნებისაგან თავდასხმაში, შემდეგ კი თვითონ იქცა თავდასხმის ობიექტად, დაჭრილი იქნა თოფიდან გასროლილი საფანტით და დანით, მან მომხდურს წაართვა თოფი და დანა და შემდეგ გორგოძეს მისივე დანით მიაყენა დაზიანება. გამოჰქონდა რა განაჩე-

ნი ი. ქუთათელაძის მიმართ, სახალხო სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა საქართველოს სსრ სს კოდექსის მე-15 მუხლი, სადაც პირდაპირ მითითებულია, რომ „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების, მომგერიების ან სხვა პირის პიროვნებისა თუ უფლებების დაცვისას საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან“..

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამა-

რთლო კოლეგიამ გაასწორა სახალხო სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა ი. ქუთათელაძის მიმართ საქმე წარმოებით შეწყვიტა და იგი პატიმრობისაგან გაათავისუფლა.

პარტია მიგვიითიებს, რომ ამჟამად დანაშაულებრივ მოვლენებთან ბრძოლაში იუსტიციის ორგანოებთან ერთად გადამწყვეტი როლი საზოგადოებრიობას ეკუთვნის, რაც მხარდაჭერისა და წახალისების ღირსია და არა დასჯის.

ო. გველესიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი,

ზ. მესხეთელი.

### ბაიბაქოსის მსხვერპლი

ბოლნისის რაიონის პროფურატურის გამომძიებლის რ. აღმანოვის კაბინეტში ტელეფონის ზარი აწვრიალდა.

— მილიციის კაპიტანი ალიევი გელაბარაკებთან, გთხოვთ სასწრაფოდ მოემზადოთ, სოფელ თრჯონიკიძეში მოკლეს ახალგაზრდა ქალი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი უკვე მანქანით მიიჭაროდნენ შემთხვევის ადგილისაკენ. ვლადიმერ შუკაკიძის ოჯახში შესვლისთანავე მათ თვალწინ შემზარავი სურათი გადაიშალა. ოთახში ევდო ვლადიმერის ქალიშვილის ზაირა შუკაკაძის (ედიგაროვის) გვამი. გამომძიებელ აღმანოვის დაკვირვებულ თვალს ადგილობრივი დათვალიერების დროს არათყუარ არ გამოჩნენია.

უპირველეს ყოვლისა ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ დაზარალებულის გვამი იმყოფებოდა ოთახის შუაგულში, ასლადგარეცხილ ჯერ კიდევ სველ იატაკზე. გვერდზე იატაკის სახეხი ჯაგრისი ევდო. ეს ყველაფერი მოწმობდა იმას, რომ ზაირა მოკლული იყო იატაკის რეცხვის დროს. კოსტად დალაგებული საწოლები და სხვა ნივთები ხელუხლებელი იყო.

გვამის დათვალიერებისას დადგინდა, რომ ზაირას ბასრი დანით მიყენებული ჰქონდა 11 ჭრილობა. მკვლელობა ჩადენილი იყო განსაკუთრებით მტანჯველი საშუალებებით.

მართალია, მოწმებმა მაშინვე განაცხადეს, რომ მკვლელობა ამიერკავკასიის რკინიგზის მე-8 სალიანდგო დისტანციის მუშა — დაზარალებულის მეუღლე გიორგი (ჟორა) მელიქის ძე ედიგაროვი, მაგრამ შემთხვევის ადგილის გულმოდგინე დათვალიერებამ და ოქმმა დიდი როლი ითამაშა საქმის შემდგომი გამოძიებისა და მკვლელობის მოტივის დადგენაში.

მკვლელი დააკავეს მეზობელ სოფელში — მირზოევკაში, სადაც ის თავის მშობლებთან ცხოვრობდა. ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ევოში, შპალების ქვეშ ნაპოვნი იქნა გასისხლიანებული დანა.

— მე მოკვალი ჩემი ცოლი ამ დანით, — ცინიკურად განაცხადა ედიგაროვმა. მის ტანსაცმელზე აღმოჩენილი იქნა სისხლის ლაქები. ექსპერტიზის დასკვნით სისხლის ლაქები ედიგაროვის ტანსაცმელზე და დანაზე მოკლულის სისხლის იდენტური აღმოჩნდა.

— რატომ მოუსპეთ ასეთ ახალგაზრდა ქალს სიცოცხლე? თქვენ სომ მისგან გყავთ შვილი, რომელსაც მოუკალით დედა და დააბოლოეთ?

ჩემი ცოლი უმიზეზოდ წავიდა სახლიდან მამასთან. მასთან მისვლისას დავინახე, თუ როგორ შეიპარა მის სახლში ახალგაზრდა კაცი. მე დავინტერესდი, ჩუმად შევეყვი სახლში. ჩემი ეჭვები გამართლდა.

უცნობი საწოლზე იწვა, დამინახა თუ არა წამოხტა და გაიქცა სახლიდან. წონასწორობა დაკვარე, დაჯავღე დანას ხელი და იქვე მოკვალე. ასეთი ჩვენება მისცა დავითსვისას ედიგაროვმა.

ედიგაროვს შეახსენეს, რომ მკვლელობის ჩადენის შემდეგ მილიციის ორგანოების წარმომადგენლების მისვლამდე ოთახში არავინ არ მისულა, მოწმების ჩვენებით დადგინდა, რომ ყველა ნივთი ხელუხლებელი იყო, ხოლო მკვლელობის მომენტში ზაირა იატაკს რეცხავდა. ედიგაროვი სდუმდა და პირდაპირ პასუხს თავს არიდებდა.

— ძალიან მიყვარდა ჩემი ცოლი, ჩემს მშობლებსაც. ერთხელ უსიამოვნება მოვცხდა. წავიდა თავის ნათესაებთან. უკან დაბრუნება არ უნდოდა და ეჭვიანობის ნიადაგზე ჩავიდინე მკვლელობა, ურჩად ცრუობდა ედიგაროვი.

ედიგაროვმა ზაირა შუკაკიძე ცოლად შეირთო 1962 წელს. რეგისტრაციაში გატარდნენ 1963 წელს. მათ სმირად მოსდიოდათ უსიამოვნება. ედიგაროვი უხეშად ეპყრობოდა მეუღლეს. ზაირა სმირად მიდიოდა სახლში, მაგრამ უკანვე ბრუნდებოდა იმ იმედით, რომ შემდეგში მდგომარეობა გამოსწორდებოდა.

1963 წლის დეკემბერში ქალიშვილი შეეძინათ. გოგონას დაბადებას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია ედიგაროვზე. ის ისევ ჩხუბობდა, აუტანელ მდგომარეობაში აყენებდა ცოლს.

სასოწარკვეთილებამდე მისული ზაირა იძულებული გახდა ყველაფერი მიეწერა მშობლებისათვის. მშობლებს გულახდილად აუწერა თავისი ტანჯვა. ანალოგიური საჩივრით მიმართა ორჯონიკიძის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს და უბნის რწმუნებულს, რომლებმაც სათანადო ყურადღება არ გამოიჩინეს ამ საჩივრებისადმი. ზაირამ სასამართლოში აღძრა სარჩელი განქორწინებისა და ქონების გაყოფის თაობაზე. საქმის განხილვა გაჭიანურდა. ედიგაროვი თავს არიდებდა სასამართლოში გამოცხადებას.

გაიგო რა რომ ზაირა ჩიოდა, ედიგაროვმა და მისმა მშობლებმა ზაირა სახლიდან გააგდეს და იგი თავის მშობლებთან დაბრუნდა.

ედიგაროვი დარწმუნდა რა, რომ ზაირა აღარ დაუბრუნდებოდა მას, გადაწყვიტა შური ეძია — მოკვლა ცოლი. ამასთან წინასწარ შეიმუშავა შურისძიების გეგმა. მკვლელობის დღეს დილიდანვე უდაზარებდა, რომ ზაირა ჩავედო ხელში.

როცა სახლში ზაირას მეტი არავინ არ იყო იგი შეიჭრა ოთახში, ჩაიღინა საშინელი დანაშაული, შემდეგ კი დაიწყო უმწიო ქალის სახელის გატეხვა.

ედიგაროვი უჩვენებდა, რომ დანაშაულის დღეს იგი მუშაობდა ელენე ედიგაროვის საკარმიდამო უბანზე,

რაზედაც თვით ელენე ედიგაროვი კატეგორიულ უარს აცხადებდა.

მოწმებმა ამხილეს იგი. მათ განაცხადეს, რომ ედიგაროვი დილიდან უთვალთვალებდა ცოლს.

გამომძიებელ ალმანოვს დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდა, რომ გამოეძიებინა გარემოებანი, გამოემუღავნებინა ედიგაროვი მის მიერ ჩადენილ დიდ დანაშაულში. ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-ფსიქიატრიული და ქიმიურ-ბიოლოგიური უქსპერტიზები, დაიკითხა მრავალი მოწმე, მოხდა დაპირისპირება და ა. შ.

მ. ედიგაროვის საქმე ამას წინათ განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ნ. გაჯიევის თავმჯდომარეობით, ბრალდებას მსარს უჭერდა ბოლნისის რაიონის პროკურორი ა. სულაბერიძე. იცნო რა დამნაშავედ ცოლის მკვლელო-

ბაში, სასამართლომ მკვლელს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

მკვლელს სამაგიერო მიეზღო. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაული შეიძლება არ მომხდარიყო ედიგაროვისა და შუკაკიძის მშობლებს მეტი მზრუნველობა რომ გამოეჩინათ შვილების ბედის მიმართ და შერიგების საერთო გზები გამოენახათ. გულგრილობას იჩენდა საზოგადოებრიობაც. მხედველობაშია ედიგაროვის მეზობლები, რომლებიც ცოლ-ქმრის ხშირი უსიამოვნების მოწმეები იყვნენ. მათ საქმეში არ ჩარეულა ამიერკავკასიის რკინიგზის გზათა მე-8 სალიანდაგო დისტანციის კოლექტივი, სადაც ედიგაროვი მუშაობდა.

**მ. მირზოევი,**

საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.



# აპოკალიპსის ძველნაუი

საერთაშორისო სამართლის ასოციაციის 51-ე კონფერენციის  
დეკლარაციის შტაბშედეგები

ლ. ალექსიძე

ბრძოლა მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განმტკიცებისათვის ყოველი კეთილი ნების ადამიანის წმინდა მოვალეობაა. მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებშიც გაერთიანებულია სხვადასხვა რჯულის და პოლიტიკური შეხედულებების ადამიანები, დაუღალავად იღწვის საერთაშორისო დაცულობის შენელებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის საყოველთაო გამოყენებისათვის. მაგალითისათვის საკმარისია აღვნიშნოთ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, დემოკრატიკური საერთაშორისო ასოციაციისა და სხვათა საქმიანობა.

ყველა ეს ორგანიზაცია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში შეიქმნა და მათ შემადგენლობაში ძირითადად ანტიიმპერიალისტური, ანტიკოლონიალური, საერთაშორისო დაცულობის შენელებისათვის მებრძოლთა ელემენტები ჭარბობს. იმპერიალიზმის აპოლოგეტთა ხვედრითი წონა აქ უმნიშვნელოა, თუმცა საერთოდ ამ ძალის უგულვებელყოფა, სიფხიზლის მოდუნება არ იქნებოდა სწორი.

გაცილებით უფრო რთული სიტუაციაა ზოგიერთ ისეთ საერთაშორისო ასოციაციებში, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეიქმნა და წამყვანი იმპერიალისტური სახელმწიფოების ბურჟუაზიის ძლიერ ზეგავლენას განიცდის. სწორედ ასეთ ორგანიზაციათა ტიპს მიეკუთვნება „საერთაშორისო სამართლის ასოციაცია“, რომელიც თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიოს საერთაშორისო სამართლის დარგში მომუშავე სპეციალისტების დარაზმვაში თანამედ-

როგობის აქტუალური პრობლემების გადასატრედად.

საერთაშორისო სამართლის ასოციაცია შეიქმნა ქ. ბრიუსელში 1873 წელს. მისი მთავარი ამოცანაა საერთაშორისო სამართლის შესწავლა და პროგრესული განვითარება თეორიისა და პრაქტიკის დრმა გაანალიზებისა და განხორციელების გზით. ასოციაციას ყავს როგორც ინდივიდუალური (საერთაშორისო სამართლის დარგში მომუშავე იურისტები, მომიჯნავე პროფილების იურისტები, სავაჭრო წრეების წარმომადგენლები), ასევე კოლექტიური წევრები (იურიდიული პირები, მაგ. ინგლისის დამცველთა საბჭო). ამჟამად ასოციაციის წევრთა რაოდენობა ოთხ ათასამდეა და წარმომადგენენ 60-მდე სახელმწიფოს. მისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი დასავლეთის ქვეყნებზე მოდის. ასოციაციის უმაღლეს ორგანოს წარმომადგენს კონფერენცია, რომელსაც ორ წელიწადში ერთხელ იწვევენ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში. კონფერენცია ირჩევს ასოციაციის პრეზიდენტებს, ხაზინადარს, გენერალურ მდივანსა და აღმასრულებელ საბჭოს, რომელიც კონფერენციებს შორის ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციებს ასრულებს.

თუ პირველ ხანებში ასოციაცია ძირითადად საერთაშორისო კერძო სამართლის პრობლემებით იყო გატაცებული, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პირველყოფლისა, ყურადღება ექცევა საერთაშორისო საჯარო სამართლის წამყვან პრობლემებს: ადამიანის უფლებები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვა, საერთაშორისო თანამშრომლობა, საჭაერო სამართალი და სახელმწიფოს იმუნტეტი,

უცხოელთა ქონების ნაციონალიზაციის სამართლებრივი ასპექტები, კოსმოსი და საერთაშორისო სამართალი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს იძულებითი იურისდიქცია, მშვიდობიანი თანაარსებობის იურიდიული ასპექტები და ა. შ.

ასოციაციის მუშაობის პრობლემატიკა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1957 წლიდან, როდესაც ასოციაციის წევრად მიღებულ იქნა საერთაშორისო სამართლის საბჭოთა ასოციაცია. ამჟამად საბჭოთა კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი), აზიისა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოების დელეგაციები დიდ როლს თამაშობენ საკითხების ჯეროვან გადაწყვეტაში. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე „დასავლეთელების“ პოზიციები ასოციაციაში საკმაოდ ძლიერია პროგრესული თვალსაზრისით, იგი სულ უფრო და უფრო იკაფავს გზას, „ცივი ომის“ მომხრეებს სულ უფრო უჭირთ თავისი პოზიციების გამართლება. ამის ნათელი მაგალითია 16-22 აგვისტოს ტოკიოში ჩატარებული საერთაშორისო სამართლის ასოციაციის 51-ე კონფერენცია.

ყურადღებია ის ფაქტი, რომ ეს იყო პირველი კონფერენცია, რომელიც აზიაში ჩატარდა, რაც არ შეიძლება არ შეფასდეს, როგორც დასავლეთის ქვეყნების მიერ აღმოსავლეთის ქვეყნების როლის აღიარება თანამედროვე საერთაშორისო სამართალში. საკითხები, რომელიც უნდა განხილულიყო 51-ე კონფერენციაზე, მრავალფეროვანია, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ყველაზე მნიშვნელოვან და გადასატრეულად რთულ პრობლემას წარმოადგენდა. საქმე ეხება მშვიდობიანი თანაარსებობის იურიდიულ ასპექტებს. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იურისტები ამახინჯებენ ჩვენს პოზიციას ამ საკითხში და ცდილობენ მშვიდობიანი თანაარსებობა წმინდა

პოლიტიკურ საწყისად გამოაცხადონ. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სამართლის ასოციაცია ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ჩვეუმა ასოციაციის სპეციალური კომიტეტის მუშაობა და არ დაეშვა რაიმე გადაწყვეტილების მიღება. მაგრამ ეს სრიკები ამო აღმოჩნდა — ასოციაციის სპეციალური კომიტეტი (თავმჯდომარე ბელგიელი იურისტი კოშო, ასოციაციის პრეზიდენტი 1962-1964 წწ.) მაინც სხვა გზას დაადგა და შეიმუშავა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, რითაც აღიარა ამ ძირითადი პრინციპის საერთაშორისო სამართლებრივი ბუნება. ეს პრინციპები შემდეგია:

1. ყოველი სახელმწიფო მოვალეა თავი შეიკავოს მუქარისა ან ძალის გამოყენებისაგან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიალურ მთლიანობისა ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

2. საერთაშორისო დავები მშვიდობიანად უნდა წყდებოდეს.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველი აქცია, რომელიც ეყრდნობა წესდებას, უნდა სარგებლობდეს სახელმწიფოების მხარდაჭერით.

4. არავითარი დახმარება არ შეიძლება გაეწიოს იმ სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგ ორგანიზაცია იყენებს რაიმე ზომებს წესდების შესაბამისად.

5. თვით დაცვის პრინციპი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებს.

6. სახელმწიფოები მოვალენი არიან მიიღონ ხელშეკრულებათა მეშვეობით საყოველთაო და სრულ განიარაღებას ეფექტური კონტროლით.

7. ყოველი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივისცემა.

8. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა.

9. სხვა სახელმწიფოების შინაგან საქმეებში ჩაურევლობა.



10. ხელშეკრულების სავალდებულო ძალის პრინციპი.

11. ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო და ეფექტური პატივისცემა.

12. ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლების პრინციპი.

13. საყოველთაო თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის გაერთიანებული ერების წესდების შესაბამისად.

14. მოგების, სარგებლობის ურთიერთ ნაცვალგების პრინციპი.

15. სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის პრინციპი.

16. სახელმწიფო უნდა იყოს მომთმენი თავის საქმიანობაში მიუხედავად იმისა, რაოდენ განსხვავდება მათი სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური სისტემები.

კომიტეტის მოხსენებას თან ახლდა სპეციალური მოხსენებლის პროფ. რადოიკოვიჩის (იუგოსლავია) ვრცელი მოხსენება, რომელშიც მოცემული იყო ყველა პრინციპის კომენტარები. ეს მოხსენება აგრეთვე ხაზს უსვამდა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საერთაშორისო სამართლებრივ ბუნებას.

ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო ტოკიოს კონფერენციაზე. აშკარა იყო, რომ ამერიკელები, რომელთა დელეგატი კომიტეტში უმცირესობაში აღმოჩნდა, შეეცდებოდნენ „ანგარიშის გასწორებას“ ტოკიოში.

საჭირო იყო ამ იერიშის მოგერიება ღრმად არგუმენტირებული გამოსვლებით, რომელიც ცხადყოფდა არა მარტო საბჭოთა კავშირის გულწრფელ მისწრაფებას მშვიდობიანი თანაარსებობისადმი, არამედ ამ საწყისის მჭიდრო კავშირს თანამედროვე საერთაშორისო სამართალთან. ასეთი იყო ჩვენი დელეგაციის ამოცანები, რომელიც 9 წევრისაგან შესდგებოდა, მას ხელმძღვანელობდა საბჭოთა ასოციაციის ბეჭდვითი ორგანო „Советский Ежегодник международного права“-ს მთავარი რე-

დაქტორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ნ. უშაკოვი.

14 აგვისტოს საღამო ჟამს ჩავედით ტოკიოს. დავგაბინავეს ერთ-ერთ საუკეთესო, ევროპული ყაიდის სასტუმროში („დაიჩინ პოტელ“), სადაც სხვა ქვეყნების (იუგოსლავია, უნგრეთი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და სხვ.) დელეგატებიც ცხოვრობდნენ.

ორი დღის განმავლობაში ვათვალისწინებდით ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ვეცნობოდით ქუჩებს, მომავალი კონფერენციის სხდომათა დარბაზებს. რა თქმა უნდა უკვე ამ დღეებში ყველა დელეგაციამ დაიწყო სხვა დელეგაციებთან კონტაქტების დამყარება, ადგილზე სიტუაციის გამორკვევა, მოწინააღმდეგეთა პოზიციების მოსინჯვა. მალე აშკარა გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია თავისი ამოცანის მიღწევას შეეცდებოდა ავსტრალიისა და იაპონიის მრავალრიცხოვან დელეგაციებზე დაყრდნობით. საქმე იმაშია, რომ ასოციაციის კონფერენციებზე რეზოლუციების მიღება ღია კენჭისყრით ხდება და ყოველ დელეგაციას იმდენი ხმა აქვს, რამდენი წევრიც ესწრება სხდომას. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული სამი დელეგაციის წევრთა საერთო რიცხვი ორასს აღემატებოდა (რაც კონფერენციაზე დამსწრე დელეგატების საერთო რიცხვის ნახევარს უდრიდა) გასაგები გახდება ის რთული ვითარება, რომელიც შეიქმნა კონფერენციაზე.

17 აგვისტოს დღის 10 საათზე საერთაშორისო სამართლის ასოციაციის 51-ე კონფერენციამ ტოკიოში მუშაობა დაიწყო.

ტრადიციის თანახმად ასოციაციის პრეზიდენტად 1964-1966 წწ. არჩეულ იქნა საერთაშორისო სამართლის ასოციაციის იაპონიის განყოფილების პრეზიდენტი ჰიგერუ კურამა. ასოციაციის წევრებს მიესალმნენ იაპონიის საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრები.

საზეიმო სხდომის შემდეგ კონფერენ-

ციის მონაწილენი გაეშურნენ თავთავიანთ სექციებში. დაიწყო დაძაბული მუშაობა, რომელიც დიდ სიფრზილეს, ტაქტსა და დიპლომატიას მოითხოვდა. მე არ შევეხები ყველა კომიტეტის მუშაობას, ეს შორს წაგვიყვანდა. აღვნიშნავ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ყველა კომიტეტში საქმიანი და შედარებით მშვიდი ატმოსფერო სუფევდა, თუმცა მთელ რიგ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია პროგრესული შეხედულებებისათვის, მაგრამ ვერაფერს გახდა. მხოლოდ იქ, სადაც ამერიკელებმა მოქნილობა და კომპრომისების ძიების სურვილი გამოიჩინეს ისინი არ დარჩნენ უმცირესობაში.

როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მშვიდობიანი თანაარსებობის იურიდიული ასპექტების კომიტეტის მუშაობის შედეგების შეფასება.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის სხდომა დანიშნული იყო 20 აგვისტოსათვის, კულუარებში მოლაპარაკება დაიწყო გაცილებით ადრე. მასში ჩაბმული იყვნენ ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის დელეგატები. მე პირადად მომიხდა ხანგრძლივი მოლაპარაკება მეწარმეობინა პროფ. მაკუინისთან (კანადა), პროფ. თ. კონარსა და პროფ. ხაზარდთან (აშშ), ავსტრალიის დელეგატებთან. მოლაპარაკება სწარმოებდა არა მარტო დღისით, კომიტეტების სხდომათა შუალედებში, არამედ ყოველ საღამოს, იმ უსასრულო მიღებებზე, რომელსაც გვიწყობდნენ ყოველდღე სტუმართმოყვარე მასპინძლები — საგარეო საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, ტომიჯის პრეფექტურის გუბერნატორი, იაპონიის რადიომაუწყებლობის კომპანია, ასოციაციის იაპონიის განყოფილება და ა. შ.

სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა, რომ დელეგატთა უმრავლესობა არ იზიარებდა აშშ-ს დელეგაციის აზრს და კენჭის ყრა არაფერს კარგს არ უქადდა ამერი-

კელებს. უფრო მეტიც, თვით ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციაშიაც კი გაჩნდა ბზარი — ყველაზე აგრესიულად განწყობილი იურისტები გრძნობდნენ, რომ მათ ჯიუტ პოზიციას ნიადაგი ეცლება.

19 აგვისტოს საღამოთი შედგა მშვიდობიანი თანაარსებობის იურიდიული ასპექტების კომიტეტის სხდომა, რომელიც ღამის ორ საათამდე გაგრძელდა. ცხარე კამათის შედეგად შემუშავებული იქნა კომპრომისული რეზოლუცია. კონფერენციამ მოიწონა კომიტეტისა და მისი მომხსენებლის მიერ ჩამოყალიბებული მშვიდობიანი თანაარსებობის 16 პრინციპი, ხოლო მათი ბუნების ხასიათის განსზაღვრაზე უარი განაცხადა. მაგრამ, რადგანაც კომიტეტისა და მისი მომხსენებლის მიერ თანაარსებობა განხილულია სწორედ იურიდიულ ასპექტში, აშკარაა, რომ მოწინააღმდეგე შეხედულება ფაქტიურად უარყოფილი იქნა. ვერ შეძლეს ამერიკელებმა კომიტეტის გაუქმებაც.

კონფერენციამ დატოვა მშვიდობიანი თანაარსებობის კომიტეტი ახალი სახელწოდებით „უშიშროებისა და თანაშრომლობის კომიტეტი“ და დაავალა მას განაგრძოს მუშაობა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების შემდგომ დახვეწის მიმართულებით.

ამგვარად, ურთიერთშეთანხმებისა და საკითხისადმი გონივრულ მიდგომის შედეგად შესაძლებელი გახდა მეტად მნიშვნელოვანი რეზოლუციის მიღება. საბჭოთა კავშირის და სოციალისტური ქვეყნების გულწრფელმა და დამაჯერებელმა პოზიციამ აიძულა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის მოწინააღმდეგეები შერიგებოდნენ კომპრომისის გზას და უარი ეთქვათ მექანიკურ კენჭისყრაზე. „მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპმა აქაც გაიმარჯვა“ — ხუმრობდნენ დელეგატები. 22 აგვისტოს საერთაშორისო სამართლის ასოციაციის ყველაზე მრავალრიცხოვანმა 51-ე კონფერენციამ დაამთავრა მუშაობა. ყველანი ვეთხოვებოდით ტოკიოს ღრმა რწმენით, რომ საერთაშორისო სამართლის

ასოციაციამ შეიტანა თავისი წვლილი ხალხთა უშიშროებისა და მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის პრინციპების დანერგვის საქმეში.

კონფერენციის შემდეგ ჩვენი დელეგაცია ქალაქ კიოტოს გაემგზავრა, ხოლო იქიდან ნარა, ჰაკონე და კამაკურიში. ჯერ კიდევ კონფერენციის დროს ვეწვიეთ იაპონიის ნაციონალურ პარკ ნიკოს, რომელიც ტოკიოსაგან 150 კილომეტრით არის დაშორებული. ამგვარად შეგვეძლო დაგვეთვალიერებინა იაპონიის ყველაზე ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილები და ძეგლები, ოდნავ მაინც ჩაეწოდომოდით ხალხის ტრადიციებსა და ყოფას. ჭეშმარიტად დიდებულია ტოსიოგუს ტაძარი ნიკოში (1636 წ.; იაპონიის ძველი არქიტექტურის ძეგლი), ჰიანისა (1895 წ.) და სანჯიუნსანგედოს (1266 წ.) ტაძრები კიოტაში, კასუგას (768 წ.) და ტოდაიჯის (1708 წ., პირველი, აშენებული 745 წ. შენობა დაიწვა) ტაძრები ნარაში; მიმზიდველია ნიკოს და ჰაკონეს პარკები და ტბები, კამაკურას პლაჟები.

არ შეიძლება გულგრილი დარჩე, როდესაც უყურებ ბუდას მსოფლიოში ყველაზე დიდ ბრინჯაოს ქანდაკებას, რომლის სიმაღლე 16 მეტრია, ხოლო წონა 551 ტონა (VIII საუკუნის ძეგლი ნარაში), ანდარად ღირს მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხის შენობაში მოთავსებული ბუდას 1001 ოქროს გამოსახულება, რომელიც 700 წელს ითვლის (კიოტო). ამის შემდეგ აღარ გაგაკვირვებთ ბუდას ბრინჯაოს ქანდაკება კამაკურაში, თუმცა მისი სიმაღლე 13 მეტრია (მე-13 საუკუნის ძეგლი).

თანამედროვე იაპონია ინდუსტრიულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი

მოწინავეა (ელექტრონიკა, ოპტიკა, გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა და ა. შ.).

„დასავლეთის ცივილიზაციის“ ერთ-ერთ მთავარ ნიშანს რეკლამები შეადგენენ: ამ მხრივ იაპონიას ბადალი არ ჰყავს — დამით ტოკიო ულამაზესი სანახაობაა. მაგრამ ამ სილამაზის ქვეშ — საშინელი სიბინძურე იმალება. ყოველ ნაბიჯზე, მოკლე და ვიწრო ქუჩებზე ღიად გვთავაზობდნენ ქაღალს, რასაც ხშირად ხანში შესული და საკმაოდ ჩასუქებული მამაკაცები აკეთებენ. საკმარისია შეხედოთ კარებში მდგარი ახალგაზრდა ქალის სახეს, მისი თვალები სიბრალულს იწვევს.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს მეორეც — იაპონელები იშვიათი სიყვარულით იცავენ თავიანთ ტრადიციებს „ვერობულ ცივილიზაციისაგან“, იქ რაც შეეხება ჩვეულებრივ ყოფასა და ხელოვნებას.

არავითარი ქედმოსხრილობა დასავლეთის მიმართ, პირიქით, თვალში ეცემა კაცს უდიდესი სიამაყე საკუთარი კულტურით, ყოფით და ოდნავ დამცინავი დამოკიდებულება უცხოელისადმი, რომელიც პირველად ძნელად ერკვევა „ამომავალი მზის ქვეყნის“ ცხოვრების ნიუანსებში.

ძნელია ორი სიტყვით აღწერო „ამომავალი მზის ქვეყანაში“ მოგზაურობის არა მარტო ყველა, არამედ ძირითადი შთაბეჭდილებანიც, ჩვენ არც ვცდილობთ ამას. გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ იაპონიის ხალხის ისტორიაც და აწმყოც მოწმობს მის დიდ, ტიტანურ შრომისმოყვარეობასა და ორგანიზებულობას, მის დაუღალავ მისწრაფებას მშვიდობისადმი.



მრავალმხრივი იყო გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოსის ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობა.

1887 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა კანდიდატის ხარისხით დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი და სამ-შობლოსაკენ გამოემართა. მან სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ხელმძღვანელობით. ექ. თაყაიშვილი გულმოდგინედ შეუდგა ძველი ხელნაწერებისა და დოკუმენტების შესწავლას; პირველ ყოვლისა მისი ყურადღება მიიპყრო საქართველოს მონასტრებმა და ეკლესიებმა, რომლებშიც ინახებოდა ხელნაწერები და საბუთები. დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი თვითონ ჩაუდგა სათავეში ხელნაწერებისა და სხვა ისტორიული ძეგლების შესწავლის საქმეს. მან უდიდესი შრომა ჩაატარა „წერა-კითხვის საზოგადოების“ ხელნაწერთა მეცნიერული შესწავლის სახით და ამ მუშაობის შედეგად გამოაქვეყნა ორი ტომისაგან შემდგარი შრომა, რისთვისაც მიიღო რუსეთის სამეცნიერო აკადემიის ოქროს მედალი.

ექვთიმე თაყაიშვილი სისტემატურად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და სწავლობდა ისტორიულ ძეგლებს, წარწერებს ეკლესიებსა და მონასტრებზე, აგროვებდა ხელნაწერებსა და საბუთებს. ასეთი მუშაობის ჩატარება ფრიად აუცილებელი იყო, რადგანაც ისტორიული ნაგებობანი ზიან-

დებოდა, ხოლო ხელნაწერები და საბუთები იღუპებოდა.

ექვთიმე თაყაიშვილი აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს და ახდენდა არქეოლოგიურ მონაპოვართა ანალიზს. მან დააარსა „ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, რომელსაც 14 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

აქტიური მონაწილეობა მიიღო ე. თაყაიშვილმა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში და ახლად გახსნილ უნივერსიტეტში ენერგიულად შეუდგა პედაგოგიურ მუშაობას, როგორც პროფესორი.

დაწყებული 1890 წლიდან ექვთიმე თაყაიშვილი ყოველწლიურად აქვეყნებდა შრომებს ან ცალკე წიგნად, ან რომელიმე კრებულში და ჟურნალში.

ექვთიმე თაყაიშვილს ხელი მიუწვდებოდა ისტორიოგრაფიაზე, ქართულ მხატვრულ ლიტერატურაზე, სუროთმომძღვრებაზე, მხატვრობაზე, ჭედურ ხელოვნებაზე; ის დახელოვნებული იყო წარწერების ამოკითხვაში. ქართული კულტურის ისტორიის სხვადასხვა ძველი იყო მისი შესწავლის საგანი. ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა და გამოსცა ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, რომლებმაც ახალი ეტაპი შექმნეს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

ექვთიმე თაყაიშვილს უნდა გუმადლოდეთ, რომ მან თავის დროს შეისწავლა საქართველოს სამხრეთ და დასავლეთ კუთხეების შესანიშნავი ისტორიული ძეგლები (რომლებიც ამჟამად ოსმალეთს უჭირავს). გააკეთა ამ ძეგლების მეცნიერული აღწერა, მოახდინა სურათების გადაღება, შეადგინა არქიტექტურულ ნაგებობათა ნახაზები, ამოკითხა ძეგლების წარწერები და მოამზადა ყველაფერი ეს გამოსაცემად.

ე. თაყაიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის სამუშეოში განძის გადარჩენის საქმეში, რომელიც მენშევიკურმა მთავრობამ საფრანგეთში გაიტანა.

ე. თაყაიშვილმა უდიდესი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეს. საქართველოს ისტორიოგრაფიას ესაჭიროებოდა ძეგლების დაცვა, მეცნიერული შესწავლა, ხელნაწერებისა და საბუთების შეგროვება, წარწერების ამოკითხვა და სხვა; ე. თაყაიშვილმა ყველაფერი ეს ჩინებულად შეასრულა. ის ყოველთვის სარგებლობდა დიდი ილიას რჩევით, მისი ნდობით. ილია ჭავჭავაძე დიდ იმედს ამყარებდა ექვთიმე თაყაიშვილზე და ეს იმედი მას გაუმართლდა.

ე. თაყაიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან ჩვენ შეგვირდებოდა მხოლოდ ერთ დარგზე: ე. თაყაიშვილის ღვაწლზე საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლაში.

როცა ჩვენ ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობას ეხებებით ქართული სამართლის ისტორიის სახით, პირველყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ



ექვთიმე არ იყო იურისტ-ისტორიკოსი. მისგან ჩვენ არც მოველით პროფესიულ შრომას სამართლის დარგში. ექ. თაყაიშვილს შესწავლილი და გამოცემული აქვს მრავალი იურიდიული შინაარსის ძეგლი. ამასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილს გამოთქმული აქვს თავისი შეხედულება ძეგლის შინაარსზე, ძეგლში ასახულ სამართლის ამა თუ იმ ინსტიტუტზე და სწორედ ეს არის ამჟამად ჩვენთვის საყურადღებო. სამართლის ისტორიის ზოგიერთ საკითხზე ე. თაყაიშვილი გვაძლევს არაპირდაპირ პასუხს, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს პასუხი მაინც ფრიალ მნიშვნელოვანია.

პირველ ყოვლისა საყურადღებოა ე. თაყაიშვილის მოსაზრება გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის შესახებ. თავისთავად ეს საკითხი ძლიერ მნიშვნელოვანია და ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი. მისი შესწავლა დაკავშირებულია მთელ რიგ სხვა საკითხის შესწავლასთან. სამეცნიერო ლიტერატურაში გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის შესახებ ვგვხვდებით განმარტება თუ გამოთქმა: ძლიერი ფეოდალური მონარქია, ან მტკიცე ცენტრალური ხელისუფლება და სხვა. ეს არ არის საკმარისი. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმა კონკრეტულად.

ცნობილია ის გარემოება, რომ ფეოდალურ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას შეესაბამება გარკვეული ტიპის სახელმწიფო, მაგრამ ამ ტიპს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა: ადრინდელი ფეოდალური მონარქია, დაქუცმაცებული ფეოდალური, წოდებრივ წარმომადგენლობითი და აბსოლუტური მონარქია. ფეოდალიზმისათვის ტიპიური და უმრავლეს ქვეყნებში გავრცელებული სწორედ მონარქიაა. ფეოდალური რესპუბლიკა მაინც გამოწაკლის ხასიათს ატარებს და გვხვდება ზოგიერთ ქალაქებში (ფლორენცია, ვენეცია, განზა, ნოვეროდი და სხვა). საქართველოშიც თბილისი ერთ დროს ფეოდალურ რესპუბლიკას წარმოადგენდა. ისმება საკითხი იმის შესახებ თუ სახელმწიფოებრივი წყობილების სხეულები ფორმებიდან, რომელი ფორმა იყო საქართველოში. საბოლოო ჯამში ფეოდალური ტიპის სახელმწიფოს ესა თუ ის ფორმა სოციალურ-ეკონომიური პირობებით განისაზღვრება, ყოველი ფორმა ძირითადი ნიშნებით შეესაბამება ფეოდალური სახელმწიფოს ტიპს, მაგრამ ამავე დროს ესა თუ ის კონკრეტული ფორმა იმასზე დამოკიდებული, თუ გაბატონებულ კლასს ფეოდალური სახელმწიფოს როგორი ორგანიზაცია სჭირდება კლასთა ბრძოლის ამა თუ იმ ეტაპზე. ამ შემთხვევა-


ში ჩვენ გვანტერესებს გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის ფორმა XI-XV საუკუნეების საქართველოში.

ფრიალ დამახასიათებელია ის გარემოება, რომ როგორც ივ. ჯავახიშვილი, ისე ექვთიმე თაყაიშვილი, ამ საკითხის შესახებ ანალოგიას დასავლეთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფოებრივ წყობილების ფორმებში ეძებდნენ. ივ. ჯავახიშვილი საქართველოში ფეოდალიზმის შესასწავლად საშუალო საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნების ფეოდალურ ინსტიტუტებს იღებდა შესადარებლად.<sup>1</sup>

სწორედ ამ თვალსაზრისზე დგას ექ. თაყაიშვილიც. ე. თაყაიშვილს „ხელმწიფის კარის ვარიგება“ მიაჩნია ისეთ ძეგლად, რომელიც ასახავს მეცამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოთხმეტე საუკუნის დასაწყისის საქართველოს „სახელმწიფო წესწყობილებას“. „ეს წესწყობილება, რასაკვირველია, თანდათანობით გამოუმუშავებულია საუკუნეთა განმავლობაში, დაახლოებით მეთექვსმეტე საუკუნემდის, მას თავისი ევოლუცია აქვს და ნიშანია საქართველოს კულტურული ცხოვრებისა და განვითარებისა“<sup>2</sup>. მაშასადამე, ეს ძეგლი ე. თაყაიშვილის აზრით ასახავს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს „სახელმწიფო წესწყობილებას“, და იმავე დროს „ხელმწიფის კარის ვარიგება“ გვიხატავს „სურათს თვით ხელმწიფის კარის ანუ დარბაზისა და იმ რთული ეთიკეტისა და ცერემონიებისა, რომელიც არსებობდა ხელმწიფის კარზე, თითოეულ ხელმწიფის ფეხის გაღაღგებაზე, და რომელიც მოგვაგონებს ლუდოვიკო მეოთხმეტის კარის ეთიკეტს“<sup>3</sup>. ამგვარად ე. თაყაიშვილი ლუდოვიკო XIV დროის საფრანგეთში ხედავს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილების მსგავს წყობილებას. ამავე დროს ცნობილია, რომ ლუდოვიკო XIV დროს საფრანგეთში აბსოლუტიზმი თავის განვითარების უმაღლეს საფეხურზეა ასული. რასაკვირველია, ე. თაყაიშვილის ეს გამოთქმა შემთხვევით ხასიათს ატარებს, ის სპეციალურად არ ჩერდება სახელმწიფოს ფორმის საკითხზე. მიუხედავად ამისა, საყურადღებო ის არის, რომ ე. თაყაიშვილი საფრანგეთში ეძებს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების მსგავს მოვლენებს. ივ. ჯავახიშვილი და ე. თაყაიშვილი კარგად იცნობდნენ აღმოსავლეთის ქვეყნების მონარქიული სახელმწიფოებს, რომლებიც ტერიტორიულად ახლო იყვნენ საქართველოსთან, მაგრამ ისინი აღმოსავლეთის ქვეყნებში არ ეძებდნენ ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ანალოგიურ ინსტიტუტებს.

სხვა საკითხია რომ აბსოლუტიზმი არ იყო საქართველოში; საქმე იმაშია, რომ „ხელმწიფის კარის ვარიგება“

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, ნ. I, გვ. 63-107.  
 2 „ხელმწიფის კარის ვარიგება“, ე. თაყაიშვილის (რედაქციით, 1920 წ. გვ. XXXIV.  
 3 იქვე, ივ. XXXV.



რიგებამი“ მეფის ხელისუფლება ისეა დასაბუთებული, რომ ის აბსოლუტური მონარქიის მეფეს ჰგავს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიაში განსაკუთრებით გავრცელებული იყო იმპერატორის გაღმერთება; ბიზანტიის სახელმწიფოს ეს რომის იმპერიამ უანდერძა, ხოლო რომის იმპერატორებმა თავიანთ მხრივ იმპერატორის ასეთი რელიგიურ სამოსელში გახვევა და მისი ღმერთის ნაცვლად ამ ქვეყნად წარმოადგინა, აღმოსავლეთის სახელმწიფოებისაგან გადმოიღეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბიზანტიის ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. დავით აღმაშენებელამდე ქართველი მეფეები ბიზანტიის სასახლის მოხელის ტიტულს ატარებდნენ, ამდენად ბიზანტიის გავლენა საქართველოში დიდი იყო; ამასთანავე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში ბიზანტიის გავლენის გარეშე არ მიმდინარეობდა და ქართველებიც ბერძნულ მართლმადიდებლობას აღიარებდნენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღწერილი სასახლის ეთიკეტი, შესაძლებელია, ბიზანტიის სასახლის ეთიკეტის გავლენას განიცდიდეს.

საქართველოში აბსოლუტიზმის არსებობა არ არის პირდაპირი ცნობებით დასაბუთებული. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორს შეიძლება ასეთი წყობილება სასურველად მიეჩნია მომავლისათვის, როგორც იდეალი, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ეს ძველი რამდენადმე მაინც ასახავდეს კიდევ აბსოლუტიზმის, როგორც რეალური წყობილების ელემენტებს საქართველოში<sup>1</sup>. თუ კი ქართულმა ფეოდალიზმმა ადრეფეოდალურა სოციალური წყობილების შემდეგ განვითარებული ანუ მომწიფებული პერიოდი იცოდა, მაშინ ლოგიკურად ამ მომწიფებაშიც უნდა გამოჩენილიყო მომავალი საზოგადოების საწყისები. საქალაქო წყობილება, საეპარო ურთიერთობის განვითარებაც და სხვა, ამის დამამტკიცებელია, მაგრამ ამ მიმართულებით საჭიროა კვლევა-ძიება, რადგანაც საკითხი კაპიტალიზმის საწყისების შესახებ ფეოდალურ საქართველოში, კერძოდ XII-XIII საუკუნეებში, ძლიერ საინტერესოა.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ექ. თაყაიშვილი ქართულ სამოხელეო სახელების ახსნას ევროპის ფეოდალურ ქვეყნების სამოხელეო სახელებით ცდილობს.

გამრეკელი თორელი მას ახსნილი აქვს როგორც „ოხერ-შტალმეისტერი“. შტალმეისტერი სამხედრო მოხელე იყო დასავლეთის ქვეყნებში, რუსეთში „რანგების შესახებ ტაბელით“ ის III კლასის მოხელე იყო.

ვეზირს ე. თაყაიშვილი განმარტავს, როგორც მინისტრს.

მანდატურთ-უხუცესი, ე. თაყაიშვილის განმარტებით არის გენერალ-ადიუტანტი, ცერემონიალმაისტერი, საპოლიციო აპარატის უფროსი. ამირსპასალარს ე. თაყაიშვილი უწოდებს გენერალისიმუსს.

მეჭურჭლეთუხუცესი ე. თაყაიშვილს განმარტებული აქვს როგორც საზინისმცველთა უფროსი.

მწედ — ლაქია, კამერგელი, კრაფი, მსახურთუხუცესი — ობერკამერგერი.

მწიგნობარი — დიაკი.

ე. თაყაიშვილი ცდილობს, რომ ქართული სახელოები ახსნას რუსეთის და ევროპის სხვა ქვეყნების სამოხელეო სახელებით. ამით ჩვენ იმისი თქმა გვინდა, რომ ე. თაყაიშვილი ქართულ სამოხელეო წყობილების პარალელურად ევროპის ქვეყნებში ეძებს, იქ ეგულება და ასეთი მოსაზრება მართებულა, რადგანაც ქართული ფეოდალიზმის საფუძველი, ფეოდალური საკურთება, ევროპის ფეოდალიზმს უფრო ემსგავსება, ვიდრე საქართველოს მეზობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ფეოდალიზმს.

ე. თაყაიშვილი სხვადასხვა ძეგლების გამოცემის დროს საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ისტორიის ფრად მნიშვნელოვან საკითხებსაც ირკვევდა; მაგალითად, მან ტაოში შესწავლა იშხანის კათედრალური ტაძარი და მისი წარწერები. მან ასლებურად წაიკითხა ტაძრის ჩრდილოეთ მხარეზე მინაწერი და ამ საყურადღებო მინაწერთან დაკავშირებით გამოთქვა მეტად საინტერესო მოსაზრებანი. პირველ ყოვლისა, ე. თაყაიშვილმა დაადგინა, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს ადგილობრივი მოსახლეობა მეფეებს უწოდებდა. ამასთანავე, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები დებულობდნენ ბიზანტიის კეისრისაგან საკარისკაცო ტიტულს — ანტიპატრიკის, მაგისტროსის, კურაპალატის და სხვა.

ე. თაყაიშვილს საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ტაო-კლარჯეთის მმართველობის შესახებ. ადარნასე II გარდაიცვალა 983 წელს; მას დარჩა ოთხი შვილი. ამ ოთხიდან ერთი იყო „ქართველთა მეფე“, მიუხედავად ამისა, ტაო-კლარჯეთს ოთხივე ძმა ერთად განაგებდა. ამ შემთხვევაში სამეფოს ბაგრატიონთა სახლი უკურებდა, როგორც საერთო სამფლობელოს.

ტაო-კლარჯეთის მეფე ატარებდა ტიტულს „ქართველთა მეფის“, ხოლო გავრთიანების შემდეგ მეფეები იწოდებოდნენ „საქართველოს მეფედ“.

როდესაც ქართველთა მეფე ე. ი. ტაო-კლარჯეთის მეფე გარდაიცვლებოდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები აგზავნიდნენ დედეგაციას ბიზანტიაში რომ უკანასკნელის მთავრობისათვის ეცნობებიათ ბაგრატიონებიდან ის კანდიდატი, რომელსაც კურაპალატობა უნდა მიეღო.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1963, გვ. 268.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, 1952, გვ. 30-31.

ე. თაყაიშვილის აზრით X საუკუნის ტაო-კლარჯეთში ქართველთა მეფის შემდეგი ტიტული ერისთავთ-ერისთავი იყო.<sup>1</sup>

ოშკის წარწერების განხილვასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი ახსნა-განმარტებას აძლევს სხვადასხვა სახის ტერმინებს და მათ შორის ტერმინ „ფისოსი“-ს. ამ ტერმინების ახსნას დიდი მნიშვნელობა აქვს საქათველოს ეკონომიური ისტორიის შესასწავლად, აქ კი „ფისოსი“ იმითმ დაგვასახელებთ, რომ ეს ტერმინი ნახმარია „დასტურლამალიში“, ხოლო მისი მნიშვნელობა გავრკვეველი იყო. ე. თაყაიშვილს მოყავს „დასტურლამალიდან“ ის ადგილი, რომელიც ამ ტერმინს ეხება, უდარებს მას ოშკის წარწერას და ადგენს, რომ ფისოსი საერთოდ სითხის საზომი ერთეული იყო.<sup>2</sup>

როდესაც ე. თაყაიშვილის მოღვაწეობას ვეხებით ქართული სამართლის ისტორიის დარგში, არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ე. თაყაიშვილს ეკუთვნის ქართული სამართლის ისტორიის მრავალი ძეგლის მეცნიერული აღწერა.

ე. თაყაიშვილმა აღწერა დასტურლამალის აოველ აღექსიძისეული ხელნაწერი; მანვე აღწერა ნაზარინშვილის ამავე ძეგლის 1842 წლის ხელნაწერი და აღნიშნა, რომ ამ ხელნაწერის არშიებზე გაკეთებული მინაწერები, რომლებიც შეიცავენ დასტურლამალის ტექსტის სხვადასხვა ტერმინის ახსნა-განმარტებას ეკუთვნის დავით ჩუბინაშვილს.<sup>4</sup>

დასტურლამალის სულხან მდიენის ხელნაწერის შესახებ ე. თაყაიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ეს ხელნაწერი XVIII საუკუნის I ნახევარს ეკუთვნის; ე. თაყაიშვილის ეს ვარაუდი სავსებით დასტურდება.<sup>5</sup>

ე. თაყაიშვილი აღწერს დასტურლამალის ერთერთ მნიშვნელოვან ხელნაწერს, რომელიც საგნობრივ სისტემაზეა შედგენილი, ისე როგორც სულხან მდიენის ხელნაწერი და მართებულად აღნიშნავს, რომ ეს ხელნაწერი XVIII საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის. ამასთანავე, ე. თაყაიშვილი სავსებით მართებულად

ასაბუთებს რომ ყავრიშვილისეული ეს ხელნაწერი წერი გადაწერილია რამდენიმე ხელნაწერისაგან. ამასთანავე, ე. თაყაიშვილს აღწერილი აქვს ვასტანგის სამართლის წიგნთა კრებული ან კრებულის რომელიმე ნაწილის 28 ხელნაწერი.<sup>7</sup>

ე. თაყაიშვილს თავის გამოცემებში მეცნიერულად აღწერილი აქვს იურიდიული შინაარსის მრავალი ძეგლი და გამოთქმული აქვს საყურადღებო მოსაზრებანი იურიდიული შინაარსის ამა თუ იმ ტერმინის შესახებ.

ძეგლების გამოცემისას, გზა-გზა, ძველზე დაკვირვებისა და ძეგლის მასალის მიხედვით ე. თაყაიშვილი აყენებს საინტერესო დებულებას სახელმწიფო წყობილების ამა თუ იმ ინსტიტუტის შესახებ. ერთერთი ძეგლის მიხედვით (აფხაზეთის ისტორია ბაგრატი მეფისა) კონსტანტინე მეფე, ბაგრატი მეფის შვილი წერს: „ვპოვე საჭურჭლესა ქუთათის მდივანი“, ამ მდივანში მოქცეული ყოფილა მეფეთა სია.<sup>8</sup> ჩვენ ვიცით რომ გვიანდელი საქართველოს მდივანი სახელმწიფო მოხელე იყო.<sup>9</sup> ამ შემთხვევაში კი ასეთ „მდივანზე“ არ არის საუბარი. ე. თაყაიშვილი წერს: „...ტექსტის აზრით აქ მდივანი უნდა ნიშნავდეს სახელმწიფო დავთარს, რომელშიაც შეტანილი უნდა ყოფილიყვნენ ყოველგვარი სახელმწიფო აქტები, განჩინებანი, განწყესებანი და სხვადასხვა ცნობები. XVII და XVIII საუკუნეებიდან ჩვენამდის მოაღწიეს ე. წ. სამდივნო წიგნებმა, რომლებშიაც აუარებელი ცნობებია შეტანილი“ — იმ წესების შესახებ, რომლის მიხედვით უნდა დაიწეროს სიგელი, წერილები, რომლებიც შეიძლება გაიგზავნოს მეფესთან, დედოფალთან, ბატონიშვილთან, ერისთავთან, ეპისკოპოსთან, ამხანაგთან და სხვა, მზითვის წიგნი, განჩინება, ეპიტაფია, ცისისა და ეკლესიის წარწერა და სხვა, „მაგრამ ამგვარი სამდივნო წიგნები კერძო ხასიათის არიან, პრაქტიკული მიზნით შედგენილინი... სახელმწიფო მდივანი კი სხვა ხასიათის დავთარი ყოფილა სახელმწიფო მნიშვნელობისა და, ამიტომ სახელმწიფო საჭურჭლეთში ყოფილა შენახული“.<sup>10</sup>

დიდი ღვაწლი მიუძღვის ე. თაყაიშვილს ტაო-კლარჯეთის სამთავროს ისტორიის შესწავლაში, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ტაო-კლარჯეთ

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, 1952 წ. გვ. 31, 36.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>3</sup> E. Такаишвили, Описание рукописей..., т. II, Вып. II, 1908, стр. 697—698.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 698.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 698—699.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 699—700.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 614—632.

<sup>8</sup> „ძველი საქართველო“, ტ. 11, ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1913, გვ. 46—47.

<sup>9</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 229—239.

<sup>10</sup> „ძველი საქართველო“, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. 11, 1913, გვ. 47.

თის მთავრების გენეალოგია, რომელიც მოცემული აქვს ე. თაყაიშვილს.<sup>1</sup>

ე. თაყაიშვილმა კორიდეთის ოთხთავის ქართული წარწერების შესწავლასთან დაკავშირებით გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებანი ჯაყელთა სამფლობელოს შესახებ, რომელიც ჯერ ერისთავები იყვნენ, შემდეგ მესხეთის ათაბაგები და ბოლოს ასალცინის ფაშები.

ე. თაყაიშვილი ათარიღებს კორიდეთის წარწერაში მოხსენებულ ჯაყელთა გვარის წარმომადგენლების ცხოვრების პერიოდებს. 2 მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ კორიდეთის წარწერაში მოხსენებული „ყოთლ არსლანი“, ე. თაყაიშვილის აზრით, არის ჯაყელთა გვარის ის წარმომადგენელი, „რომელიც თამარ მეფის წინადადებას აძლევდა შემოევლო საქართველოში პარლამენტისებური მმართველობა“.<sup>3</sup>

ძველების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი იკვლევს ჭილაძეების სამფლობელოს ისტორიას, მის ძლიერებისა და დაცემის ხანას. ერთ დროს ჭილაძეები მთავრები იყვნენ, მათ დიდი სამფლობელო ჰქონიათ გურიასა და სამეგრელოს შორის (ასლანდელი საჯაგასო და მისი მიმდევრო სანახები რიონის ორთავე ნაპირას)<sup>4</sup> ჭილაძეებს ჰქონიათ სახელოები მოლარეთუხუცესისა (XIV საუკუნის დასასრული და XV საუკუნის დასაწყისი) და ჭყონდიდელის (XVII საუკუნის მეორე ნახევარში).<sup>5</sup>

მარტივების შესახებ ე. თაყაიშვილი მოგვითხრობს, რომ ეს სიტყვა ბერძნულიდან მომდინარეობს და ნიშნავს წამებულს, სოლო „მეგრული სახელი იყო“ ამ ადგილისა ჭყონდიდი ესე იგი დიდი მუსა. ამიტომაც ამ მონასტრის მღვდელთ-მთავრები იწოდებოდნენ ჭყონდიდლებად. „ჭყონდიდლები პირველი ვეზირები იყვნენ ძველს დროში საქართველოს მეფეებისა და... თუ რა თანამდებობა, დირსება და პატივი ჰქონდათ ჭყონდიდლებს საქართველოში, ამას ვგებულობთ სხვათაშორის დაწერილებით ჩვენ მიერ ასლად ნაპოვნ „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“.<sup>6</sup> გადმოცემის მიხედვით, მოგვითხრობს ე. თაყაიშვილი, „ტრაპეზის მარტივლის ეკლესიისა დადგენილია იმ მუხის ძირზე, რომელიც მოჰკვეთა ანდრია მოციქულმა, ოდეს ზეჲ რელნი მოაქცია“.<sup>7</sup>

ე. თაყაიშვილის ეს შრომა ნათელს ჰფენს მწიგნობართუხუცესს — ჭყონდიდელის სახელს წარმოშო-

ბას. ჭყონდიდი, როგორც ჩანს, სალოცავი ადგილი იყო წარმართობის დროის ამ ადგილის მკვიდრთათვის.

საფიქრებელია, რომ ამ ადგილზე წარმართული ტაძარი იყო აგებული.<sup>8</sup> ცნობილია ის გარემოება, რომ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, ეკლესიის მესვეურნი წარმართული რელიგიის დევნის პროცესში და ასეთი რელიგიის აღმოფხვრის მაზნით ანადგურებდნენ წარმართული რელიგიის საკულტო შენობებს და სწორედ ასეთი შენობის ნანგრევებზე აშენებდნენ ქრისტიანულ ტაძრებს, რომ წარმართ მორწმუნეებს სხვაგან თავშესაფრები ადგილი სამლოცველოდ არ ჰქონოდათ. ამგვარად იქნებოდა ქრისტიანული ეკლესია აგებული ჭყონდიდში ანუ მარტივში. უფრო გვიან აქ საეპისკოპოსოს დააარსდა და ამ ადგილის ეპისკოპოსის ჭყონდიდელი ეწოდებოდა. შემდეგში დავით აღმაშენებელმა სწორედ ჭყონდიდელი დანიშნა მწიგნობართუხუცესად, ე. ი. იმ დროის პირველ ვეზირად, მთავრობის თავმჯდომარედ. დავით აღმაშენებლის მხრივ ეს იყო ერთ-ერთი დონისძიება ცენტრალური ხელისუფლების გასაძლიერებლად: 1) ჭყონდიდელი-მწიგნობართუხუცესი, როგორც მეფის მოადგილე და იმავე დროს საეკლესიო პირი, ჩაეროდა ეკლესიის საქმეებში და ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის ხელისუფლებისათვის ეკლესიის დამორჩილების თვალსაზრისით. 2) ჭყონდიდელი მეფის ერთგული იმიტომაც უნდა ყოფილიყო, რომ როგორც საეკლესიო პირი (უცხოელთა) ის არ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული სამეპიკვიდრო მამულების გადიდებით.<sup>9</sup>

მართლაც, ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის იბრძოდა და ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და ქვეყნის დანაწევრების შემდეგ ეს თანამდებობაც გაქრა.

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ სოხის მონასტრის ერთერთ წარწერის გამოქვეყნებით ე. თაყაიშვილმა გამოავლინა, რომ XIV საუკუნის ბოლოს (1384-1396) ვამეყ დადიანი ატარებს ასეთ ტიტულს: ერისთავთ-ერისთავი, მანდატურთ-უხუცესი და დადიანი.<sup>10</sup> როგორც ცნობილია, ერისთავთ-ერისთავი მმართველობის ადგილობრივი მოხელეა, ასევეა დადიანიც; რაც შეეხება მანდატურთუხუცესს, — ის ვე-

<sup>1</sup> „სუმბატი დავითის ძის ქრონიკა...“, ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1949 წ. („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“).

<sup>2</sup> „ძველი საქართველო“, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. 1, 1909, გვ. 76.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> „ძველი საქართველო“, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1913-1914, გვ. 3-4.

<sup>5</sup> იქვე გვ. 17-18.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> „ძველი საქართველო“, III, ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1913-1914, გვ. 39-40.

<sup>9</sup> ნ. ბერძენიშვილი, საეპისკოპოსო ფეოდალურ საქართველოში (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, 1940 წ., V-VI; 1941, X).

<sup>10</sup> „ძველი საქართველო“, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქციით 1913-1914, გვ. 132-133.



ზირია, და როგორც ვეზირი მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელე. საყურადღებოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ წარწერაში საუბარია დადიანის მიერ ჯიქეთში ლაშქრობის შესახებ, მაგრამ მეფე ამ აღწერაში არ არის ნახსენები; ეს კი იმის ნიშანია, რომ ადგილზე მსხვილი ფეოდალი იმდენად გაძლიერებულია, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას არ უწევს ანგარიშს. ამ შემთხვევაში მანდატურთუხუცესის წოდება მხოლოდ სამკაულია დადიანისათვის.

როგორც წესი, საბუთების გამოცემისას, ე. თაყაიშვილი აღწერს ცალკეულ საბუთს, მიუთითებს, ამ საბუთის მნიშვნელობაზე და ზოგჯერ აღნიშნავს თუ განსაკუთრებით რა საკითხის შესწავლა შეიძლება ამ საბუთით. „საქართველოს სიძველენი“—ს III ტომის წინასიტყვაობაში ე. თაყაიშვილს ზოგადად დახასიათებული აქვს ამ ტომში მოქცეული დოკუმენტების მნიშვნელობა. ამ ტომში გამოქვეყნებული ორალისძეთა კვიტაშვილთა სასისხლო სიგელის (1463 წ.) შესახებ თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ის „ძლიერ საყურადღებოა ქართული სამართლის შესასწავლად“.<sup>1</sup> აგრეთვე შალვა ქვენაფენველის 1470 წლის სიგელის შესახებ აღნიშნული აქვს ამ ძეგლის მნიშვნელობის შესახებ ქართული სისხლის სამართლის ისტორიისათვის.<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი ამხეილებს ჩვენს ყურადღებას მორდლის შესახებ მის მიერ გამოქვეყნებულ საბუთზე, რომელიც შეტანილია დასტურამალში.<sup>3</sup> ფრიად საყურადღებოა ქალაქის წყობილების შესახებ ის შენიშვნები, რომლებიც დართული აქვს ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვე-

ყნებულ საბუთებს. ე. თაყაიშვილის მონაწილეობა შედგენილ იქნა თბილისის მელიქ-მამასახლისის გენეალოგია (ბეზუთოვების) რაც ძვირფასი მასალაა ფეოდალურ საქართველოს საქალაქო წყობილების შესასწავლად.<sup>4</sup>

შეუძლებელია ყველა იმ საკითხის ჩამოთვლა, რომელსაც ე. თაყაიშვილი ეხება თავის მრავალრიცხოვან გამოცემაში. ის საქართველოს სხვადასხვა კუთხის სხვადასხვა სასიათის წარწერების საფუძველზე ადგენდა ადგილობრივ საერო და საეკლესიო ხელისუფალთა ვინაობას, მათი მოღვაწეობის დროს; ამ წარწერებიდან ირკვეოდა მესხეთის ათაბაგების, გურიის ერისთავების, დადიანების და სხვა მთავრების საქმიანობა, მათი ტიტულები, მათი დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან და სხვა.

აკად. აკაკი შანიძის მართებული მოსაზრებით საქართველოს ისტორიოგრაფიას XIX საუკუნის II ნახევარში ესაჭიროებოდა სწორედ ისეთი მეცნიერი, როგორც იყო ე. თაყაიშვილი.

ძეგლების შესწავლის საქმეში ე. თაყაიშვილი ისეთი ბუმბერაზი მოჩანს, იმდენად დიდი საქმე აქვს გაკეთებული, რომ ამ მხრივ მისი დეაწლის შეფასებაც კი ძნელდება.

საქართველოს ისტორიოგრაფია, ე. თაყაიშვილის შრომების გარეშე წარმოუდგენელიცაა.

მისი შრომები ფასდაუდებელი განძია ქართველოლოგიისათვის საერთოდ და კერძოდ საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის.

1 „ძველი საქართველო“, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქციით 1913-1914, გვ. 3.

2 იქვე, გვ. 3-4. ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1963, გვ. 30-45.

3 „საქართველოს სიძველენი“. III ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1930, გვ. IV.

4 იქვე.

## მერაბ შაუენაძე პიანეტარით



კვამლისაგან დანისლული უძილო თვალებით კინოს ეკრანიდან შემოგვცქერიან, თითქოს სურთ გვაგრძნობინონ: შემოგვხედეთ ჩვენი ცხოვრება არ ჰგავს უბრალო მოკვდავის არსებობას და განგებამ რაღაც ზეადამიანური მოგვანიჭაო.

აბელ გეგია ეკუთვნის იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებსაც მეტად უყვართ სიცოცხლე, მხიარულები არიან და სხვასაც შეუძლიათ გადასდონ ეს გრძნობა. ალბათ სიცოცხლის დიდ სიყვარულსვე უნდა მიეწეროს ისიც, რომ დაუნდობელია დანაშაულთან ბრძოლაში. ამიტომაც არის „საქმეზე“ მუშაობისას მეტად შეუვალი და გულმოდგინე, დაწვრილებით ჩაპკირკიტებს თვითულ წვრილმანს, რაშიც ფაქტის ამეტყველების ნაპერწკალს ზედავს. ყველა, ვისაც ჰქონია მასთან საუბრის შესაძლებლობა გრძნობს, რომ მისი დამაჯერებელი კილო და სასიამოვნო ხმა მისდამი უცნაური, გამოუთქმელი ნდობის გრძნობით განაწყობს ადამიანს.

პროკურორის ხელში პატარა წითელყდიანი ბროშურა ეჭირა და გულმოდგინედ კითხულობდა, როცა კარები გაიღო და კაბინეტში ახალგაზრდა გამომძიებელი შემოვიდა.


— ექსპერტის დასკვნა მივიღეთ. თქვენი ვარაუდი მთლიანად გამართლდა. — თქვა მოსულმა და კმაყოფილების ნიშნად გულლიად გაუცინა.

— დადასტურდა? კარგია, კიდევ ერთი დანაშაულია გამოაშკარავებული. — უბასუხა აბელმა წყნარი, მაგრამ იმ ადამიანის დამაჯერებელი კილოთი, რომელსაც ცხოვრებაში ბევრი რამ უნახავს და გამოუცდია. შემდეგ რატომღაც მზერა ფანჯრისაკენ გადაიტანა. როდესაც კაბინეტის კარი მიიხურა და მარტო დარჩა კვლავ წიგნის კითხვა განაგრძო.

მისი გამომეტყველება სრულიად არ ჰგავდა იმ დეტექტივებისა და გამომძიებლების სახეს, რომლებიც თამბაქოს

— მამ დადასტურდა? — ჩაილაპარაკა თავისთვის. ბროშურა გვერდზე გადადო, სავარძელში გასწორდა და ფიქრებში ჩაიძირა.

— გამომძიების დროს არ არსებობს წვრილმანი, უმნიშვნელო დეტალი, ყველა ერთნაირად დიდმნიშვნელოვანია, შეიძლება მცირედის უგულებელყოფამ ბევრი რამ დაგაკარგვინოს... — ამას ხშირად ეუბნება აბელი თავის ახალგაზრდა კოლეგებს. ახლა კვლავ აღიდგინა მეხსიერებაში საკუთარი მუშაობის წარმმართველი ჭეშმარიტება და გონების თვალთ კვლავ დეტალურად მოიგონა ახლახან დამთავრებული მკვლელობის ამბავი, რომელიც უშუალოდ თვითონ შეისწავლა.



ტ. ქორიძე თავისავე ბინაში ნაჯახით მოკლეს. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით იატაკსა და კარებს ნავთი მოასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. პროკურორს მხედველობიდან არ გამოეპარა, რომ ღამით ჩაკეტილ კარ-ფანჯრებს ძალადობის არაფერი ეტყობოდა, ზოგიერთი სხვა მონაცემიც ვაითვალისწინა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მკვლელობაში გარეშე პირის მონაწილეობა გამორიცხებული იყო. ეჭვი ოჯახის მახლობლებზე იქნა მიტანილი და არც შემცდარა....

მრავალი წლის პრაქტიკამ ა. გეგიას განსაკუთრებული ალღო გამოუშუშავა. ვიდრე ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორი ვახდებოდა, ასობით სისხლის სამართლის საქმე გამოიძია და ვახსნა.

როდესაც საშუალო სკოლა დაამთავრა სოფელ საპრასია-რომანეთში, კომკავშირული მუშაობა იზიდავდა. პროფესიის არჩევაზე რომ მიდგა საქმე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამდივნოს ფანჯარასთან მივიდა საბუთებით ხელში. ვინ იცის, რა ილუზიებს არ ბადებდა მის ოცნებაში გამოძიებლის თუ მოსამართლის პროფესია, რომელიც საინტერესო და მრავალფეროვან სათავგადასავლო რომანტიკულ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ როდესაც უნივერსიტეტი დაამთავრა და ოქტომბრის რაიონის პროკურატურის გამოძიებლად დაიწყო მუშაობა, მაშინ მიხვდა, რომ საინტერესო რომანტიკის ვარდა გამოძიებლის ცხოვრება ბევრ სირთულესა და დაბრკოლებასთანაც იყო დაკავშირებული. ჭაბუკი გულმოდგინედ შეუდგა უფროსი თაობის გამოცდილების შესწავლას.

კანონებს მრავალი მუხლი და პუნქტი აქვთ, მათი ზედმიწევნით ცოდნა აუცილებელია, რომ არ შესცდეს დანაშაულის კვალიფიკაციაში. მიუხედავად იმისა, რომ იგი დარწმუნებული იყო უნი-

ვერსიტეტში მიღებული ცოდნის ტიციეში, მაინც ხშირად ამოწმებდა თავს, ხელმეორედ ათვალიერებდა წიგნებს.

შრომას ყოველთვის მოაქვს სასარგებლო, სასიამოვნო შედეგი და დღეს, როდესაც მასზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ამხანაგებში იქნება თუ ოფიციალურ წრეებში, ყოველთვის ამბობენ: საქმის კარგი მცოდნე და გამოცდილი სპეციალისტი იყო.

გზა უმცროსი იურისტიდან იუსტიციის მრჩეველამდე და დედაქალაქის კიროვის რაიონის პროკურორამდე არ იყო ხანგრძლივი, მაგრამ მეტად შინაარსიანი გამოდგა. მისი გულმოდგინე და ალღოიანი მუშაობა შეუძინეველი და დაუფასებელი არ დარჩა. 1962 წლის მაისსა და 1963 წლის დეკემბერში სსრკავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით მას მადლობა გამოეცხადა. ბევრჯერ აქვს მიღებული მადლობა რესპუბლიკის პროკურორისაგან.

ა. გეგია არ იშურებს ცოდნას, ხალხით უზიარებს მას ამხანაგებს. სისტემატურად იმადლებს თავისი თეორიული მომზადების დონეს. ამას წინათ დაამთავრა საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარება და მალე უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე წარსდგება თავისი დისერტაციით.

...ფიქრები კვლავ შორს მიდიან და სწვდებიან ყველაზე სანუკვარსა და მიმზიდველს მის მუშაობაში. „გაუხსნელი საქმეები“, — უტრიალებს თავში და რატომღაც ხმამაღლა ამბობს: ეკ, არ უნდა იყოს გაუხსნელი საქმეები!

თუმცა იშვიათად, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ახერხებენ დამნაშავენი ნამოქმედარის კვალის დაფარვას. დიდი ალღოა საჭირო, რომ სწორად ჩატარდეს გამოძიება. მცირედი შეცდომა ხშირად მცდარ გზაზე აყენებს გამოძიებელს და ჩინში ემწყვედვია, ასე „შეჩერდება საქმე წარმოებით“.

ასევე იყო შეჩერებული გ. ოღოშა-

შვილის მკვლელობის გამოძიება თე-  
ლაში, როდესაც აბელი გადაიყვანეს  
იქ სამუშაოდ.

მან საგულდაგულოდ გადაათვალიერა  
ყველა შეჩერებული თუ გაუხსნელი  
საქმე და როცა ოდომშაშვილის მკვლე-  
ლობის საბუთები გადასინჯა ეჭვი აღე-  
ძრა, თუმცა სასამართლო-სამედიცინო  
ექსპერტის მიერ ნაჩვენები იყო, რომ  
გვამს არ აღენიშნებოდა გარეგანი და-  
ზიანება.

— კი მაგრამ, ის ხომ თხრილში ჩაფ-  
ლული ნახეს? ვიღამ დამარხა თუ თვით-  
მკვლელობასთანა გვაქვს საქმე? — ფი-  
ქრობდა აბელი, თან ახალ არგუმენტს  
იმარჯვებდა — გვამის სასამართლო —  
სამედიცინო გამოკვლევა ვერ ჩატარდა,  
რადგანაც მიცვალებული უკვე გახრწ-  
ნილი იყო...

ოდომშაშვილის მკვლელობის საქმე  
განახლებული იქნა, მისი გამოძიება  
ა. გეგამი დაიწყო, სათითაოდ დაკითხა  
ყველა, ვისაც კი ენახა მკვლელობის  
დღეს გ. ოდომშაშვილი და რკალიც თან-  
დათან შეიკრა.

მოკლულის გზა ცუდი ყოფაქცევით  
ქალებთან მივიდა, სადაც კიდევ რამდენ-  
იმე ადამიანი იწვევდა ეჭვს, ერთ-ერთი  
მათგანი, მთავარი დამნაშავეთაგანი,  
არც კი იყო დაკითხული...

ორი თვის ძიების შემდეგ დანაშაუ-  
ლი გაიხსნა, ყველაფერი ნათელი გახ-  
და, — გ. ოდომშაშვილი დადიოდა ცუ-  
დი ყოფაქცევის ქალთან — იზოლდა  
ბარნაბიშვილთან და ერთ-ერთი ასეთი  
ვიზიტის დროს ქალის ამფსონებმა ოდ-  
ომშაშვილი ხულიგნური ქვენაგრძობის  
ნიადაგზე მოჰკლეს და შალაურის ტყე-  
ში, ბარდებით დაფარულ თხრილში და-  
მალეს. ძიების შემდეგ სამსჯავროს წი-

ნაშე წარსდგნენ ი. ქევიციანი, ვ. სტე-  
ფანიანი, ვ. ჯანშიანი, ი. ბარნაბიშვილი  
და ნ. მამალაშვილი.

და რამდენია ასეთი, თუნდაც საქარ-  
თველოს სამხედრო გზაზე ავტომანქა-  
ნის დაჯახებით მოკლული მოქალაქე  
ვ. მარტოლეკი. სრულიად სხვა პიროვ-  
ნება იყო დაპატიმრებული მისი მკვლე-  
ლობისათვის. რამდენჯერ დააბრუნა სა-  
სამართლომ საქმე, რამდენჯერმე იქნა  
საქმე გამოძიებული. ა. გეგამ კი 25  
დღეში აღმოაჩინა ნამდვილი დამნაშავე-  
ყველას თავისი მიზეზო...

ტელეფონის ზარი აწკრიალდა ოთახ-  
ში, აბელ გეგია ყურმილს მისწვდა:


— გისმენთ, დიახ, მალე, სულ მალე.  
აი ერთ-ერთი მათგანი ხელთა მაქვს —  
ჩასძახა ყურმილს და მაგიდაზე ისევ და-  
სწვდა წითელყდიან ბროშურას.

ამჯერად ამ პატარა წითელყდიან  
ბროშურაზე ურეკავდნენ, რომელსაც  
ახე ხაგულდაგულოდ ათვალიერებდა  
რამდენიმე წუთის წინ. მას მოელოდ-  
ნენ მრავალრიცხოვანი ავტოტოტორები,  
სტუდენტები, ფართო მკითხველი, ამხა-  
ნაგები. ამ ნაშრომის ავტორი აბელ გე-  
გიაა. თუმცა ის სისხლის სამართლის  
პრაქტიკას არ ეხება, მაინც მჭიდრო  
კავშირშია კანონმდებლობასთან, ავტო-  
რი გასაგები ენით განუმარტავს მასებს,  
თუ როგორია საბჭოთა სახელმწიფოში  
დეპუტატის გაწვევის უფლება...

ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ პრო-  
კურორი ვიწრო სპეციალობით არ იფ-  
არგლება, გულმოდგინედ სწავლობს  
კანონმდებლობის ყველა სფეროს, რა-  
დგან სწამს მათი ცოდნა პრაქტიკულ  
საქმეში ყოველთვის გამოადგება.

მამალაშვილი.

# წინ კიდევ საინჟინერო გზა



კვირა დღეა. ტროლეებუსში ვზივარ და ფანჯრიდან გავცქერი დედაქალაქის ქუჩებში მოფუსფუსე ხალხს. უცებ ყურადღება ჩემს გვერდით მჯდომმა საშუალო ხნის სიმპათიურმა ქალმა მიიპყრო, რომელსაც გაზეთი „თბილისი“ გაეშალა და ინტერესით ჩაჰკირკიტებდა. ეტყობოდა ქალი საინჟინერო წერილს გაეტაცა, რადგან დროდადრო ხმამაღლა რაღაცას წამოიძახებდა, რითაც მგზავრების ყურადღებას იპყრობდა.

— არა შვილო, არა, შენ დედაშენი არ მოგიტყუებია, კარგად მოქცეულხარ! შენნაირი შვილი კი სამაგალითოა და საამაყოა, — ახლა კი ხმამაღლა წამოიძახა ქალმა და თვალებიდან ცრემლი მოიწმინდა.

ცნობისმოყვარეობამ წამოძლია და გადაშლილ გაზეთს თვალი ჩავაყოლე. ჩემი ყურადღება მსხვილი შრიფტით დაბეჭდილმა სათაურმა — „ის ხომ დედა იყო ჩემი“ — მიიპყრო. წერილს ხელს აწერდა ოთარ მგელაძე.

ვისაც აღნიშნული წერილის შინაარსი ახსოვს გაიხსენებს, რომ მოსიყვარულე შვილმა დედას, რომელიც სკოლის დამლაგებელი იყო, არ უთხრა სიმართლე, დაუმალა ის, რომ საყვარელმა ქალიშვილმა კავშირი გაწყვიტა მასთან მხოლოდ იმიტომ, რომ მისი დედა დამლაგებელი იყო.

ამ შემთხვევამ გადამაწყვეტინა წერილი დამეწერა ოთარ მგელაძეს, როგორც იუ-

რისტ-ჟურნალისტზე. და განა მართლაც ცოტა არიან იურისტები, რომლებიც ასე ნაყოფიერად თანამშრომლობენ ჩვენი პრესის ფურცლებზე, თავიანთი პრაქტიკული გამოცდილებიდან აღებულ საინტერესო მაგალითებს აწოდებენ მკითხველებს, ხელს უწყობენ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მეორე დღესვე ვეწვიე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თბილისის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას; შევადე კაბინეტის კარები რომლის პატარა ფირნიშზე ეწერა — კრიმინალისტური გამოკვლევების განყოფილების გამგე — ოთარ მგელაძე.

საწერ მაგიდასთან მჯდომი ახალგაზრდა სიმპათიური მამაკაცი თავაზიანად შემეგება, როდესაც ჩემი მისვლის მიზანი გავაცანი, იგი უხერხულად შეიშეშუნა და ღიმილით მომიგო:

— კი მაგრამ, მე ხომ ჯერ ისეთი არაფერი გამიკეთებია, თქვენ რომ დასაწერად გამოგადგეთ.

— საერთოდ მკითხველი ინტერესით ეტანება ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ კრიმინალისტურ ნარკვევებს. ამ თემაზე თქვენმა გამოქვეყნებულმა წიგნებმა — „საქმე N“ და „მეცნიერება მართლმსაჯულების სამსახურში“ — მკითხველის ყურადღება მიიპყრო, საინტერესოა მოგვითხროთ თქვენი მუშაობის შესახებ, ნარკვევებისა და წერილების თემა ხომ პრაქტიკული მუშაობიდან გაქვთ აღებული.

— დიას, ხშირად ძალზე საინტერესო საქმეები გვხვდება. საქმის შესწავლის, დანაშაულის გახსნის შემდეგ ჩემდაუნებურად ამიღია ხელში კალამი და...

— დიდი ხანია, რაც პრესაში მოღვაწეობ?

— 10 წელი იქნება.

— ხომ ვერ დამისახელებთ თქვენი ნარკვევებიდან და წერილებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგწონთ?

ოთარმა კვლავ გაიღიმა და გულახდილად მითხრა: მე ყველა ჩემი ნაწერი მომწონს, იმიტომ კი არა, ისინი თავისი

მსატრულობით და გადმოცემის მანერით უნაკლონი არიან, არა, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ამ საქმის გასწავში და დამნაშავეს გამოვლინებში ჩემი შრომაც არის ჩაქსოვილი.

ოთარი წამოდგა, კარადიდან გასუთების, შურნალებისა და წიგნების შეკერა თავაზიანად გადმომაწოდა.

— აქ ყველაფერს შევიძლიათ გაეცნოთ, თქვენ თვითონ შეარჩიეთ.

რამდენიმე დღე მომიხდა ოთარ მგელაძის ნაწერებზე მუშაობა. გამოაცა მისი წერის თემატიკის მრავალფეროვნებამ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ოთარ მგელაძეს 28 სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა წერილებმა — „ზოგი რამ კრიმინალისტური ექსპერტიზის შესახებ“ და „ვინ არის ავტორი?“, რომლებიც შესაბამისად შურნალ „ცისკარის“ 1960 წლის № 6-ში და გაზეთ „კომუნისტის“ გ. წ. 14 მარტის ნომერშია გამოქვეყნებული. ამ წერილებში, ავტორი პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით, აყენებს მეტად მნიშვნელოვან საკითხს იმის შესახებ, რომ ისტორიის და ლიტერატურის მკვლევარებმა გამოიყენონ კრიმინალისტური ექსპერტიზის მეთოდები მათთვის საინტერესო, სადავო საკითხების გადაწყვეტისას. ასევე საინტერესო და დღემდის შეუსწავლელ საკითხს ეხება ო. მგელაძის წერილი „კრიმინალისტური ექსპერტიზისა და მისი დაწესებულებების ისტორიის საკითხისათვის საქართველოში“, რომელიც შურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1962 წლის № 4-ში და საკავშირო შურნალ „კრიმინალისტიკის საკითხების“ № 8-9 არის გამოქვეყნებული. ამ ნაშრომაც მეცნიერ-კრიმინალისტების საერთო მოწონება დაიმსახურა. ცნობილმა საბჭოთა კრიმინალისტმა პროფ. ა. ი. ვინბერგმა ნაშრომის ერთ ნაწილს გადატრიალებაჲ კი უწოდა კრიმინალისტიკის ისტორიაში. ო. მგელაძის ბროშურა „წერიითი მეტყველების ნიშნები“ კი გამოძიებულთა მაგიდის წიგნად გადაიქცა.

მაგრამ ვგონებ თემას გადავუხვიე. ო. მგელაძის მეცნიერული ნაწერების განხილვა ჩვენს მიზანს არ შეადგენს. იგი სპეციალისტებისათვის მიგვიანდვია. თუმცა ორიოდ ნაშრომი მაინც მოვისხენიეთ, ეს იმიტომ, რომ მკითხველს წარმოადგენა ჰქონოდა ო. მგელაძის წერის ჟანრობრივ მრავალფეროვნებაზე.

შურნალ-გაზეთების ფურცლისას, რომელიც ოთარმ გადმომაწა, ჩემი ყურადღება მიიპყრო გაზეთ „ნორჩი ლენინოლის“ 1957 წლის 16 აგვისტოს ნომერმა. მასში მოთავსებულია გერმანულიდან გადმოკეთებული მოთხრობა „გატყინილი შურნალი“, რომლის ავტორი ოთარ მგელაძეა. გიტაცებს ავტორის თხრობის ლაკონიურობა და ენის სისადავე, წერის კარგი კულტურა.

ჩვენს წინაა შურნალ „ნიანგის“ 1960 წლის № 10. მეითხველი ინტერესით წაიკითხავს ოთარ მგელაძის იუმორისტულ მოთხრობას „მოულოდნელი შემოწმება“.

ეს ორი კონტრასტული მაგალითი პატარების საყვარელ გაზეთ „ნორჩი ლენინიდან“ და „ნიანგიდან“ განგებ მოვიყვანეთ, რათა თვითონ მკითხველმა განსაჯოს.

სიუჟეტის სიმძაფრე, მოქმედ პირთა გამოკვეთილი, დასრულებული სახეები და ოპტიმისტური ფინალი — აი, რითი გამოირჩევა ოთარ მგელაძის მოთხრობა „გამოერკვა“, რომელიც ერთი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა.

თავის დროზე მკითხველთა ყურადღება და დიდი ინტერესი დაიმსახურა ოთარ მგელაძის მსატრულმა ნარკვევებმა და წერილებმა — „ბედი ბავშვისა“, „თოჯინა“, „ეს არ უნდა განვიორდეს“, „როგორ გაიშიფრა ნაწარმოები“, „პირველი ლიტერატურული „საქმე“ რუსეთში“, „როგორ დაადგინეს იმ ანთონიშური წერილის ავტორი, რომელმაც ა. ს. პუშკინი დუელამდე მიიყვანა“, „ამბავი, რომელსაც ვერასოდეს ვერ დაივიწყებს კაცობრიობა“, „ახალგაზრდა გვარდის“ გამცემთა პრეტენსია“, „მოზარული ვიოლინო“, „დანამაული არ დაიმალება“, ფელეტონი „ქიმიკა და მინას რავიმოვი“ და მრავალი სხვა.

...როდესაც მუშაობას დაამთავრებს ოთარი დინჯად აუყვება მოსკოვის ქუჩას, შეაღებს თავისი სახლის კარს და რამდენიმე წნის შემდეგ თავის სამუშაო კაბინეტში მაგიდას მიუჯდება. ერთხანს მამის — ცნობილი ექიმისა და მოღვაწის მისხკო მგელაძის სურათს დააკვირდება, თითქოსდა მოსიყვარულე მამას როგორც სჩვეოდა, იმდღევანდელ სამსახურებრივ საინტერესო შემთხვევებს აცნობს, კალამს ხელში აიღებს და კვლავ მშობლიური მზრუნველობით გარემოსილი შეუდგება მუშაობას...

წინ კიდევ საინტერესო გზაა... გასულ წელს ოთარ მგელაძე საბჭოთა კავშირის შურნალისტთა კავშირის წევრი გახდა.

# წაკრსულის ფურცლები

## ვიპეის გუსაპატილება

ზოგჯერ ადამიანის ცხოვრებაში ისეთ ეპიზოდებს აქვს ადგილი, რომლებიც სამუდამოდ რჩებიან მის მეხსიერებაში. ეს მითუმეტეს ითქმის ეპოქის დიად ამბებთან დაკავშირებულ მოვლენებზე. ამჟამად ჩვენ შევიჩინებთ მსოფლიო ორ ეპიზოდზე: მეფის სასამართლო პალატის ყოფილი პროკურორის ვიპერისა და ჟანდარმათა კორპუსის სარდლის ჯუნკოვსკის რევოლუციურ გასამართლებაზე, რომლებსაც მე ვესწრებოდი. გასამართლება მოეწყო სულ მალე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოსკოვში.

\* \* \*

ეს იყო მოსკოვში, 1919 წელს ჩვენამდე მოადრწია ცნობამ, რომ პოლიტექნიკურ მუზეუმის ვეებერთელა შენობაში უნდა მომხდარიყო ვიპერის გასამართლება. ვიპერი იყო მეფის რუსეთის სასამართლო პალატის ყოფილი პროკურორი. იგი მეფის დროს გამოდიოდა სახელმწიფო ბრალდებულად ბეილისის ბრალდების საქმეზე. ბეილისს თვითმპყრობეული რუსეთის იუსტიცია ბრალს სდებდა რიტუალური მიზნებით იუსინსკის ბავშვის მკვლელობაში. ბეილისის ბრალდება შეთხზული იყო მონარქისტ მოხელეების მიერ პროფოკაციული მიზნებით. პროცესმა თავის დროზე პროგრესული საზოგადოებრიობის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მისი მსვლელობით დაინტერესებული აღმოჩნდა მთელი მსოფლიო.

პროცესის მიმართ რუსეთის საზოგადოება ორ შეურიგებულ ბანაკად გაიყო. მონარქისტების ბანაკი მოითხოვდა ბეილისის გასტყუებას და დასჯას იუსინსკის ბავშვის მოკვლისათვის, ხოლო პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება მოითხოვდა ბრალდებულის გამართლებას. საქმე ირჩეოდა მეფის საოლქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. მიუხედავად მონარქისტების მაქინაციებისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, საქმის განხილვის მრავალი დღის შემდეგ ბრალდებული ბეილისი გაამართლა. ამით თავიდან იქნა აცილებული ის მძიმე შედეგები, რომლებიც შეიძლება მოყოლოდა ბრალდებულის გამტყუებას.

პროცესის შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც გააცმტვერა ხალხის მრავლელები და მათი დამქაფები. ამ უკანასკნელთა შორის აღმოჩნდა ხსენებული ვიპერი.

ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების რევოლუციური კანონიერება ბრალს სდებდა ვიპერს იმაში, რომ იგი, მსასურობდა რა მეფის პალატის პროკურო-

რის თანამდებობაზე, მთელი სიმკაცრით ახორციელებდა მეფის კანონებს ხალხის წინააღმდეგ.

ეს იყო მძიმე ბრალდება. მას ასამართლებდა რევოლუციური ტრიბუნალი დიაკონოვის თავმჯდომარეობით.

დიაკონოვი აღნაგობით ვეება გოლიათი იყო. იგი ახლად იყო დაბრუნებული სამოქალაქო ომების ფრონტიდან. ეცვა წითელგვარდიელის სამხედრო ფორმა. ტრიბუნალის შემადგენლობაში შედიოდა ორი წევრი. ერთი მათგანი გვარად იანიშვი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, საშუალო ხნის კაცი, თავისი ჭკვიანი და მოხერხებული შევითხებით თავის თავს ავლენდა, როგორც მიუდგომელი და საქმის კარგად მცოდნე მოსამართლე. საქმეზე ბრალდებულად გამოდიოდა კრილენკო. ბრალდებულის დანიშნული ყავდა სასაზინო დამცველი. საქმე იხილებოდა პოლიტექნიკური მუზეუმის ვრცელ დარბაზში, რომელიც სასვე იყო ხალხით. მე მოვხვედი აუდიტორიის მეორე რიგში, ვაზეთ „იზესტაკა“-ს რედაქტორ ი. მ. სტეკლოვის გვერდით. ბრალდებულს ეცვა მოძველებული ნახმარი კოსტუმი, სერანგი ძველი გაკრახმალეული საყლოთი. ეტყობოდა, რომ იგი ამ ტანსაცმელში იყო დაპატიმრებული. გარეგნულად მალალი, კარგი აღნაგობისა იყო. ცდილობდა თავი ისე მოეჩვენებინა თითქოს მშვიდად და წყნარად სვდებოდა თავის გასამართლებას, მაგრამ სწორად მას გამოემეტყულება ეცვლებოდა. ამჟამად ჩანდა, რომ ეს სიმშვიდე მოჩვენებითი ხასიათისა იყო.


სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა ყველა საპროცესო ნორმების მაქსიმალური დაცვით. სრულიად არ იგრძნობოდა პასუხისგებაში მიცემულის უფლებების რაიმე შეზღუდვა.

საზოგადოებრივ ბრალდებულმა კრილენკომ თავისი ვრცელი ისტყვა დაამთავრა მოთხოვნით, რომ ბრალდებული ვიპერი დაეხვრიტათ.

ბრალდებული ლაპარაკობდა საქმიანად და ლოგიკურად. მან ძალიან ბევრი ილაპარაკა თავის პატიოსნებაზე, კეთილშობილებაზე. თუ მას ამ ბუნებრივი მონაცემების დარღვევა უხდებოდა, ამას ხსნიდა არა იმით, რომ იგი ბოროტი კაცი იყო, არამედ იმით, რომ მეფის რეჟიმის ერთგული მოხელე იყო და მისი ყოველი ბრძანების უსიტყვოდ შესრულება თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნდა.

მსარეოა ცხარე კამათის შემდეგ ტრიბუნალი გავიდა სათათბირო ოთახში. აუდიტორიის უმრავლესობა ვარაუდობდა, რომ გამოტანილი იქნებოდა სასიკვდილო განაჩენი.

რამდენიმე ხნის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაქვეყნა განაჩენი. აუდიტორიის მილოდინის მიუხედა-



ვად, ბრალდებულს მიესაჯა არა დახვერტა, როგორც ამას მოითხოვდა საზოგადოებრივი ბრალმდებელი კრილენკო, არამედ შრომა-გასწორებით ბანაკში მოთავსება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამდე.

მოულოდნელად ვანაჩენის გამოცხადების შემდეგ, როდესაც ტრიბუნალის შემადგენლობა შედიოდა თავის სათათბირო ოთახში, ტრიბუნალზე ავიდა ორი მოხდენილი მანდილოსანი, ორივენი მაღალი ტანისა, საშუალო ასაკისა. ჩაცმულნი სამგლოვიარო შავ ტანსაცმელში. მათ ჯავრისაგან და მძიმე განცდებისაგან დაღვრემილი სახეები ჰქონდათ. ორივენი მარდად გადახვივნენ სიკვდილისაგან გადარჩენილ ვიპერს და გულში ჩაეკრუნ ერთი მეორეს. შეიარაღებულმა მცველებმა არ შეუშალეს ხელი მათ. სულგრძელმა დიაკონოვმა მოასწრო ერთი წამით თვალი მოეკრა ამ დრამატულ სცენისათვის, და უმაღვე აღმოჩნდა თავის სათათბირო ოთახში. ეს სცენა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. შემდეგ მცველებმა მორიდებით დააცილეს ეს სამი პირი ერთი მეორეს.

სამთავეს ეტყობოდათ დაბნეულობა, რაც შედეგად იყო საქმის ასეთი მოულოდნელი დაბოლოებისა. იგვრძნობოდა. რომ მათ უჭირდათ ნორმალურ სულიერ მდგომარეობაში დაბრუნება. აღმოჩნდა, რომ ამ ორი მანდილოსნიდან ერთი იყო ვიპერის მეუღლე, სოლო მეორე კი — მისი ღვიძლი და.

აუდიტორია მალე დაიშალა. დამსწრეთა უმეტესობას ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო გამოტანილი განაჩენით.

ძლიერ დიდხანს ვიყავით დაფიქრებული, როგორც ამ პროცესზე, აგრეთვე თვით განაჩენზეც და დიდ მორალურ კმაყოფილებას განვიცდიდით. განსაკუთრებით ალტაცებაში მოეყავით რევოლუციურ ტრიბუნალის დამოუკიდებლობას და ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების მორალურ ძლიერებასა და უშიშროებას იმ დროს, როდესაც იგი ყოველი მხრივ გარშემორტყმული იყო გაშმაგებული მტრებისაგან.

დ. პაპაბაძე.



# ჭ ა ლ ა თ ი

რუსეთში სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოპყავდათ სპეციალურ პირებს — ჯალათებს, რომლებსაც განსაზღვრული გასამრჯელო ეძლეოდათ სიკვდილმისჯილის ჩამოხრჩობაში. ჯალათის მოვალეობას უმთავრესად ასრულებდნენ სისხლის სამართლის დამნაშავე პატიმრები — შემთხვევითი მკვლელები, შემთხვევითი მძარცველები და ა. შ. პროვინციული ქუროდი რეციდივისტიკ კი ძალიან იშვიათად მიდიოდა ჯალათად. ამ სახის მოხალისეებს ზვებდებოდათ პოლიციელებისა და ოხრანკის მუშაკების წრიდანაც.

რუსეთში ჯალათის თანამდებობა ოფიციალურად იყო რეგლამენტირებული მე-18 საუკუნის დასასრულს. მანამდე ჯალათის მოვალეობას იძულებითი წესით აკისრებდნენ ყმებს. თუ ყმა უარს განაცხადებდა, ურჩობისათვის თვით მას სჯიდნენ სიკვდილით. დროთა მსვლელობაში რელიგიური ყმების ურჩობამ იმდენად მასიური ხასიათი მიიღო, რომ მთავრობა იძულებული გახდა 1768 წლის 28 აპრილს გამოეცა კანონი, რომლის თანახმად აიკრძალა ყმების იძულებითი გამოყენება ჯალათად. ნებაყოფლობით დაქირავებული ჯალათს საკმაოდ დიდი გასამრჯელო ეძლეოდა, მაგრამ მაინც ცოტა იყვნენ ამ საქმის მოსურვები.

ჯალათს გასამრჯელო ეძლეოდა პოლიციის მთავარი დეპარტამენტის ბიუჯეტიდან. განაკვეთი ყველგან ერთი და იგივე როდი იყო. მაგალითად, დადგენილი ნიხრის მიხედვით მოსკოვში ჯალათს კაცისთაფზე ეძლეოდა 10, 25, 50 მანეთი — იმისდამოხედვით თუ მოცემულ მიმენტში რამდენი კაცი იყო ჩამოსახრჩობი. პეტერბურგში 50 მანეთი იყო დადგენილი კაცისთაფზე, ოდესაში 25,50 მანეთი, კიევშიც ამდენივე, კვატერინოსლავში 25 მანეთი, ვორონეჟში 10-50 მანეთი. ზოგიერთ შემთხვევაში ფულად საზღაურთან ერთად ჯალათს სასჯელსაც უმცირებდნენ თუ ის პატიმარი იყო. კანონით განსაზღვრული იყო ჯალათის სამუშაო დროც: ნაშუადღევს 2 საათიდან დილის შვიდისნახევრამდე. რა თქმა უნდა, ამ განრავს ნაკლებად იცავდნენ, როდესაც ამას „საქმე მოითხოვდა“. „სამუშაო საათებში“ არაყსაც ალგეინებდნენ ზაზინის ზარზე, „არა უმეტეს ნახევარი ბოთლისა“.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ და სამხედრო სასამართლოების შემოღებამ ბევრი სამუშაო გაუზინა ჯალათს. ამან შტატის საფრძნობლად გადაიდგება გამოიწვია. სტოლიპინის რეპრესიის პერიოდში იყო ისეთი ქალაქები, სადაც ან ვერ პოულობდნენ ჯალათს, ანდა სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანას ვერ უთავდებოდა ერთი-ორი ჯალათი. ასეთ

შემთხვევაში ჯალათს სხვა ქალაქებიდან იწვევდნენ. ხდებოდა ისიც, რომ თვითონ სიკვდილმისჯილი გადაჰყავდათ ჩამოსახრჩობად ჯალათის სამყოფელ ქალაქში.

1906 წ. 16 იანვარს დილით არსენ პავლეს-ძე ჯორჯიაშვილმა გენერალი გრიგორი ააფეთქა მოხებით თბილისის ცენტრში. ჯორჯიაშვილი იმავე წლის 21 მარტს ჩამოსახრჩვეს. თბილისში ვერ გამოინახა არსენას ჩამომხრჩობი ჯალათი, რამდენადაც მახსოვს ამის შესახებ მაშინდელ თბილისის გაზეთებშიდაც გამოქვეყნებული იყო ცნობა. ჯორჯიაშვილი ვლადიკავკიდან ჩამოყვანილმა ჯალათმა ნიკოლოზ ფილიპიევმა ჩამოახრჩო, რომელიც შემდეგ დანით დაჩეხეს პატიმრებმა ვლადიკავკავის ციხეში.

ვორონეჟის გუბერნატორმა მოსკოვის გრაფონაჩალიკს საიდუმლო მიმართული სთხოვა მიეგლინებია ვორონეჟში ჯალათი ავრათელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის სიკვდილმისჯილი გლეხების ჩამოსახრჩობად. გუბერნატორს დამოფრული დეკემბით ასეთი პასუხი გაგზავნა: ვორონეჟი. გუბერნატორს. გაცნობებთ, რომ ორი ჯალათი ჩამოვა სამზე ოთხშაბათს, 20 აპრილს. გასამჯელო 100 მანეთი თითოეულ ჩამოხრჩავალზე. გრაფონაჩალიკი გენერალ-მაიორი აღრიანოვი“.

ლიფლიანდიის გუბერნატორი, იმწმებს რა სისხლის სამართლის დებულებას 796-ე მუხლს, რომლის თანახმად სასიკვდილო განაჩენი სისრულეში უნდა მოეყვანა შტატინ ჯალათს, 1908 წ. 6 მარტს მიმართული სთხოვს პეტერბურგის გრაფონაჩალიკს მიავლინოს რეველში ჯალათი, ასეთის ადგილზე უყოლობის გამო. 19 მარტს გუბერნატორს მოსდის შემდეგი პასუხი:

„სრულიად საიდუმლო. გაცნობებთ, თქვენთ აღმატებულეზა, რომ ჩემს განკარგულებაში არის ორი პიროვნება, რომლებსაც სისრულეში მოპყავთ განაჩენი. მათ შორის შემოიძალა ერთი მოვალინო თქვენს ხარზე იმ პირობით, რომ განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ დაუყოვნებლივ დააბრუნებთ უკანვე. მისი საზღვაური — 25 მანეთი თითოეულ ჩამომხრჩავალზე, სამგზავრო ხარზეები და სამი მანეთი დღიური დღე-ღამეში. გვაცნობეთ როდის გამოგვზავნოთ და რომელი მატარებლით“.

კიდევ ერთი მაგალითი. ყაზანის გუბერნატორი ბარონი გრიგორი 1908 წ. 15 ივლისს შემდეგ დამოფრული დეკემბს უგზავნის მოსკოვის გრაფონაჩალიკს: „კეთილი ინებეთ მოავლინოთ ყაზანში ჯალათი. გასამრჯელო არაუმეტეს სამოცი მანეთისა თითოეულკაცზე, დღიური ცალკე“.

ქართული  
ლიტერატურა

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ჯალათებზე 1907-1909 წლებში.

ბევრმა ჯალათმა მთელი რუსეთის მასშტაბით გაითქვა სახელი. ასეთები იყვნენ, მაგალითად, მოაკოველი ჯალათები ყვავინი, ფროლოვი, გრუდინცი, ჩუკუნოვი. ყვავინმა 1906-1913 წლებში 500-მდე კაცი ჩამოახრჩო, უმთავრესად მოსკოვში. მას სხვა ქალაქებშიც იწვევდნენ. ალექსი სერგის-ძე ყვავინი წარმოშობით რიაზანის გუბერნიის რანენბურგის მაზრიდან იყო. ვიდრე ჯალათად მოეწყობოდა იგი მოსკოვის პოლიციაში მსახურობდა. 1926 წლის მაისში სამჭითა სამხედრო ტრიბუნალმა ან „ღვაწლმოხილ“ ჯალათს დახვრეტა მიუსაჯა, და ეს სასჯელი, მოხუცებულობის გამო, 10 წლის პატიმრობით შეუცვალა. ყვავინს დიდხანს აღარ უტოცებია. 1927 წ. გაზაფხულზე დაასრულა თავისი სამარცხვინო არსებობა მოსკოვის ბუტირკის საპატიმროში.

ყვავინზე მეტი „დამსახურება“ მიუძღოდა ოდესღაც ჯალათს ალექსი ყვეპაკს, რომელიც 1900-1905 წლებში ოდესის ოზრანკაში მსახურობდა აგენტად. რევოლუციის დამარცხებისა და ქვეყნად შავნელა რეაქციის გამეფების შემდეგ, როდესაც რევოლუციონერებთან ანგარიშის გასწორების მიზნით მეფის სამხედრო სასამართლოები დღედაღამ უხვად შტამბავდნენ სასიკვდილო განაჩენებს. ალექსი ყვეპაკმა ოზრანკაში სამსახურს ჯალათის პრიფესია ამჯობინა. ის თავის სისხლიან მოვალეობას ოდესაში, სევასტოპოლში, სერასნა და სიმფეროპოლში ასრულებდა. რამდენჯერმე თბილისშიც იყო მოწვეული საღვთის ჩამოსახრჩობად ყვეპაკის ვინაობა და პროფესია, რომ არ გამოჰქვადანებულყო პოლიცია მას სხვების გვარზე (სიდოროვის, კარბოვის...) შეესაბამებულ ყალბი პასპორტებით ამარაგებდა, თან სისხლიან აქტის შესრულების დროს ნიღაბს აფარებდნენ სახეზე. 1913 წელს ალექსი ივანეს ძე ყვეპაკს უსამოვნება შეეჩინება თავის უშუალო უფროსთან ოდესაში, რის გამო ჯალათი „უშუშვევარი“ დარჩა. მან წერილობითი თხოვნით მიმართა ოდესის გრაფონაჩალინკს, სადაც, სხვათა შორის, წერს:

„...ის დამსახურება, რომელიც მე მიმიძღვის ბოროტმოქმედთა შეპყრობისა და 300-მდე სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანის საქმეში, ვფიქრობ, მძღვეს იმის უფლებას, რომ მე სამუშაო მომიცეს... როგორც დავალებათა პატიოსანი და ფხიზელი შემსრულებელი, გთხოვთ თქვენს მფარველობას. ამასთანავე გიღვეთ ჩემს მიერ ჩამოხრჩობილ სამშობლოს მტრების სიას“.

არქივში დაცულ ყვეპაკის განცხადებას დართული აქვს დასჯილი „სამშობლოს მტრების“ სახელობითი სია, სადაც ქართველებიც გადიან: გიორგი ჩხიკვიშივილი, პლატონ ესაკია, აქსენტი კალანდაძე, ვლადიმერ იმედაშვილი, პეოლა გოცაძე და ვინმე ჯმუხაძე, რომლის სახელი სიაში არ არის ნაჩვენები.

ყვეპაკს მის მიერ ჩამოხრჩობილ კაცთაგან 25-დან 50 მანეთამდე ეძლეოდა. ამ სისხლიანი ფულით მან სამი სახლი შეიძინა ოდესაში. ალექსი ყვეპაკი 1918 წის 15 იანვარს წითელგვარდიელებმა იცნეს ოდესის ქუჩაში და იქვე დახვრეტეს.

ჯალათი რიჩარდ ფრემელი პოლონეთში „მოღვაწეობდა“, უმთავრესად ქალაქ ლოშში. ისიც თავისი „დამსახურების“ დასადასტურებლად მის მიერ ჩამოხრჩობილ რევოლუციონერების სიას იმორწმუნებს 1909 წლის დეკემბერში პოლიციის მთავარი დეპარტამენტის დირექტორის სახელზე პეტერბურგში გაგზავნილი მის განცხადებას დართული აქვს სია ასეთი სათაურით: „სია 1908 წლის 28 თებერვლიდან 1909 წლის მარტამდე ჩემს მიერ ჩამოხრჩობილი მემამოხეებისა“. ამ სიაში 101 კაცია ჩამოთვლილი, რომებიც ერთი წლის განმავლობაში ჩამოხრჩვია რიჩარდ ფრემლს სამრწველო ქ. ლოშში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო რევოლუციური მოძრაობა.

ეკატერინოდარის საოლქო ციხეში მე დაეყავი 1907 წლის ოქტომბრიდან 1911 წლის ივლისამდე, ე. ი. ვიდრე საკატორლო ციხეში გადამაგზავნიდნენ. ჩემი იქ ყოფნისას სამი ჯალათი გამოიკვალა ამ ციხეში, სამივე პატიმრების წრიდან შერჩეული. პირველი მათგანს, დორნენკოს ციხეში გავრცელებულმა ტიფმა მოულოდნელად 1908 წელს. დორნენკოს შემცველის გვარი აღარ მახსოვს. წარმოსადგეი, ლამაზი შესახედაობის იყო ეს ჯალათი. მალე ისიც ტიფმა იმსვენებლა. მესამე ჯალათი გაბრიელ ბალიბარდინი იყო. იმ ხანებში „ზაკარიდორი“ სიკვდილმისჯილებით იყო გადატვირთული, და ჯალათი ბალიბარდინი დაბლა სართულის 30-ე განცალკევებულ ოთახში ჰყავდა მთავაგებულად. მას ხშირად ვხვდავდი პატიმრები. ქერა, მხარბეჭიანი, ჩასყვნილი 32-35 წლის მამაკაცი იყო. ბალიბარდინს თვითონ ჰქონდა მისჯილი ჩამოხრჩობა ძარცვა-მკვლელობისათვის. მან ოლქის უფროსს მიმართა თხოვნით თუ შემიწყალებთ ჯალათის მოვალეობას ვიკისრებო. 15 წლის კატორლით შეუცვალეს ჩამოხრჩობა.

ამ ჯალათმა ჩამოახრჩო 1910 წლის 29 ოქტომბერს გათენებისას ჩვენს პროცესზე გასამართლებული დიმიტრი ლისენკო, გრამიტონ მაჩაიძე, გიორგი ვასილვეი და ალექსანდრე კოსარევი.

ჩემი ეკატერინოდარის ციხიდან გადაყვანის შემდეგ ჯალათი ბალიბარდინი ნიკოლაევის საკატორლო ციხეში გადაგზავნა სასჯელის მოსახდელად. კრასნოდარის (მამონ ეკატერინოდარი) სამხარეთ არქივში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ჯალათს ეკატერინოდარის ციხიდან მისი სისხლიანი გასამრჯელო ფოსტით გადაუგზავნეს ნიკოლაევიში.

სწორი არ იქნება ვიფიქროთ თითქოს პატიმარი ჯალათის მოვალეობას ყოველთვის კისრულობდა მხოლოდ სასჯელის სიმძიმის ზეგავლენით. კიევში

ციხის პატიმარს ალექსი კონსტანტინეს-ძე ჩერნიცკის წლინახვევის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, როდესაც მან წერილობითა თხოვნით მიმართა გუბერნატორს მზად ვარ ჯალათის მოვალეობა ვიცისროს თუ თითოეულ ჩამომხრვალზე 50 მანეთს გაიღებთო. მცირეოდენი ვაჭრობის შემდეგ 25 მანეთად მორიგდნენ.

მეორე კიეველმა ჯალათმა გაბრიელ ტრიფონის-ძე იუშკოვი 1906 წლიდან დაწყებული 1917 წლამდე ბეჯითად ემსახურებოდა ამ სისხლიან საქმეს. მას მხოლოდ ერთი წელი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი როდესაც ჯალათობას მიჰყო ხელი. კიევის ციხის სამკერვალში მომუშავე პატარებმა იუშკოვს მძიმე ჭრილობები მიაყენეს მაკრატლებით. ბეწვზე გადაარჩინეს მოკვლას წამოშველებულმა ციხის დარაჯებმა.

ჯალათი გაბრიელ იუშკოვი 1926 წელს გაასამართლეს და დახვრატეს სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით.

ჯალათებსა და მათ დამჭირებულებს შორის ზოგჯერ კონფლიქტსაც ჰქონდა ადგილი. ამის მაგალითია მოყვანილი გაზეთ „რუსკიე ვედომოსტის“ 1909 წლის 20 მარტის ნომერში. ჯალათი ხელიდოვი შევიდა ეკატერინობურგის საოლქო სასამართლოსთან არსებულ ნაფიც ვეჟილთა კოლეჯიაში და განაცხადა, რომ მან ჩამოასრწო 16 კაცი. დაპირების თანახმად თითოეულის ჩამოხრჩობაში უნდა მიეცათ 10 მანეთი, სულ 160 მანეთი. მისცეს მხოლოდ 100 მანეთი. ითხოვა დაეწერათ მისთვის სარივარი. ვეჟილებმა ხელიდოვი გარეთ გააგდეს.

## თ. შავიშვილი

ძველი ბოლშევიკი, პოლიტკატორღელი.

## ბავშვნილი საბჭოთა მეცნიერი

იურიდიულმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი საბჭოთა იურისტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ სერგი ნიკიტას ძე ბრატუსის დაბადების 60 და მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35 წლისთავი.

ს. ნ. ბრატუსი დაიბადა 1904 წელს სოფლის მასწავლებლის ოჯახში. 1926 წელს დაამთავრა კიევის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი, 1930 წელს კი კომუნისტური აკადემიის საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა. ამ დროიდან მოკიდებული პროფესორი ს. ბ. ბრატუსი ეწევა უაღრესად ნაყოფიერ, მრავალმხრივ მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1936 წლიდან იგი მუშაობს იურიდიულ მეცნიერებათა სრულიად საკავშირო ინსტიტუტში, ჯერ მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ სექტორის გამგედ და დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. 1963 წლის ივნისიდან იგი არის საბჭოთა კანონმდებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

პროფ. ს. ნ. ბრატუსის ფუნდამენტური ნაშრომები, რომლებიც სამართლის ზოგადი თეორიისა და საბჭოთა სამოქალაქო სამართლის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი, ხასიათდებიან თეორიული აზრის სიღრმით, ორიგინალობითა და სიახლით. ეს ნაშრომები ყოველთვის ითვალისწინებენ საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნილებებს და ამასთან ერთად სახავენ საბჭოთა სამართლის

შემდგომი განვითარების საერთო ტენდენციებს.

პროფ. ს. ნ. ბრატუსის ნაშრომები „იურიდიული პირები საბჭოთა სამოქალაქო სამართალში“ (1947 წ.), „საბჭოთა სამოქალაქო სამართლის სუბიექტები“ (1950 წ.), „საბჭოთა სამოქალაქო სამართლის საგანი და სისტემა“ (1963 წ.) დამსახურებულად იქცნენ საბჭოთა ცივილისტური ლიტერატურის ოქროს ფონდის შემადგენელ ნაწილად.

პროფ. ს. ნ. ბრატუსის ნაშრომებში წამოყენებულმა წინადადებებმა და დებულებებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ახალი სამოქალაქო კანონმდებლობის შემუშავებასა და შემდგომ სრულყოფას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პროფ. ს. ნ. ბრატუსის დიდი როლი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების შემუშავებაში. მისი სიტყვა საფუძვლების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიასზე 1961 წლის დეკემბერში ნიმუშია იურისტ-მეცნიერის პრინციპულობისა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფ. ს. ნ. ბრატუსის როლი საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის საბოლოო შემუშავებასა და დახვეწაში. პროფ. ს. ნ. ბრატუსმა თავისი ფასდაუღებელი რჩევებითა და წინადადებებით გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ ჩვენი კოდექსი ახლა იურიდიულ-ტექნიკური თვალსაზრისით უფრო სრულად გამოხატავს სამოქალაქო ურთიერთობის ზოგიერთ თავისებურებას.

პროფ. ს. ნ. ბრატუსის ხელმძღვანელობით აღზრდილი მეცნიერული კადრები ახლა წარმატებით მუშაობენ ჩვენი

ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. ასევე დიდია პროფ. ს. ნ. ბრატუსის დამსახურება იურიდიული უმაღლესი განათლების წინაშე. მის შესანიშნავ ლექციებს ყოველთვის შეუხელებელი ინტერესით ისმენდნენ და ისმენენ ყაზანის, ლენინგრადის, მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში. პროფ. ს. ნ. ბრატუსი არის უმაღლესი სკოლის მრავალი სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოს თანაავტორი და რედაქტორი.

თავის დიდ ერუდიციასა და გამოცდილებას პროფ. ს. ნ. ბრატუსი ახმარს პრაქტიკულ მოვლაწეობასაც, იცავს საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს. იგი 15 წელზე მეტია საგარეო ვაჭრობისა და საზღვაო კომისიის არბიტრი.

პროფ. ს. ნ. ბრატუსის ბევრი შრომა თარგმნილია უცხო ენებზე.

პროფ. ს. ნ. ბრატუსს კარგად იცნობს საზღვარგარეთის დემოკრატიული იუ-

რიდიული საზოგადოებრიობა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ბევრ საერთაშორისო კონფერენციებში, კონგრესებსა და სიმპოზიუმებში, სადაც ყოველთვის ღირსეულად წარმოადგენდა საბჭოთა იურისპრუდენციას.

პროფ. ს. ნ. ბრატუსი იურისტ-დემოკრატთა საერთაშორისო ასოციაციის აქტიური მონაწილეა, არის სარედაქციო კოლეგიის წევრი ამ ასოციაციის ყურნალისა — „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, რომელიც ფრანგულსა და ინგლისურ ენებზე გამოდის ბრიუსელში.

პატრიოტი მეცნიერი და შესანიშნავი მოქალაქე, ნიჭიერი ორგანიზატორი და გულისხმიერი აღმზრდელი თავისი შემოქმედების სრული აყვავების პერიოდშია.

იმედია იგი კვლავ ბევრს გააკეთებს საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარებისათვის, მეცნიერ-იურისტთა ახალი თაობის აღზრდისათვის.

## კანონიერების განუსრულად გახარებისათვის

მიმდინარე წლის 16 თებერვალს გაიმართა ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა აქტივის კრება.

კრება გახსნა საქართველოს კბ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ო. ლ. ოლაშვილმა.

მოსხენებით „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის შედეგებსა და სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების ამოცანებზე“ გამოვიდა ქალაქ თბილისის პროკურორი ა. ტაკიძე.

ქ. თბილისის პროკურატურის ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრშია, — ამბობს აშ. ა. ტაკიძე, — დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია, დანაშაულის აცილების, ჩადენილი დანაშაულის გახსნის, მისი სრულყოფილად გამოძიების საკითხები. ამასთან მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი მცირე მნიშვნელობის მქონე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ აღმზრდელობითი ღონისძიების გატარების საქმეს.

საანგარიშო პერიოდში შემოწმდა და ადგილზე პრაქტიკული დახმარება გაეწია ყველა რაიონის პროკურატურას: შემოწმდა მკვლელობის გაუხსნელი საქმეები და გატარდა საჭირო ღონისძიებანი მათ გასახსნელად. შესწავლილ იქნა წარმოებით შეწყვეტილი საქმეები და არ აღძრული მასალები. სისტემატურად ხდებოდა ოპერატიულ მუშაკთა ანგარიშის განხილვა. მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ნაკლოვანებებს. ზოგიერთი გა-

მომძიებელი არ მუშაობს მთელი დატვირთვით, შეიძლება ითქვას კეთილსინდისიერად არ იყენებს სამუშაო საათებსაც კი, ხოლო ზოგი მათგანი, არასაკმარისი განათლების გამო, ვერ პასუხობს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ეს იმის შედეგია. არის, რომ რაიონის პროკურორები ვერ უწყვეტ მათ საქმეო ზედამხედველობას, ზოგჯერ საჭირო დახმარებასაც კი. არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც პროკურორები საბრალდებო დასკვნას წაუკითხავად ამტკიცებენ. უკონტროლობის და უდისციპლინობის შედეგია საგამომძიებლო ვადების დარღვევა. პროკურორებისაგან მეტი მომთხოვნელობა საჭირო, რომ ყველა თანაბარი დატვირთვით და პასუხისმგებლობით მუშაობდეს, კეთილსინდისიერად ემსახურებოდეს სახელმწიფო საქმეს.

ჯერ კიდევ აქვს ადგილი მცირე მნიშვნელობის დანაშაულობისათვის მოქალაქეთა პასუხისგებაში მიცემას, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე არასწორად აღსაზრდელად გადაცემის შემთხვევებს, საქმეების არასწორად მოსპობისა და წარმოებით შეჩერების ფაქტებს.

მომხსენებელი ლაბარაკობს გაფლანგვა—მტაცებლობის წინააღმდეგ ჩატარებულ ღონისძიებების შესახებ. ქ. თბილისის პროკურატურის ცენტრალური აპარატის მიერ შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ქ. თბილისში სოციალისტური საკუთრების გატაცების, მატერიალურ პასუხისმგებელ სამუშაოზე კადრების შერჩევითა და სოციალისტური ქონების დაცვის და შენახვის მდგომარეობის ფაქტები. შემოწმების

შედგად გამოვლინებულ დარღვევებზე შეტანილი იქნა დასაბუთებული წარდგინება საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტში.

მსგავსი წარმოდგინებები იქნა შეტანილი რაიონულ კომიტეტებში ჩვენი ქალაქის ცალკეული რაიონების პროკურორების მიერ. ყველა ასეთ წარდგინებებს გაუკეთდათ სათანადო რეაგირება და ნაკლოვანებების აღსაკვეთად მიღებულ იქნა სათანადო ზომები.

შემდეგ ამხ. ტაკიძე ეხება სწლს საგამომძიებლო განყოფილებებსა და მილიციის ორგანოებზე საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობას. აღნიშნავს, რომ მათ საქმიანობაში ადგილი აქვს არსებით ნაკლოვანებებს. ჯერ კიდევ ხშირია უხარისხოდ გამოძიებულ საქმეების სასამართლოში წარმართვის შემთხვევები, საქმეთა უსაფუძვლოდ გაჭიანურების, არაკანონიერად მოსპობისა და კანონის დარღვევის სხვა ფაქტები.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ საპროკურორო ზედამხედველობა აქ არადაამკაყოფილებლად წარმოებს.

სასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილ განაჩენების უმეტესობა გაუქმებულია დანტერესებულ პირთა საჩივრებით — განაგრძობს ამხ. ა. ტაკიძე; ეს იმაზე მეტყველებს, რომ ზოგჯერ ზოგიერთი პროკურორის გამოსვლა პროცესზე ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან საქმეები, რომლებიც გაპროტესტებას ექვემდებარება დატოვებულია პროტესტის გარეშე, ხოლო პროკურორის მონაწილეობის გარეშე განხილული საქმეები არ იხილება, საკასაციო ვადებში და, შეიძლება ითქვას, მთელი რიგი საქმეები დატოვებულია საპროკურორო ზედამხედველობის გარეშე.

ასე მაგალითად: გ. ედიგაროვის საქმე ოქტომბრის რაიონის სახ. სასამართლომ წარმოებაში მიიღო 1964 წლის 20 თებერვალს. საქმე დაინიშნა განსახილველად 6 მარტისათვის. შემდეგ კი 25 მარტისათვის გადაიღო, ამის

შემდეგ კიდევ შვიდჯერ გადაიღო საქმე, ხოლო 7 ივლისს შეაჩერეს საქმე ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო. 23 ოქტომბერს კი ბრალდებულის მოთხოვნით სასამართლომ საქმე აიცილა და იგი გადაეგზავნა 26 კომისრების სახ. სასამართლოს. ამ უკანასკნელმა საქმე განიხილა პროკურორის მონაწილეობით და ედიგაროვს მიუსჯა 2 წ. თავისუფლების აღკვეთა. საქმის მასალებით დადგინილი იქნა, რომ ედიგაროვმა უხეშად დაარღვია მიმოსვლის წესები, მანქანა დააჯახა ავტობუსს და დააზიანა ოთხი მგზავრი, რომელთაგან ერთმა მიიღო მძიმე კატეგორიის, ერთმა ნაკლებად მძიმე და ორმა მსუბუქი კატეგორიის დაზიანება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ანალოგიური ქმედობისათვის ედიგაროვს 1962 წლის თებერვალში ერთი წელი ჰქონდა მისჯილი, ხოლო 1959 წელს პასუხისგებაში იყო ნამყოფი 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულებით და შემთხვევის დღეს მანქანას მთვრალი მართავდა, ცხადია, აღნიშნული განაჩენი ლმობიერია, მაგრამ პროცესზე მონაწილე პროკურორს (ამხ. არობელიძე) ამაზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია.

მსგავსი შემთხვევები სამწუხაროდ არც ისე ცოტაა. როდესაც აშკარად უკანონო განაჩენები გაპროტესტებული არ არის, მოსამართლეებთან ერთად პასუხი პროკურორებმაც უნდა აგონ; ვიდრე ასეთ ღონისძიებას არ გავატარებთ მანამდე წესრიგი არ დამყარდება.

როგორც ფაქტიური მონაცემები ცხადყოფენ, ქ. თბილისის სასამართლო ორგანოებმა წინა წლებთან შედარებით გააუმჯობესეს მუშაობის ხარისხი, სწორად ატარებენ დასჯით პრაქტიკას და თავიანთი წვლილი შეაქვეთა ნაშუალოების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ამართლებენ პარტიის ნდობას.

მიუხედავად ამ დიდი წარმატებებისა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ორგანოების საქ-

მიანობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი საქმეების უსაფუძვლოდ გაკიანურება, უკანონო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამოტანა, საქმეთა არასწორად დაბრუნება და რიგი სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებანი. ყველა ჩვენთაგანი გადაჭრით უნდა იბრძოდეს ხარვეზებისა და უკანონობის გამოსწორებისათვის.

ამხ. ტაკიძე სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით წინადადებას აყენებს უმაღლესი სასამართლოსა და სახალხო სასამართლოების ბაზაზე შეიქმნას ქალაქის სასამართლო (რამდენიმე საშტატო ერთეულის გადაცემით). ამით უმაღლესი სასამართლოც გათავისუფლდება ზედმეტი დატვირთვისაგან და ქალაქშიც გაუმჯობესდება სასამართლო ორგანოების საქმიანობა და მათდამი ზედამხედველობა.

დანაშაულობათა თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში აქტიური დახმარება უნდა გავეციოთ საზოგადოებრიობამ, — ამბობს ამხ. ტაკიძე. უკანასკნელ ხანს ჩვენს ქალაქში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — საზოგადოებრიობის მონაწილეობით გასვლითი სესიების მოწყობა. მაგრამ ამ საქმეშიც ხშირად შეცდომები უშვებენ. ასე მაგალითად, ზოგიერთი საჩვენებელი პროცესი პროკურორის მონაწილეობის გარეშე ტარდება, რაც სრულიად დაუშვებელია, ხოლო ზოგიერთი პროკურორის მონაწილეობა, მხოლოდ პროცესზე ფორმალური დასწრებით განისაზღვრება.

მომხსენებელი შეეხო იმ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი სრულწლოვანთა შორის დანაშაულებრიობასთან ბრძოლისა და უმეტადად უწყობის ლიკვიდაციის საქმეში.

მოხსენების დასასრულს ამხ. ა. ტაკიძემ აღნიშნა, რომ საჭიროა ვიბრძოლოთ კანონიერების განმტკიცებისათვის, მკვეთრად შევამციროთ, ხოლო შემდეგ აღმოფხვრათ დანაშაულობა,

გავწინდოთ საბჭოთა საზოგადოებრიობა ყველაფრისაგან, რაც ხელს უშლის მას კომუნისმის მშენებლობაში.

მოხსენების შემდეგ კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ დანაშაულებრიობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო წარმატებით განხორციელდება, თუ ადმინისტრაციული ორგანოები, საზოგადოებრიობა უფრო სწრაფად, ოპერატიულად გამოეხმაურებიან ანტისაზოგადოებრივ მოქმედებათა ფაქტებს.


დანაშაულისა და მისი გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაცია წარმოუდგენელია საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობის გარეშე, — ამბობს ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში პირველ მისის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. თევდორაძემ, საქართველოს ალკა თბილისის კომიტეტის მდივანმა ვ. მახარაძემ და სხვებმა.

საგამომძიებლო განყოფილების მუშაობაზე ილაპარაკა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ქალაქ თბილისის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა ა. ბაქრაძემ.

მიუხედავად იმისა, ამბობს ამხ. ა. ბაქრაძე, რომ საგამომძიებლო მუშაობის პირობები ჩვენთან უკეთესია, ვიდრე პროკურატურაში, ჩვენს მიერ ჯერ კიდევ არ არის ყველა შესაძლებლობა გამოყენებული დანაშაულობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად. მცირე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გატარება უქეტესად ფორმალურ ხასიათს ატარებს, ამ საშუალებას არც ისე ხშირად მიმართავენ ჩვენი საგამომძიებლები.

ილაპარაკა რა კიროვის რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოების მუშაკთა საქმიანობაზე, პარტიის კიროვის რაიონის მდივანმა თ. ბელტიხინმა აღნიშნა, რომ რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაობაში მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს რაიონში გაჩაღებული აღ-





ვირახსნილი სპეკულაცია. მიუხედავად რაიონის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ღონისძიებებისა ქორვაპურები განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას. საჭიროა ქალაქისა და რესპუბლიკური მილიციის სამმართველოს კვალიფიციური დახმარება. მოცემული ობიექტი უნდა გახდეს არა მარტო რაიონის, არამედ ქალაქისა და რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების განსაკუთრებული ყურადღების საგანი.

არასაკმარისი კავშირია ქალაქისა და რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის. ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალაქის მილიციის განყოფილება ატარებს რაიონში რაიმე ღონისძიებას და ამის შესახებ არაფერი არ იციან რაიონის მილიციისა და პროკურატურის ორგანოებმა, ხშირად თვით რაიკომსაც არ აყენებენ საქმის კურსში. როდესაც ოპერაცია მიმდინარეობს პარტიული ორგანოების კონტროლით, მაშინ, ბუნებრივია იზრდება ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა პასუხისმგებლობა და შედეგიც უკეთესია. ოპერაცია უნდა მზადდებოდეს კვალიფიციურად, საქმის ცოდნით, ყველა გარემოებების გათვალისწინებით.


ყველასათვის ცნობილია, განაგრძობს ამხ. თბელტისინი, მექრთამეების, სახალხო დოვლათის დამტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობა. ამ მიმართებით ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის სასურველი მდგომარეობა. ამის ერთ-ერთი მიზეზია საქმეთა არაკვალიფიციური გამოძიება, რომლის შედეგადაც დამნაშავე ან დაუსჯელი რჩება ანდა მეტად ღმობიერად ისჯება.

მთელი რიგი დარღვევები დაუშვეს ადმინისტრაციულმა ორგანოებმა პირწაყარდნილ სპეკულანტის ე. კეზერაშვილის საქმეზე, რომელიც ჯერ კიდევ 1963 წელს იქნა მიცემული პასუხისმგებლობაში, მაგრამ მიიმალა. მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. მაგრამ დამნაშავე გამოჩნდა მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების „ამინისტრის შესახებ“ გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც მას შეეფარდა და თავი დააღწია პასუხისმგებლობას. კეზერაშვილი კვლავ განაგრძობდა თავის საქმიანობას. 1963 წლის 9 ნოემბერს ჩხრეკვისას მას აღმოაჩნდა

რამდენიმე ათეული ცალი ქვითარი კანკაშვილების თაობაზე და ამანათებიც. ერთ-ერთ მათგანში 311 მეტრი სხვადასხვა ფერის ქსოვილი და 8 ცალი ოქროს მონეტა იყო. ამანათების საერთო ღირებულება შეადგენდა 20.000 მანეთს. ჩხრეკვისას კეზერაშვილი მიიმალა. მიმალვაში მყოფმა კეზერაშვილმა განცხადება გაგზავნა რესპუბლიკის პროკურორის სახელზე წინადადებით — თუ მას შეუცვლიდნენ აღმკვეთ ღონისძიებას იგი გამოცხადდებოდა პროკურატურაში. თუმცა ეს განცხადება ძლიერ წააგავდა ულტიმატუმს, მაგრამ პროკურატურის ორგანოები მაინც დათანხმდნენ. ამის შემდეგ კეზერაშვილი აცილებას აძლევს კიროვის რაიონის სახ. სასამართლოს და მოითხოვს მისი საქმის განხილვას სხვა სასამართლოში. მას უარს ეუბნებიან დაუსაბუთებელ მოთხოვნაზე და იგი კვლავ იმალება. ყველაფერი იწყება თავიდან. ისევ დადგენილებები დაპატიმრებისა და ძებნის გამოცხადებაზე. მთელ ამ ამბავს მოსწევს მოულოდნელი დასასრული—კეზერაშვილის საქმე გადაეცა ოქტომბრის რაიონის სასამართლოს, სადაც იგი გაამართლეს კიდევ...

ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ა. სულავა ეხება იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ გაჩნია მილიციას, პროკურატურას და სასამართლო ორგანოებს. სავაჭრო ქსელში, ამბობს იგი, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი შემთხვევები, როცა ვაჭრობენ უფაქტურო საქონლით, ზომა-წონაში ატყუებენ მომხმარებლებს, საქონელს ყიდვიან გადიდებულ ფასებში; სავაჭრო დარგის ხელმძღვანელ მუშაკები თითქოს ამას ვერ ამჩნევენ. მათი ჩარევა ამ დროს კი აუცილებელია. ისინი მოვალენი არიან წესრიგი დაამყარონ მათდამი დაქვემდებარებულ ობიექტებში და იბრძოლონ დანაშაულთა წინააღმდეგ.

ჯერჯერობით ცუდად მუშაობს ქალაქის ტრან-



სპორტი — ხშირია ავარიათა რაოდენობა, უბი-  
ლეთოდ მგზავრობა, მოძრაობის წესების  
დარღვევები. არ არის დაწესებული ჯე-  
როვანი კონტროლი ავტოსატრანსპორტო ორ-  
განიზაციებისადმი. განსაკუთრებულ შეშფოთე-  
ბას იწვევს ის, რომ ბევრი ეს დანაშაული, რო-  
მელიც არა მარტო შარშან, არამედ წინა წლებ-  
შიც მოხდა, ძველებურადვე გაუხსნელი რჩება,  
ეს აღნიშნა თავის გამოსვლაში თბილისის საქა-

ლაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართვე-  
ლოს უფროსმა **ა. ოსეფაიშვილმა**.

კრებამ განაზოგადა ადმინისტრაციულ ორგა-  
ნოების მუშაობაში მოპოვებული დადებითი გა-  
მოცდილება და აღნიშნა უარყოფითი მხარეები,  
მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელიც  
მიმართულია ნაკლოვანებების აღმოსაფხვრე-  
ლად და სოციალისტური კანონიერების შემდ-  
გომ განსამტკიცებლად.

**ლ. ისაკაძე**

# ჩვენსი ქვეყნის კომისიის სხდომა

მიმდინარე წლის 15 იანვარს გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს ალკე ენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. გურგენიძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ე. დლოტი და სხვ.

მოხსენებით — „სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვისა და სწავლებაში მათი ჩაბმის მდგომარეობის შესახებ“ — გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი.

— საქართველოს სსრ რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში — აღნიშნავს მომხსენებელი, — სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვასა და მათი სკოლებში ჩაბმის საქმეს სერიოზული ყურადღება ექცევა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ივლისის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად ყოველწლიურად წარმოებს 7-დან 16 წლის ასაკამდე მოზარდთა აღრიცხვა. აღწერის მასალებს სკოლები ამოწმებენ სასწავლო წლის დაწყებამდე და დებულებენ სათანადო ზომებს სწავლას ჩამოშორებულ მოსწავლეთა სკოლებში დასაბრუნებლად. ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ქუთაისის, სამტრედიის, ზესტაფონის, ზუგდიდის, მახარაძისა და სხვა რაიონებში.

სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის და მათი სკოლებში ჩაბმის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსაც. მიმდინარე სასწავლო წელს სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტი რესპუბლიკის რიგ რაიონებს შეუსრულებელი აქვთ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არასრულწლოვანთა საქმეების ადგილობრივი კომისიები საჭირო ზომებს არ იღებენ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის მოსაწყობებლად, არ ახდენენ აღრიცხვის მასალების შედარებას საკოლმეურნეო, საკომლო და სახლმმართველობების დავთრებთან, არ ახორციელებენ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საჭირო ყურადღებით არ ეკიდებიან ამ საქმეს ზოგიერთი რაიონის სასოფლო, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომები და სახალხო გა-

ნათლების ორგანოები. მაგალითად, ყვარლის რაიონის ნინეოპრის საშუალო სკოლაში აღრიცხვით და გეგმით პირველ კლასში უნდა მიედოთ 81 ბავშვი, ფაქტიურად სკოლაში მიღებულ ბავშვთა რაოდენობა 42-ს უდრის, ვარდისუბნის საშუალო სკოლის პირველ კლასში შესაბამისად 60-სა 43 ბავშვია მიღებული. ასეთივე მდგომარეობაა ლავოდხის, საგარეჯოს, მარნეულისა და სხვა რაიონებში.

მთელი რიგი სახალხო განათლების ორგანოები არ ატარებენ ქმედით ღონისძიებებს მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად საყოველთაო სავალდებულო 8 წლიანი სკოლის ფარგლებში.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და პედაგოგიური კოლექტივები არ ეწევიან ერთობლივ და თანმიმდევრულ ბრძოლას მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად. ხშირია მოსწავლეთა მიერ გავეითების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები და მეორეწლიანთა რაოდენობა.

მარნეულის, ბოლნისის, წალკის, დმანისის, ხულოსსა და ზოგიერთი სხვა რაიონის სასოფლო საბჭოები სუსტად იბრძვიან ძველი ყოფის გადამონაშთის — არასრულწლოვანი გოგონების ნაადრევად გათხოვების წინააღმდეგ 8 წლიანი სკოლის დამთავრებამდე. ისინი შემდეგ სკოლას არ უბრუნდებიან.

ბევრ სასკოლო ინტერნატში არაა შექმნილი სათანადო პირობები ბავშვთა ნორმალური ცხოვრებისა და მეცადინეობისათვის; ნაკლები ყურადღება ექცევა განხარკოვებული დღის სკოლებისა და ჯგუფების გახსნას.

დასასრულ, თ. ლაშქარაშვილი ამბობს, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოები, განათლების ორგანოები, სკოლის მუშაკები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ძალ-ღონეს არ დაზოგავენ საყოველთაო განათლების კანონის განუხრელად განხორციელებისათვის.

ბავშვთა აღმზრდელითი და შრომითი კოლონიებიდან განთავისუფლებულ არასრულწლოვანთა შრომითი მოწყობის, სასწავლებლებში ჩაბმისა და ზოგიერთ არასრულწლოვანთა აღნიშნულ კოლონიებში განმეორებით დაბრუნების მიზეზების შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ რესპუბლიკის პრიკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების უფროსმა თ. კვარაცხელიამ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ არასრულწლო-

ვანთა უმეტვეალყურეობისა და მართლწესრიგის დარღვევებთან ბრძოლაში დიდ როლს ასრულებენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, რომლებიც, როგორც საზოგადოებრიობის მუდმივმოქმედი ორგანოები, შექმნილია მშრომელთა დემუტატების საბჭოების ყველა აღმასკომებთან.

არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაულის ყოველ ფაქტს, და მიუთმეტეს განმეორებით ჩადენილ დანაშაულს, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები უნდა იხილავდნენ, როგორც აღმზრდელი მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს. ზოგიერთი კომისია არ ახორციელებს ზედამხედველობას და მზრუნველობას იმ მოზარდებისადმი, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან კოლონიებიდან.

არასრულწლოვანთა მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია წარმოებაში ჩაბმულ მოზარდთა შორის აღმზრდელი მუშაობის დაბალი დონე, რაც იწვევს მოზარდის დაუინტერესებლობას შრომისადმი, კოლექტივისადმი.

კოლონიებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას აღმზრდელი მუშაობა, — აღნიშნავს დასასრულს თ. კვარაცხელია, — სუსტადაა დაყენებული როგორც სწარმოო პროცესი, ასევე სწავლის საქმე. კოლონიები ნაკლებადაა დაკომპლექტებული გამოცდილ პედაგოგთა კადრებით, რის შედეგადაც კოლონიებიდან დაბრუნებული ბავშვები მეტწილად არ არიან გამოსწორებული და კვლავ ჩადიან დანაშაულს.

მოხსენებების ირგვლივ მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ალკ კენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. გურგენიძემ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ე. დლოტმა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილემ ვ. ლუკოვიჩმა, საქართველოს მინისტრთა საბჭოს პროფილაქტიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ჩიხლაძემ და სხვ.

მათ ზაზი გაუხვდეს იმას, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო მასების როლის გაზრდა მოზარდი თაობის აღზრდასა და არასრულწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევის თავიდან აცილებაში უმნიშვნელოვანესი პირობაა ბავშვთა და მოზარდთა დამნაშაევების სრული ლიკვიდაციისა ჩვენს ქვეყანაში.

არასრულწლოვანთა დამნაშაევობის თავიდან

აცილებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა სამართლის პრობაგანდამ, რომელიც უწყობს მოქალაქეების მართლმშეგნების ფორმირებას. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა სამართლის საფუძვლების ცოდნა, საბჭოთა კანონებისადმი პატივისცემა ბავშვებს სკოლიდანვე აღუზარდოთ, რომ ბავშვებსა და მოზარდებს კარ ვაშინებდეთ მილიციითა და პროკურატურით, არამედ ვზრდიდეთ მათში პატივისცემას ამ ორგანოებისადმი.

კოლონიის უფროსმა ა. მარგვილიმა არასრულწლოვანების აღზრდა-გამოსწორების საქმეში მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ნაკლოვან მხარედ დაასახელა მკაცრი რეჟიმის კოლონიის უქონლობა. მან მიუთითა, რომ ბავშვები, რომლებიც პირველად არიან მოხვედრილი კოლონიაში და ბავშვები, რომლებიც განმეორებით ჩადენილი დანაშაულისათვის იხდიან სასჯელს, იმყოფებიან ერთ კოლონიაში, რაც არასასურველ შედეგს იძლევა. არასრულწლოვანები, რომლებმაც განმეორებით ჩადინეს დანაშაული, გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ თითქმის გამოსწორების გზაზე დამდგარ ბავშვებზე და შეუძლებელს ხდიან მათთან მუშაობას.

ათცილებელია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკურმა კომისიამ დასახოს ყოველგვარი ღონისძიება არასრულწლოვანთათვის მკაცრი რეჟიმის კოლონიის გასახსნელად. წინააღმდეგ შემთხვევაში ცალკე უნდა მოთავსდეს გარკვეული დროის განმავლობაში არასრულწლოვანი — რეციდივისტები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე შეიმუშავა დადგენილების პროექტი სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღმზრდელი მუშაობის და შრომითი კოლონიებიდან განთავისუფლებულ არასრულწლოვანთა შრომითი მოწყობის, სასწავლებლებში ჩაბმისა და აღნიშნულ კოლონიებში ზოგიერთ არასრულწლოვანთა განმეორებით დაბრუნების მიზეზების შესახებ.

სხდომაზე შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ.

მ. კახელი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრამ მოაწყო პროფესორ ს. ნ. ბრატუსის წიგნი — „საბჭოთა სამოქალაქო სამართლის საგანი და სისტემა“ — განხილვა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თანამშრომლებმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იურიდიული განყოფილების მუშაკებმა, ადვოკატებმა.

მოხსენებით გამოვიდა დოც. ს. ჯორბენაძე. მან აღნიშნა: განხილული წიგნის სახით ჩვენს წინაშეა სასწავლო კურსი, რომელიც უპირველესად გამიზნულია სტუდენტთათვის. წიგნში ავტორი არ გაურბის სადავო საკითხების დაყენებასაც, იგი თამამად ებმის ამ საკითხებზე გამართულ რთულ დავაში და გამოთქვამს უაღრესად საინტერესო, მეტად სერიოზულ დასკვნებს და წინადადებებს.

განსახილველი წიგნი დაწერილია არა მხოლოდ იურიდიული, არამედ ეკონომიური და ფილოსოფიური მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე. ეს შესანიშნავი მონოგრაფიული გამოკვლევა ქვემარტად საბჭოთა სამართლის მეცნიერების შენაძნია.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული თემა მონოგრაფიისათვის უაღრესად არახელსაყრელია, მასში ძალზე ბევრია ისეთი საკითხები, რაც გულისხმობს ავტორის მიერ სამართლის მთელი რიგი კომპლექსური პრობლემების დამუშავების გათვალისწინებას. საჭირო იყო სამოქალაქო სამართლის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის მიმოხილვა. ეს კი ავტორის ფართო ერთდროიან და მეცნიერულ კომპეტენტურობას მოითხოვდა. არსებითად ამ მონოგრაფიის სახით მკითხველებმა მიიღეს სამოქალაქო სამართლებრივი პრობლემების ენციკლოპედიური მიმოხილვა.

წიგნის გამოცემა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსები. პროფ. ს. ნ. ბრატუსი უკვე მაშინ უაღრესად საინტერესო წინადადებებს აყენებდა მომავალი სამოქალაქო კოდექსების სტრუქტურის თაობაზე, ამ კოდექსებისა და სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების თანაფარდობის შესახებ. სამოქალაქო სამართლის მომავალი ისტორიკოსი აუცილებლად აღნიშნავს იმას, თუ რა წინადადებები იყო წამოყენებული კოდექსის შესამუშავებლად და რა იქნა გათვალისწინებული მისი საბოლოო რედაქციის დროს. მხოლოდ გულისტივი-

ლით უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მეტად სასარგებლო წინადადება არ იქნა გათვალისწინებული რესპუბლიკური კოდექსების მიღებისას.

წიგნში გამოკვეთილადაა გატარებული ის აზრი, რომ არა მარტო სამართლის მეცნიერება უნდა იღვეს პრაქტიკასთან ახლოს, არამედ სამართლის მეცნიერების სასარგებლო დასკვნებსა და წინადადებებს უნდა იზიარებდეს პრაქტიკა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მონოგრაფიის საინტერესო დასკვნებისა და შედეგების ჩამოთვლაც კი ძნელია. იგი მიუთითებს მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე. ესაა გაბედული და სწორი დასკვნა, კანონმდებლობის ჩამორჩენის შესაძლებლობის შესახებ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ტემპისაგან; იმის შესახებ, რომ კანონმდებელი შეიძლება შეცდეს რეგულირების ფორმის ამორჩევაში, ობიექტური შესაძლებლობის შეფასებაში, სამართლებრივ ნორმებში ყოველთვის არ აისახება ობიექტური აუცილებლობა (გვ. 51). ეს გარემოება სამართლის მეცნიერებამ უნდა გამოიყენოს ჩვენი საზოგადოებრივი და ეკონომიური განვითარების საკითხების და წინსვლის ტენდენციების კანონებში ადექვატურად ასახვისათვის.

განსახილველ წიგნში არის ზოგიერთი სადავო და უზუსტო ადგილები. „სამოქალაქო სამართალურთიერთობის ზოგადი დახასიათების“ ცალკე თავად გამოყოფა არაა გამართლებული. ამასთან სათაური ვერ ასახავს მის შინაარსს. VIII თავში პრინციპების შესახებ ახლანდელი სწავლების უფრო დამაჯერებელი კრიტიკა გვაქვს, ვიდრე მიღებული შედეგები (გვ. 143).

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი წიგნი გვაძლევს სწორი მითითებას იმაზე, თუ როგორ უნდა ავიგოს მოძღვრება სამართლის დარგის პრინციპების შესახებ. ბევრი საინტერესო დასკვნა გვაქვს წიგნის მეშვიდე თავში სამოქალაქო სამართლის საგნის შესახებ, მაგრამ თვით დეფინიცია სამოქალაქო სამართლისა (გვ. 125 და 130) მეტად დიდი და მოუხერხებელი. ამასთან არ არის სწორი საბჭოთა სამართლისათვის არაქონებრივი ურთიერთობა ყოველთვის ქონებრივიდან წარმომობილად ჩავთვალოთ, რომელიც მხოლოდ შემდეგ გამოეყო ამ უქანასკნელს — ლაკონიურობა განმარტებისათვის აუცილებელია. სხვანაირად ყველაზე ზუსტი განმარტება საგნის სრულად შესწავლაა და ეს უკვე აღარ იქნებოდა განმარტება.

პროფ. ს. ნ. ბრატუსი მხარს უჭერს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებას, რომ სამართალი საზოგადოებრივ ურთიერ-

თობაზე ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ სა-  
მართლურთიერთობის გზით, არამედ უშუალოდ  
პირისადმი აბსოლუტური უფლებების აღიარე-  
ბით. სწორედ საკუთრება და პირადი არაქონებ-  
რივი უფლებანი ამგვარ აბსოლუტურ უფლება-  
დაა წარმოადგენილი. ამ დებულების სისწორეს  
ავტორი ახალი არგუმენტებით არ ასაბუთებს.  
უაღრესად სინტერესოა პროფ. ს. ნ. ბრატუსის  
მიერ გაკეთებული დასკვნა „საკუთრება — მა-  
ტერიალური სივრცის მითვისებულობის მდგო-  
მარობა“ (გვ. 81). ამით ხაზგასმულია საკუთ-  
რების მიერ მოწესრიგებული ურთიერთობის  
მუდმივი სფერო, მაგრამ საჭირო იყო  
ამ წანამდგომის შემდეგ ავტორის მოეცა  
საკუთრების სამართლისა და შემდეგ სა-  
კუთრების უფლების მოკლე დახასიათება მაინც.  
არაზუსტია წიგნის 129 გვერდზე განვითარებული  
დებულება იმის შესახებ, რომ როცა მიწა არ  
იდლევა შემოსავალს — მიწის რენტას — მასზე  
საკუთრება იქცევა შიშველ უფლებად, ამ დროს  
სამართლებრივი ურთიერთობა საკუთრებისა  
ეკონომიურ ურთიერთობის არაადექვატურია.  
ამის შემდეგ მითითება იმაზე, რომ აურიდიული  
ურთიერთობა მაინც არსებობს, არასაკმარისია.  
მიწაზე საკუთრება მაინც არ არის შიშველი  
უფლება, თუნდაც იგი რენტას არ იძლეოდეს,  
ვინაიდან იგი შესაძლებლობაში გულისხმობს  
წარმოებას და აგრეთვე მესაკუთრეს აძლევს ზე-  
ლისუფლებას არ დაუშვას მიწის ნაკვეთზე სხვა  
მწარმოებელი.

მომხსენებელს არასწორად მიაჩნია პროფ.  
ს. ნ. ბრატუსის მტკიცება, როცა იგი მიუთითებს  
კოდიფიკაციის დროს პანდექტური სისტემის გა-  
მოყენებას სოციალურ მომენტებზე. ეს სისტემა  
გერმანიის სამოქალაქო დებულებაში გატარე-  
ბული კარგად ემსახურება გაბატონებულ კლას-  
ის ინტერესებს, მაგრამ ასევე მისი საპირისპი-  
რო ინსტიტუტური სისტემა ნაპოლეონის კო-  
დექსში. ეს კი იმას აღასტურებს, რომ კოდექსის  
სისტემა თავისთავად შეიძლება გულგრილი იყოს  
ამა თუ იმ კლასიფიკაციისადმი. საფუძვლით სწო-  
რია პროფ. ს. ნ. ბრატუსის მტკიცება, რომ სამა-  
რთლებრივი პრინციპი არ უნდა დავიწყანოთ  
მხოლოდ სახელმძღვანელო იდეამდე. ასევე სწო-  
რია მტკიცება, რომ ძირითადი პრინციპები უნ-  
და ვიპოვოთ თვით ნორმაში, ანდა ნორმების სა-  
ერთო აზრის სახით (გვ. 137), მაგრამ ამის შემ-  
დეგ აუცილებელია ძირითადი პრინციპები გან-  
ვასხვაოთ არა მარტო იურიდიული ინსტიტუტი-  
საგან, არამედ სამართლის ძირითად კატეგორი-  
ებისაგან, ცნებებისაგან. არაკონკრეტული და  
არაზუსტია მტკიცება, რომელიც მოცემულია ნა-  
შრომის 144-ე გვერდზე, რომ „შუა საუკუნეებში  
სამოქალაქო სამართალი განიხილებოდა როგორც  
სამართალი, რომელიც დადგენილი იყო საერო

ხელისუფლების მიერ, საეკლესიო ხელისუფლე-  
ბისაგან განსხვავებით“.

თავის წიგნში პროფ. ს. ნ. ბრატუსი საცხებით  
სწორად აღიარებს ადმინისტრაციული სამეურ-  
ნეო სამართლის არსებობას და მისი განვითარე-  
რების საჭიროებას. სამწუხაროა მხოლოდ ის,  
რომ ავტორი არ გამოთქვამს თავის დამოკიდე-  
ბულებას ამ დარგის საგნის მიჯნების შესახებ.

მომხსენებლის აზრით პროფ. ს. ნ. ბრატუსის  
წიგნი ეტაპური მნიშვნელობის ნაშრომია, რომე-  
ლიც ახალ აზრებს აღვიძებს და ახალი თეორი-  
ული კონცეპციების შექმნის გამოსავალ პუნ-  
ქტად ხდება. მისი თარგმნა ქართულ ენაზე  
უაღრესად სასარგებლო საქმედ ითვლება.

მომხსენებლისა და შრომის ირგვლივ გაიმართა  
კამათი.

სიტყვით გამოვიდა დოც. ე. ნეიძე, რომელმაც  
ასევე მალალი შეფასება მისცა წიგნს და მიუ-  
თითა, რომ 105—107 გვერდებში შესანიშნავად  
არის მოცემული შრომის სამართლებრივი ურთი-  
ერთობის დახასიათება. მეტად მისასალმებელია,  
რომ მუსისა და მოსამსახურის მიერ წარმოება  
— დაწესებულებებისათვის შრომითი ფუნქციის  
შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზ-  
ღაურება განხილულია როგორც შრომის სამარ-  
თლებრივი ურთიერთობა. მოსაწონია როგორც  
შრომის დისციპლინის, შრომის შინაგანწყისის,  
შრომით ურთიერთობაში მხარეთა თანასწორო-  
ბის დახასიათება ავტორის მიერ.

დოც. გ. ნეიძე თვლის, რომ პროფ. ს. ნ. ბრა-  
ტუსს უნარი აქვს ცხადად და დამაჯერებლად  
გადმოსცეს ურთულესი ცნებები და მოვლე-  
ნები.

დოც. ნ. ლომსაძემ თავის გამოსვლაში მხარი  
დაუჭირა ქართულ ენაზე წიგნის გადმოთარ-  
გმნის საჭიროებას. ამასთან შეეხო სადავო საკი-  
თებს საყოლმეურნეო და მიწის სამართალთან  
სამოქალაქო სამართლის გამიჯნვასთან დაკავ-  
შირებით.

ავტოკატმა ა. ხოჭოლავამ აღნიშნა: პროფ. ს. ნ.  
ბრატუსის წიგნში ფართო სოციოლოგიური  
თვალსაზრისით არის განხილული სამოქალაქო  
სამართლის თეორიის და პრაქტიკის აქტუალური  
პრობლემები.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობანი  
ჯერ იმდენად სტაბილური არ არიან, რომ მათ  
საბოლოო და ჩამოყალიბებული სახე პპოვონ  
სამოქალაქო სამართლის კოდექსებში.

პროფ. ს. ნ. ბრატუსის შრომაში ეს გარემოე-  
ბა შენიშნულია. იგი განსაზღვრავს სამოქალაქო  
სამართლის საგანს არსებული ინსტიტუტების  
მიხედვით და მათი შესაძლებელი განვითარების  
გათვალისწინებით. პროფ. ს. ნ. ბრატუსის მეც-  
ნიერული დამსახურება იმაში მდგომარეობს,  
რომ საბჭოთა სამოქალაქო სამართლის იდეებს

თე არ განიხილავს განცალკევებულად მათ ეკონომიურ დანიშნულებასთან. შრომაში გამოთქმულია აზრი — ყიდვა-გაყიდვის გარიგებების სფეროს ვაფართოების შესახებ სახელმწიფო ორგანიზაციათა შორის. ეს იდეა სრულიად რეალურია. არაქონებრივ ურთიერთობებიდან ცხოვრების ახალ მოთხოვნებთან შესაბამისად, მას დახასიათებული აქვს პიროვნების ღირსების დაცვის საჭიროება სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებებით. ამ იდეას მან ჯერ კიდევ 1957 წელს უძღვნა შესანიშნავი სტატია და ნორმა ამის შესახებ შეტანილია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში მისივე ინიციატივით. თანდათანობით ამ იდეას ხორცს შეასხამს პრაქტიკა.

ა. ხოკოლავა შეეხო წიგნის ნაკლოვან მხარეებსაც. მისი აზრით ავტორს არასწორად აქვს გაშუქებული სახალხო მეურნეობის დაგეგმვის აქტების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში. ავტორი ანგარიშს არ უწევს იმ შდევს, რომელიც უნდა მოყვეს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის აქტების შესახებ თეორიის განდევნას სამოქალაქო სამართლის სისტემიდან. ის გარემოება, რომ კონკრეტული დაგეგმვის აქტების გამოცემა გარკვეულ დისციპლინას უნდა დემონსტრირებდეს არ არის უარყოფილი ავტორის მიერ. ვის ეხება ამ საკითხის თეორიული დამუშავება? ავტორი მიუთითებს ადმინისტრაციულ სამართალზე, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ეს აქტები-გამგებლობა დაქვემდებარების მდგომარეობის გამოხატულებაა. მაშინ როცა საბოლოო ანგარიშით, კონკრეტული დაგეგმვის აქტები არაფრით განსხვავდებიან გარიგებიდან და უნდა დემონსტრირებდეს ამ უკანასკნელათვის სამართლის მიერ შემუშავებულ თეორიას. თუ მხედველობაში მივიღებთ ეკონომიური მეცნიერების დებულებას იმის შესახებ, რომ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა საშუალებით (ფასი, ანარიტები მოგებიდან, ვადასახადი ბრუნვიდან) პერმანენტულად წარმოებს ეროვნული შემოსავლის გადანაწილება არა მარტო სოციალისტურ ორგანიზაციათა შორის, არამედ მოსახლეობასა და ორგანიზაციათა შორის, სახელმწიფო საწარმოს ქონებრივი განკერძოებულობის თეორია, ეკონომიური მეცნიერების თვალსაზრისით მეტად პირობითი ხდება.

იურიდიული თვალსაზრისითაც შეუძლებელია ამ თეორიის პირდაპირი დაცვა ერთგვარი განმარტებების გარეშე. ერთი საწარმოდან მეორე საწარმოზე ძირითადი საშუალებების გადაცემის დროს მიმღებ საწარმოსე ვადადის სათანადო დავალიანება, თუნდაც ეს უკანასკნელი აღმართბოდეს მიღებული ქონების ღირებულებას. იგივე ხდება საწარმოთა ლიკვიდაციის დროს მათი, გაერთიანების შდევად. ეს კი საწარმოთა

წრიულ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს; ვინაირე მათ დამოუკიდებელ პასუხისმგებლობაზე საწარმოების უფლებათუარაიანობის გაზრდა და მათი ერთგვარი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა შესაძლებელია გვემიანობის ისეთი მოწესრიგების დროს, როდესაც ყიდვა-გაყიდვის გარიგებებით თუ მთლიანად არ შეცვლიან საქონლის მიწოდებას, ყოველ შემთხვევაში მთავარი საშუალებები გახდებიან საწარმოს ზეგვემითრი საქონლის განაწილებისათვის, ორივე შემთხვევაში გვემიანობა განხორციელებული უნდა იქნეს მატერიალური დაინტერესების მოტივით და არა მექანიკურად. კონკრეტული გვემიანობის აქტების საზღვრები, მათი გასაჩივრების წესები და ამ აქტების გამოცემა ორგანოების კომპეტენციის საკითხები, შეადგენენ სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტს და ეს აქტები გამსჭვალული უნდა იქნენ სამართლებრივი იდეებით. ავტორს ღალატობს რეალობის გრძნობა, როდესაც სახელმწიფო ორგანიზაციათა ურთიერთობებს „პორიზონტალობის“ პრინციპის დაცვის მიზნით ათავსებს სამოქალაქო სამართლის სფეროში და გამოირცხავს მის სფეროდან გვემიანობის აქტებს.

დოც. ლ. ჯომარჯიძემ თავის საინტერესო გამოვლავში გარკვეული ადგილი დაუთმო ნაშრომის ღირსებას და შეჩერდა ნაკლოვანებებზე. ლ. ჯომარჯიძეს სწორად არ მიაჩნია პროფ. ს. ნ. ბრატუსის შეხედულება, რომელიც უარყოფს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების განსაზღვრული ჯგუფის ქონებრივ ხასიათს. ავტორს ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები დაჰყავს ორგანიზაციულ ურთიერთობებამდე, რაც მას არა სწორად მიაჩნია.

უარყოფს რა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპების გამოქვანას სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობიდან, პროფ. ს. ნ. ბრატუსი უკუაგდებს ერთადერთ სწორ კრიტერიუმს, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ერთი დარგი მეორისაგან გავმიჯნოთ, რასაც დღივი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სამართლის ასპირანტი ვ. ლორია შეეხო საკითხს ს. ნ. ბრატუსის ამ ნაშრომის მე-2 თავთან დაკავშირებით. მან თქვა: ძნელია დავეთანხმობთ ქონებრივ მმართველობას, ავტორისეულ გავებას. ქონებრივი მმართველობა შეიძლება იყოს ერთი შინაარსის, რასაც ერთნაირად ახორციელებენ როგორც საწარმოო ორგანიზაციები, ისევე მეგობარ-გარეგულორებელ ორგანოები. უშუალო და საერთო მმართველობის განცალკავებით ჩვენ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ საერთო ხელშეღვეანელობის ორგანოები უშუალო პრაქტიკულ მმართველობას არ

გწვიან, რაც არასწორი იქნებოდა. ჩვენ — განაგრძობს ვ. ლორია — მთლიანად ვერ დავეთანხმებით ავტორისეულ ახსნას იმ დამახასიათებელი მაგალითისა, რომელიც მდგომარეობს ერთი საწარმოდან მეორე საწარმოსათვის სახელმწიფო ქონების უფასო გადაცემაში: ასეთ გადაცემასთან დაკავშირებით ურთიერთობანი მთლიანად ატარებენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხასიათს, რადგანაც ეს მმართველი ორგანოს განკარგულების საფუძველზე ხდება და რეგულირდება ადმინისტრაციული სამართლის მეშვეობით.

ავტორს ამ მაგალითის მეშვეობით სურს დაამტკიცოს ქონებრივ ურთიერთობაში მმართვე-

ლი ორგანოს მონაწილეობის შეუძლებლობა და ასეთი ურთიერთობის მხოლოდ სახელმწიფოსა და მიმღებ საწარმოს შორის არსებობა. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მგეგმავ-მარეგულირებელ ორგანოს საერთოდ არავითარი უფლება არა აქვს მის ქვემდებარეობაში მყოფ საწარმოს ქონებაზე.

საინტერესო იყო დოც. ი. მრეველიშვილის გამოსვლა.

კათედრამ ერთხმად დაადგინა პროფ. ს. ნ. ბრატუსის წიგნის—„საბჭოთა სამოქალაქო სამართლის საგანი და სისტემა“ ქართულ ენაზე გადათარგმნის მიზანშეწონილობა.

**ლ. ჭანჭური**



10 თებერვალს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ინიციატივით მოეწყო წიგნის — „ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვების“ განხილვა. მოხსენებით გამოვიდა პროფ. ი. სურგულაძე.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა აღნიშნული წიგნის მნიშვნელობაზე, ადვოკატის დაცვითი სიტყვის როლზე მართლმსაჯულების განხორციელებაში.

დაცვითი სიტყვა უნდა იყოს სადა, მისაწვდომი, დასაბუთებული, — ამბობს პროფ. ი. სურგულაძე, ორატორი კვლავ კვლავ უნდა მისდევდეს საბრალდებო დასკვნას და უპირისპირდებოდეს მას სათანადო დასაბუთებით, იყენებდეს თავის სიტყვაში გონებაშეხვედრულ გამოთქმებს, მხატვრულ შედარებებს.

წიგნს წინ უძღვის გამოჩენილი ქართველი მკვებრმეტყველის პროფ. ნ. კანდელაკის წერილი სათაურით „ქართული სასამართლო მკვებრმეტყველების ისტორიიდან“.

ავტორის აზრით ფეოდალურ საქართველოს სასამართლოში იყო დამცველი, რომელსაც ეწოდებოდა მეოხი, ვაქიოი და მონაცვლე კაცი. ეს მოსაზრება არ არის მართალი. საქმე იმაშია, რომ ჩვენამდის მოღწეულია სასამართლოს მუშაობის აღწერილობა, ოქმები და ზოგიერთი მათგანი ძლიერ დაწვრილებითაც კი ავციწერს სასამართლო პროცესს. მაგალითად ჩვენ ხელთა გვაქვს სასამართლოს ოქმი ჯავახიშვილისა და გიორგი სააკაძის სადავო საქმის შესახებ; არსად, არც ერთ საბუთში არ არის დამცველი დამოწმებული.

არაზუსტია აგრეთვე გამოთქმა — „ხალხური სამართალი“. ფეოდალურ საზოგადოებაში არ შეიძლებოდა ხალხური სამართალი არსებულებოდა, რადგან სამართალი კლასობრივია თავისი ბუნებით.

შემდეგ მომხსენებელი კონკრეტულად არჩევს ადვოკატების მიერ წარმოთქმულ ცალკეულ სიტყვებს.

პროფ. ი. სურგულაძე აღნიშნავს, რომ შალვა მესხიშვილის სიტყვა სტოლერმანის საქმეზე არ მიეკუთვნება მის ბრწყინვალე სიტყვათა რიგს. ალბათ შ. მესხიშვილის სხვა სიტყვა არ არის შემონახული და რედაქციას არჩევანი არ ჰქონდა. სიტყვაში არის კარგი შედარებები, ლამაზი გამოთქმები, მაგრამ მესხიშვილი იმაზე უკეთესი ორატორი იყო, ვიდრე ეს სიტყვიდან ჩანს.

ჩვენი სასიქაიდლო ადვოკატის ბ. ბარათაშვილის სიტყვა არა მარტო ლამაზია ავებულობით, არამედ შინაარსითაც ღრმაა. ავტორი რკინის ლოკით მომარჯვებულ თხრის ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელიც მას გზაზე

ხვდება. მისი დახატული სურათი მზესავით ნათელია, მისი სიტყვა მთის ანკარა წყაროსავით მოედინება, ის სადაც არის, მიმზიდველიც და კარგი ქართული ენითაცაა დაწერილი. სიტყვაში ჩვენ ვგრძნობთ ავტორის დიდ ჰუმანიზმს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიტყვის ის ნაწილი, რომელიც პირდაპირ აღიარებას და პირდაპირ მხილებებს შეეხება.

მომხსენებელი ახასიათებს ჯამბაყურ ბაქრაძის სიტყვას, როგორც ლამაზ, კარგ სიტყვას და ამასთან დასძენს, რომ ეს სიტყვა თითქმის არასწორ სასამართლო პროცესზე ავებულად გამოიყურება.

ანდრო გელოვანის სიტყვა, განაგრძობს მომხსენებელი, ერთ-ერთი შესანიშნავი სიტყვათაგანია ამ კრებულში. ავტორის მართებულად აქვს განმარტებული მღელვარების მნიშვნელობა ძიების დროს, მეცნიერულად დასაბუთებული აღიარების ადგილი მტკიცებათა შორის, სიტყვაში მოცემულია ქმედობათა ღრმა ანალიზი. ამასთან ყურადსაღებია, რომ აღნიშნულ სიტყვაში წინადადებები ხშირად ძალიან გრძელია და ამიტომ აზრი ძნელად გასაგები ხდება. არის ზედმეტი განმეორებანი, გაუმართავი წინადადებები. ნათლად არ არის მოცემული მოწმე მახარაშვილის როლისა და საქმიანობის დახასიათება.

კრებულში მოთავსებული შემდეგი სიტყვა ადვოკატ შ. გვათუას ეკუთვნის. სიტყვა კარგად არის ავებული. ავტორის იშვიათი სიღრმით შეუსწავლია საკმაოდ დიდი და რთული საქმე. შეუსწავლია ავრეთვე საქმისათვის მნიშვნელოვანი სპეციალური საკითხები.

სიტყვის ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს წამოყენებულ ბრალდების უსაფუძვლობას, საქმის ანალიზი ღრმა, თანამიმდევრული და ლოგიკურად გამართულია.

ადვოკატ პეტრე ინასარიძის სიტყვა, აღნიშნავს მომხსენებელი, მიმართულია ვაჟა თამარაშვილის დასაცავად, რომელიც სამართალშია მიცემული ახალგაზრდა გოგონას მკვლელობის გამო.

ავტორი წერს: „მთელი რწმენით, მტკიცე დაჯერებითა და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ხსენებულ დანაშაულს ადგილი არა ჰქონია“. ვფიქრობთ, ასეთი

განცხადება ზედმეტია, ის მტკიცებასაც არაფერს მატებს. საქმეში ბუნდოვანი მხარეებიც არის, ადვოკატი ვერ გვაძლევს საქმის სათანადო ანალიზს.

ადვოკატ დოლიძის სიტყვა პროფ. სურგულაძის საინტერესოდ მიაჩნია. სიტყვის ავტორს, ამბობს იგი, კარგად შეუსწავლია საქმე და სათანადო კანონები. სამწუხაროდ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ საქმეში ბუნდოვანი საკითხები არ დარჩენილიყო. ადვოკატი იცავს ბრალდებულ ცინცაძეს, აფთიაქის დირექტორს, რომელსაც ბრალი ედება სააფთიაქო ქონების მითვისებაში. სიტყვის წამკითხველი უკმაყოფილო რჩება იმ მხრივ, რომ ადვოკატის მსჯელობას არ შეაქვს საკითხის გარკვევაში სინათლე.

ადვოკატი კლ. კალანდაძე იცავს არასრულწლოვან ილზა სუნას. ადვოკატი მოუთხორობს სასამართლოს ილზა სუნას თავგადასავალს, ეს თავგადასავალი სიბრაულის აღმგვრელია. ადვოკატს თავისი ინიციატივით მოუძებნია ბრალდებულის დედა და ჩამოუყვანია თბილისში შეილთან. მისი საქციელი სამაგალითოა.

ადვოკატი კლ. კალანდაძე ამბობს: „საქმე საინტერესოა არა მარტო საბრალდებო დასკვნის მიხედვით, არამედ თვით არსებითი შინაარსითაც“. ჯერ ერთი, ბრალდება უნდა შეიცავდეს საქმის არსებით მხარეს, მეორე, რატომ ბრალდების დასკვნა აიღო საქმის არსებით შინაარსთან დასაპირისპირებლად, ესეც გაუგებარია. მესამე, რა არის ეს „არსებითი შინაარსი“, არ ჩანს. უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვი, რომ ეს ადგილი გაუმართავი და გაუგებარია.

ადვოკატ ილია კაშიას სიტყვა მიმართულია ბრალდებულ ლომთათიძის დასაცავად, რომელსაც ბრალად ედება ეჭვიანობის ნიადაგზე იმედობის მოკვლა ი. კაშია ცდილობს არაპირდაპირ მხილებათა გაბათილებას.

ადვოკატი ამართლებს ბრალდებულს და ამასთან დაკავშირებით წერს: „გაკვრით უნდა შევნიშნო, რომ საქმეში არსებობს მასალა, რომელიც შეფარვით მიუთითებს იმედობის ნამდვილ მკვლელს. მაგრამ ამჟამად ამისათვის ჩვენ არ გვცალკია“. ამაზე უფრო მნიშვნელოვნისათვის ადვოკატმა რისთვის უნდა მოიხილოს, თუ მკვლელის მამხილებელი მასალა საქმეში არის

და ეს გამოძიებამ ვერ შენიშნა? ამით, ადვოკატი მართლმსაჯულებას კეშმარტების დადგენაში მოეხმარებოდა და ეს იქნებოდა ბრალდებულ ლომთათიძის საუკეთესო დაცვა.

ადვოკატი ალექსანდრე საგინაშვილი იცავს ა. მურულუიას, რომელსაც ბრალად ედება სახანძრო უშიშროების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია რუსთაველის თეატრის დაწვა 1949 წლის 9 ივნისს. ადვოკატის იურიდიული ანალიზი სანიმუშოა, მსჯელობა საქმიანია, ლოგიკურად გამართული, სადა, ყოველგვარ მოჩვენებით ეფექტებს მოკლებული.

ადვოკატ გურამ უგრეხელიძის სიტყვა მრავალმხრივ არის საყურადღებო. პირველ ყოვლისა, სიტყვიდან ჩანს, რომ გ. უგრეხელიძეს სპეციალური საკითხები კარგად შეუსწავლია. ის შესანიშნავად არის გაცნობილი საქმესთან დაკავშირებულ სამედიცინო საკითხებსაც. ავტორის მსჯელობა პირდაპირ სანიმუშოა. ზოგჯერ მას მტკიცება ვირტუოზულ სიმღლემდე აპყავს და ბრალდებას თითქმის სრულიად აბათილებს. ავტორს ეხერხება გონებამახვილური გამოთქმები, მოხდენილი შედარებები, თხრობის მხატვრული დასურათება. ადვოკატ გ. უგრეხელიძის სიტყვა კრებულის ერთ-ერთი საყურადღებო სიტყვათაგანია. ამასთანავე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ავტორი არ არის მართალი, როცა აცხადებს, რომ ის „შეგნებულად“ გვერდს უვლის ისეთ მხილებებზე შეჩერებას, რომლებიც „ნათელს გახდიან გამოუმჟღავნებელ ბოროტმოქმედებებს“.

შეიძლება ავტორის ზოგიერთი მოსაზრება არ გავიზიაროთ ან სადავოდ მივიჩნიოთ: მაგალითად ყალბი ავადმყოფობის ისტორიის შედგენის კვალიფიკაცია, პროფესიული საიდუმლოების საკითხი და სხვა.

ადვოკატ ვარდენ უროტაძე თავის სიტყვაში ლოგიკური თანმიმდევრობით არღვევს წამოყენებულ ბრალდებას.

ადვოკატი ვ. კერესელიძე იცავს ბრალდებულ შურცევს. უკანასკნელს ბრალი ედება გაძარცვაში, გაძარცვის მიზნით დანით ადამიანების დაჭრაში, რომელთაგან ერთი იქვე სანაპირო პარკში გარდაიცვალა. დამცველი არ უარყოფს არც დანაშაულს, არც დანაშაულის კვალიფიკაციას, მხოლოდ სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ შემამსუბუქებელ გარემოებაზე, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასჯელის შეფარდების დროს.

ადვოკატმა რომ სასამართლოს აუწერა ბრალდებულის აღზრდის პირობები ეს კარგია, მაგრამ დაუსაბუთებლად გამოიყურება დედ-მამის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება. საჭირო იყო დედისა ან მამინაცვლის გულცივობის მაგალითების მოყვანა.

ამას გარდა, ადვოკატის აზრით ბრალდებულის „მოქმედულ დანას მიზნად არ ჰქონდა აუცილებლად ადამიანის მოკვლა“, არამედ ყველა შემთხვევაში „ის დაჭრას გულისხმობდა“. ჩვენი აზრით, საკითხის ასე დაყენება არაა მართებულად. შურტცეს ადრეც ჰქონდა ნასამართლობა ასეთივე საქმეზე. მის მიერ ჩადენილი დანაშაული შემამარტუნებელია, უფრო მძიმეა ვიდრე ყოველგვარი სახის განაზრახი მკვლელობა. რასურდა მას დაჭრა თუ მოკვლა? ეს შედეგადანაც ჩანს. ასეთი სახის დაცვა, რომ დამნაშავეს მხოლოდ დაჭრა უნდოდა, არ არის სწორი. საქმეში არსებული მასალები სწორედ ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ.

მომხსენებელი ლაპარაკობს ადვოკატების ვ. კაჭახიძის ნ. კეკელიძის, გ. ლეყაიას, ა. ლომინაძის, ბ. ხომერიკის სიტყვების ავკარგინობაზე.

როდესაც ამ ნაშრომს ვაფასებთ, ამბობს სიტყვის დასასრულს მომხსენებელი, უნდა აღინიშნოს, რომ მასში მრავალი ენობრივი ხასიათის შეცდომებია, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იყო.

საერთოდ კი ნაშრომი მაღალ შეფასებას იმსახურებს. წიგნის შემდგენლებმა, სარედაქციო კოლეგიამ და ავტორთა კოლექტივმა ამ წიგნის გამოცემით ჩვენი საზოგადოებისათვის ფრიალ სასარგებლო საქმე გააკეთეს.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ წიგნის გამოცემით სასარგებლო საქმე გაკეთდა.

„ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვების“ კრებულის გამოცემის საკითხი, ამბობს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. დავითაია**, ყოველთვის იდგა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ყურადღების ცენტრში. მის რეალურ განხორციელებას შევუდგით 1961 წელს. საკითხი განვიხილეთ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის სხდომაზე. ჩვენ

დაგვეკირდა მთელი რიგი მოსამზადებელი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება.

ყოველივე ამის შემდეგ მივიღეთ მხოლოდ 31 ადვოკატის სიტყვა. ამ სიტყვების წინასწარი განხილვის შემდეგ სარედაქციო კოლეგიამ საჭიროდ ჩათვალა მათი ლიტერატურული დამუშავება. ამ თხონით მივმართეთ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს ნ. კანდელაკს. ნ. კანდელაკმა კეთილსინდისიერად იმუშავა ამ სიტყვებზე და სათანადოდ დამუშავებულიც ჩაგვაბარა. კრებულში, როგორც აღინიშნა, არის ზოგიერთი შეცდომები, მაგრამ ეს ჩვენი პირველი ცდაა, ჩვენ ამით არ ვამთავრებთ მუშაობას და ვფიქრობთ მომავალში ახალი კრებულის გამოცემისას, არ დაუშვებთ მსგავს შეცდომებს.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **გ. შეწირული** ამბობს, რომ ეს წიგნი საარგებლობას მოუტანს მართლმსაჯულების ორგანოთა მუშაებს. არა მარტო ადვოკატები, არამედ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოთა მუშაკები მადლობელნი არიან ამ პირველი ცდის. კარგი იქნება, თუ რესპუბლიკის პროკურატურა მიბძავეს ამ კარგ წამოწყებას და გამოსცემს პროკურორთა საბრალდებო სიტყვებსაც.

ადვოკატი **ჯ. ბაქრაძე** არ ეთანხმება პროფ. სურგულაძის მოსაზრებას თავისი დაცვითი სიტყვის მიმართ.

სანამ გვიან არ არის, ამბობს სიტყვის დასასრულს ბაქრაძე, — შესანიშნავი დარგი — სამოსამართლო ნკვერმეტყველება არ უნდა დავუტაროთ ჩვენს ხალხს, ჩვენს მომავალს. ნუ დაზარებთ მის ჩაწერას და გამოქვეყნებას!

უნდა აღინიშნოს, ამბობს საქართველოს სსრ პროკურორის თანამემწე **მ. კეკელია**, რომ არც ერთ დაცვით სიტყვაში არ არის ლაპარაკი მოტივზე, იმაზე თუ რამ განაპირობა ესა თუ ის დანაშაულებრივი ქმედობა, არც ერთ ადვოკატს არ მოუნახია ის მახინჯი მოვლენა, რომელმაც განაპირობა დანაშაული.

აღნიშნულ კრებულს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის. იგი ღირსეული შრომაა და კიდევ უფრო ღირსეული საქმე გაკეთდება თუ ამ წიგნს ამოუდგება გვერდში საბრალდებო სიტყვების კრებული.

მომხსენებელმა შენიშვნა გააკეთა კანდელაკას მოსაზრების შესახებ, რომ საქართველოში XIX საუკუნემდე ადვოკატურის ინსტიტუტი არ არსებობდა, — ამბობს ადვოკატი ვ. სიღამონიძე. სულ ახლახან აღმოჩნდა ახალი წყარო. ირკვევა, რომ სამეგრელოს სამთავროში XVII საუკუნის პირველ ნახევარში საეკლესიო სამართალში დაშვებული ყოფილა შუამავალი. კაცი მიდიოდა წმინდა გიორგის ხატთან და ამბობდა სიტყვას, რათა ხატი განეწყო კეთილ ზრახვებით. ვისაც არ შეეძლო ხატის დარწმუნება, მას მოჰყავდა სხვა კაცი, რომელსაც მართო სიტყვა კი არ უნ-

და ეთქვა, არამედ საბუთებითაც უნდა დაემტკიცებინა მისი სიტყვა. ეს იგივე ადვოკატი იყო და ბუნებრივია, თუ სამეგრელოში არსებობდა შუამავალი, იგი საქართველოს სხვა კუთხეებშიც არსებობდა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ავღოკატებმა ნ. კველიშვილმა, შ. ლეკვეიშვილმა, ა. ლომინაძემ, ვ. კველიამ, რ. მაჭავარიანმა.

წიგნის განხილვა შეაჯამა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. პაიჭაძემ.



# ახალი წიგნები

## ქართულ ენაზე გამოცემა:

ა. ვაჟა-ფშაველას და მანუჩარევი ვერ დაიმალება. 18 ნაბეჭდი თაბახი. ტირაჟი 50 000, ფასი 45 კაპ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

საინტერესო და მრავალფეროვანია კრიმინალისტების შრომა. მეცნიერების დღევანდელ მიღწევებზე დაუდრნობით კრიმინალისტებმა არა ერთი დანაშაული გახსნეს.

სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს ცნობილი საბჭოთა იურისტი არკადი ვაჟაბერგი.

წიგნი დიდი ინტერესით იკითხება და გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისათვის.

ბ. კარბანძე. სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სახელმწიფო და სამართალი. 12 ნაბეჭდი თაბახი. ტირაჟი 1 000. გამომცემლობა „ცოდნა“.

წიგნში განხილულია სახელმწიფო სამართლის საკვანძო საკითხები. იგი შედგენილია სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სახელმწიფო სამართლის კურსის პროგრამის მიხედვით და გათვალისწინებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

ვ. კუპრეჯი. ინგლისის ფართო სამსახურის საიდუმლოებანი. 18 ნაბეჭდი თაბახი. ტირაჟი 10 000, ფასი 45 კაპ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

წიგნში გადმოცემულია ინგლისის საიდუმლო სამსახურის მთელი რიგი საკითხები, რომელიც

დიდი ინტერესით იკითხება და გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისათვის.

ი. კორლოვიჩი. ორმაგი თამაში. 18 ნაბეჭდი თაბახი. ტირაჟი 50 000, ფასი 45 კაპ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ინგლისელ ჟურნალისტი ი. კორლოვიჩის წიგნში ზოგიერთ საერთაშორისო მოვლენათა ფონზე აღწერილია გერმანული სამხედრო დაწვერვისა და მისი უფროსის ადმირალ კანარისის საქმიანობა ომის წინა პერიოდში და ომის წლებში.

ი. მადერი. სახენაირევი კაცის ნაკვალევზე. 12 ნაბეჭდი თაბახი. ტირაჟი 30 000, ფასი 30 კაპ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ავტორი ააშკარავებს ყოფილი ესეხელის ოტო სკორცენის დანაშაულებრივი ცხოვრების წარსულსა და აწმყოს. წიგნში გადმოცემულია დამნაშავეს კავშირი შეერთებული შტატების და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დაწვერვასთან.

განგებების „კარიერა“, გაშუქებულია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ისტორიულ ფონზე.

ვ. მანისკაძე. სოციალისტური საკუთრების დაცვა დატაცებისაგან საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით. 12 ნაბეჭდი თაბახი. ტირაჟი 5 000, ფასი 33 კაპ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ნაშრომი ეხება სოციალისტური საკუთრების

დაცვას საბჭოთა კანონმდებლობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მასში განხილულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების კვალიფიკაციის და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

ი. სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან. 22 ნაბეჭდი თაბახი. ტირაჟი 2000. ფასი 60 კპ. გამომცემლობა „ცოდნა“.

პროფ. ი. სურგულაძეს წინამდებარე ნაშ-

რომი წარმოადგენს 1968 წლის ამავე სახელწოდებით გამოქვეყნებული წიგნის მეორე ნაწილს. პირველ ნაწილში ძირითადად აღნიშნული იყო საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ძეგლები.

მეორე ნაწილი მიძღვნილია ფეოდალური საქართველოს პერიოდის სახელმწიფოებრივი წყობილების შესწავლისადმი. მასში დაწვრილებით არის გადმოცემული სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტების ისტორია.

# ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1964 წელს გამოქვეყნებული  
მასალების სპიკეჟი

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა რე-  
სპუბლიკური თათბირი № 3, გვ. 3-5.

იურიდიული მეცნიერება ახალ ამოცანათა  
დონეზე № 4, გვ. 3-9.

## სტატიები:

ი. ავაზაშვილი — საერთაშორისო პროლეტა-  
რიატის მებრძოლი ორგანიზაცია № 5, გვ. 3-13.

ჯ. ზაქარაძე — აბორტი სოციალური ბოროტე-  
ბაა № 6, გვ. 26-31.

ა. გობრონიძე — სიახლენი საბჭოების მუ-  
შაობაში № 3, გვ. 37-44.

მ. თოფურაძე — მშრომელთა სოციალური  
უზრუნველყოფის შესახებ № 5, გვ. 53-61.

მ. კვეციელავა — ათასი ფუთი ბრალდება  
№ 1, გვ. 44-55.

ო. ლოლაშვილი — სახალხო რაზმელები სა-  
ზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე № 6,  
გვ. 31-35.

დ. მახარაძე — მეტი ყურადღება სამართლე-  
ბრივი ცოდნის პრობლემა და საზოგადოებ-  
რიობის ჩაბმის დანაშაულობასთან ბრძოლაში  
№ 1, გვ. 13-19.

ა. მენაბდე — კომუნისტური პარტიისა და  
საბჭოთა ხალხის ბრძოლა სოციალისტური კა-  
ნონიერების განმტკიცებისათვის № 1, გვ. 3-13.

ვ. რეხვიაშვილი — ვ. თ. ლენინი კომუნისტურ-  
ი პარტიის ბელადი და ორგანიზატორი № 2,  
გვ. 3-11.

ზ. შველიძე — რევოლუციის სთავებთან  
№ 2, გვ. 62-71, № 3, გვ. 56-62.

## სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ისტორია, ადმინისტრაციული, სამართაშორისო სამართალი:

ვ. აბაშაძე — „საყოველთაო კეთილდღეო-  
ბის სახელმწიფო“ და თანამედროვე კაპიტალი-  
ზმი № 3, გვ. 16-23.

ა. აბესაძე — მოქალაქეთა უფლებების ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიების შე-  
სახებ № 2, გვ. 11-19.

ბ. ალექსიძე — კვიპროსის პრობლემის ზოგი-  
ერთი იურიდიული ასპექტი № 5, გვ. 61-68.

ალ. ვაჩიშვილი — სამართლებრივი ურთი-  
ერთობის ცნებისათვის № 6, გვ. 10-21.

გ. ერემოვი — საბჭოთა სახელმწიფო სამარ-  
თლისა და ადმინისტრაციული სამართლის საკი-  
თხები სკკპ პროგრამაში № 6, გვ. 3-10.

მ. კეკელია — გვიანფეოდალურ საქართვე-  
ლოში სამართლის განაჩენთა დამტკიცების წი-  
ლის შესახებ № 2, გვ. 44-50.

ვ. ლორია — საზოგადოებრივი წესრიგის  
ცნების საკითხისათვის № 5, გვ. 28-37.

გ. უვანია — კოსმოსური სივრცის კვლევა-  
გამოყენების საერთაშორისო სამართლებრივი  
პრინციპები № 3, გვ. 25-37.

## სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინალისტიკა

ა. ვაბიანი — დანაშაულის შესწავლის მეთო-  
დიკის ზოგიერთი საკითხი № 5, გვ. 22-28.

ბ. დავითაია — რეალური დაცვის უზრუნ-  
ველყოფის შესახებ სასამართლო პროცესში  
№ 6, გვ. 48-51.

კ. ვაჩიშვილი — მოწმის ჩვენების, როგორც  
დამამტკიცებელი საბუთის წყაროს შეფასების  
საკითხისათვის № 2, გვ. 27-36.


მ. ლეკვიშვილი — კერძო ბრალდების საქ-  
მეთა გადაცემა ამხანაგური სასამართლოსათვის  
განსახილველად № 4, გვ. 24-32.

გ. მოსესიანი — საბჭოთა სისხლის სამართ-  
ლის პროცესში დამამტკიცებელი საბუთების  
წყაროების ცნების შესახებ № 3, გვ. 44-50.

გ. ნადირაძე — ამოსაცნობად წარდგენის  
ჩატარების ზოგიერთი პრაქტიკული საკითხის  
შესახებ № 2, გვ. 36-40.

ბ. ტყეშელიაძე — პირობითი მსჯავრის ზო-  
გიერთი საკითხი № 5, გვ. 13-22.

შ. ფაფავაშვილი — დაქტილოსკოპიური ექსპე-  
რტივისათვის მასალების მომზადება № 1, გვ.  
27-35.



**სამოქალაქო სამართალი, პროცესი, არბიტრაჟი:**

**ზ. ახვლედიანი** — კრედიტით საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება № 5, გვ. 37-43.

**ლ. ისაკაძე** — თანავტორობა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე № 1, გვ. 19-27.

**მ. ლომიძე** — საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის შესახებ № 3, გვ. 5-16.

**შ. მგელაძე** — საყოფაცხოვრებო საგნების გაქირავების ხელშეკრულების ზოგიერთი საკითხი № 2, გვ. 19-27.

**შ. მგელაძე** — შემენახველი სალაროების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ № 5, გვ. 43-49.

**ს. ჭავჭავაძე** — სამედიცინო სასამართლოს სტრუქტურა და უფლებამოსილება № 2, გვ. 73-76.

**ს. ჭავჭავაძე** — საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის შესახებ № 4, გვ. 9-17.

**ნ. წერეთელი** — პირდაპირი სახელშეკრულებო კავშირი სამეურნეო ურთიერთობის რაციონალური ფორმა № 4, გვ. 17-24.

**ღისკუსნა, კოლენიბა, რეპლიკა:**

**ლ. თალაკვაძე** — შეიძლება თუ არა მგენიტოფონის გამოყენება ჩვენების ფიქსირებისათვის № 1, გვ. 35-40.

**მ. ნანიკაშვილი** — ადვოკატის პოზიციის ზოგიერთი საკითხისათვის № 4, გვ. 41-50.

**ი. ნანუკაშვილი** — შენიშვნები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი გამოცემის შესახებ № 1, გვ. 40-44.

**ადვინისტრაციული ორბანომიის მუშაობის პრაქტიკა:**

**შ. ბერიანიძე, შ. კუჭუხიძე** — მეტი ყურადღება ბავშვთა უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლას № 4, გვ. 32-41.

**ა. გეგია** — ზოგიერთი კატეგორიის საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილებიდან, № 3, გვ. 50-56.

**თ. კვარაცხელია** — არასრულწლოვანთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის მიზეზების შესწავლისათვის № 6, გვ. 41-48.

**ს. სიხარულიძე, გ. შონია** — ამხანაგების სასჯავროს წინაშე № 6, გვ. 35-41.

**ა. ტაკიძე** — მეტი ორგანიზებულობა, ოპერატიულობა და სიზუსტე მუშაობაში № 2, გვ. 40-44.

**გ. შეწირული** — გამსვლელი სესიების ჩატარება მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური ღონისძიება № 4, გვ. 50-54.

**გ. ჩხიკვაძე** — საზოგადოებრივ საწყისებზე № 4, გვ. 54-55.

**ა. ხარიტონაშვილი** — მსჯავრდებულთა ვადამდე პირობით განთავისუფლება № 5, გვ. 49-53.

**პორტრეტები, ნარკვევები, მხატვრული ნაწარმოებები**

**ა. ანასაშვილი** — შრომისმოყვარე მუშაკი № 6, გვ. 64-65.

**შ. ბათიაშვილი** — თაღლითი № 4, გვ. 69-73.

**ნ. დავითაშვილი** — მკვლელობა ზამბუჯის ტყეში № 3, გვ. 62-75.

**შ. ეხიტაშვილი** — არმადქეუული რძე № 4, გვ. 76-79.

**ლ. ისაკაძე** — საბჭოთა საქართველოს იური-სტი ქალები № 2, გვ. 50-54.

**ლ. ისაკაძე** — რაიონის პროკურორი № 6, გვ. 60-64.

**ა. კეუიანი** — ძებნა № 6, გვ. 57.

**ა. კლემენანი** № 2, გვ. 76-78.

**მ. მიქაძე** — მისი გატაცება კეშმარიტების დადგენა № 4, გვ. 69-73.

**მ. ტყეშელაშვილი** — თეთრი სპილოს გატაცება № 1, გვ. 80-91.

**უსცნაოთვი:**

**მ. უგრეხელიძე** — დასავლეთგერმანელი ეკსისცენტრალისტი-კრიმინალისტი დანაშაულობის მიზეზების შესახებ № 4, გვ. 63-69.

**ე. პრალინიკოვი** — თემიდა კეშმარიტად ბრმა № 2, გვ. 71-73.

**კრიტიკა და ზიზღიობრაფია:**

**მ. კომანიძე** — მკვერმეტყველება მართლმსაჯულების სამსახურში № 4, გვ. 81-84.

**ვ. კულდიაშვილი** — ფუნდამენტალური ნაშრომი მიზეზობრიობის საკითხებზე საბჭოთა სისხლის სამართალში № 5, გვ. 80-83.

**ნ. ლორთქიფანიძე** — საბჭოთა სამოქალაქო პროცესუალური სამართლის მეცნიერების თვალსაჩინო მონაწილე № 6, გვ. 71-76.

**ს. ლესელი** — წიგნი კამათის თეორიის შესახებ № 3, გვ. 86-88.

**ვ. მისიურაძე, ა. ფლიაშვილი** — სასარგებლო სახელმძღვანელო სტუდენტებისა და პრაქტიკული მუშაკებისათვის № 2, გვ. 90-94.

**ო. მგელაძე** — ნაშრომი სასამართლო ექსპერტიზის საკითხზე № 2, გვ. 94.

**გ. ნადარეჟიანი** — წიგნი ქართველი მთიელების სამართლის ისტორიის საკითხებზე № 5, გვ. 84-86.

**ო. უღვლელი** — ქართველ კრიმინალისტთა შრომები საკავშირო კრებულში № 2, გვ. 95.

**გ. რიონიშვილი** — ბროშურა წერითი მეტყველების ნიშნებზე № 2, გვ. 96.



ს. სტროგოვიჩი — დამნაშავეის ქცევის მოტივების საკითხები საბჭოთა სამართალში № 3, გვ. 83-84.

ო. სურგულაძე — საბჭოთა კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სახელმძღვანელოს შესახებ № 1, გვ. 91-96.

ა. ხოჭოლავა — იურიდიული ლიტერატურის სერიოზული შენაძენი № 3, გვ. 75-83.

ს. ჯორბენაძე — მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართული სამართლის ისტორიიდან № 4, გვ. 79-81.

#### გამოჩენილი ქართველი იურისტები:

პროფ. გ. ნანეიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა № 2, გვ. 54-62.

#### ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარნი:

გ. ნადარეშივილი — აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი № 6, გვ. 51-57.

#### კუბლიკაცია:

ვ. სიღამონიძე — ნიკო ნიკოლაძის დაცვითი სიტყვა (ტექსტთან ერთად) № 1, გვ. 70-80.

#### ოფიციალური მასალა:

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის № 14 დადგენილება № 1, გვ. 59-61.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის № 16 დადგენილება № 1, გვ. 61-70.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის № 17 დადგენილება № 1 გვ. 70.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის № 18 დადგენილება № 5, გვ. 68-70.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის № 19 დადგენილება № 5 გვ. 71-73.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის № 20 დადგენილება № 5, გვ. 74.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის № 1 დადგენილება № 5, გვ. 74-79.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის № 4 დადგენილება № 6, გვ. 65-67.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის № 5 დადგენილება № 6, გვ. 67-69.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის № 6 დადგენილება № 6, გვ. 69-70.

#### სხვადასხვა:

ცხოველები, ფრინველები, მწერები სასამართლოში № 2, გვ. 78-81.

იუმორი № 2, გვ. 71, № 3 გვ. 96, № 6 გვ. 94-96.

არბიტრაჟის პრაქტიკა № 5 გვ. 89-94.

ინფორმაცია № 2, გვ. 83-90, № 4, გვ. 84-93, № 6, გვ. 76-94.

#### ნეკროლოგი:

ა. კ. ვაჩიშვილი № 4, გვ. 93-96.

გ. ი. მაისურაძე № 5, გვ. 95.

ი. ხ. ცივაძე № 5, გვ. 96.

3560 50 333.

ИНДЕКС 76185



# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР